ვერსია

ფასი 40 თეთრი

№144 (751) 17 - 18 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი

სკანვორდი
სუდოკუ
ჰოროსკოპი
facebook-news

ზურაბ ქვანიას დაცვის უფროსს დაიჭერენ!

გვ. 3

ფინანსური პოლიცია კობა ხარშილაძისა და გიგი უგულავას საქმეებს სწავლობს

„თუ ვანო მერაბიშვილს დაიჭერენ, ეს ისეთივე წითელი სიგნალი იქნება ევროპიდან, რაც უკრაინას აუნთეს ტიმოშენკოს დაჭერისას“

დევან ვეფხვაძის სკანდალური პროგნოზი

გვ. 4

პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული სკოლის დირექტორები აქციებს იწყებენ!

რაში ადანაშაულებს ხათუნა გოგორიშვილის დას 90-ე ბაგა-ბაღის ყოფილი გამგე

გვ. 8

ნანა კაკაბაძე ყველა ბრალდებას პასუხობს!

„კომისიიდან ინფორმაცია გამქონდა და დღესაც გავიტან!..“

გვ. 5

სიღნაღის პროკურატურამ „ნაციონალების“ აქტივისტი ბოშა დაკითხა

რატომ უცხადებენ ბოიკოტს არჩევნებს და რატომ არ ენდობიან ახალ ხელისუფლებას სოფელ ხორნაბუჯის ბოშები

გვ. 10

შოუბიზნესის „რუხი კარდინალი“

„ნაციონალებთან“ დაპირისპირების მიზეზებს ამხელს!

საქართველოში სერგეი ბეზრუკოვი, დიმიტრი დიუჟევი და ძმები მელაძეები ჩამოდიან

გვ. 12

დიტო გელოვანი

ატრიალა კარლსონმა სახელურები, ატრიალა მაგრამ დიქტორი არ გამოჩნდა. სამაგიეროდ, ის ორი სქელი მამაკაცი კიდევ უფრო გაიბერა, ფეხები დაუმოკლდათ, შუბლი გაუბრტყელდათ. ამ სახეცვლამ გაამხიარულა კარლსონი და კიდევ დიდხანს თამაშობდა ტელევიზორით. „მოხუცები უსიტყვოდ მემორჩილებიან“ – თქვა ბოლოს კმაყოფილმა. ეკრანზე მოლაპარაკე კაცები კი არა და არ ჩერდებოდნენ, სანამ კარლსონმა არ აურია. „მე მგონია...“ – წამოიწყო ერთმა მათგანმა. „რაში მაინტერესებს შენ რა გგონია, – აღარ აცალა კარლსონმა, – გირჩევნია, შინ წახვიდე და დაიძინო“. კარლსონმა სიცილით გამოთიშა აპარატი: „ალბათ, როგორ გაჯავრდა. ახია! ხომ არ ვაცალე ეთქვა მაინც, რა ეგონა ასეთი“! კარლსონს მალე მოსწყინდა ტელევიზორი და ახალ გასართობს დაუწყო ძებნა.

(ასტრიდ ლინდგრენი, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“)

დეზოქსირიბონუკლეინმჟავის ასორტი



„გია!“. პასუხი არ არის. „გია ჭანტურია!!“ პასუხი არ არის. „საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურო დირექტორო!!!“ პასუხი არ არის. „რა დაემართა ამ ბიჭს?“... „ბორდი!“ პასუხი არ არის. „ბორდი-მეთქი!!“ პასუხი არ არის. „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოვ!!!“ პასუხი არ არის. „რა დაემართა ამ ხალხს?“

საზოგადოება არ არის. ხალხი არ არის, საბჭო არ არის, მაუწყებელი არ არის, ხოლო დირექტორი არ არის გენერალი. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა იყოს, მაგრამ როცა ყუფარაძე რეკავს, როცა მურვანიძე რეზოლუციას არ ადებს და როცა ყველას კიდია, რომ გრენლანდია კიდია, ისმის კითხვა – „სად არის ბორდი?“ და არც ამ კითხვაზეა პასუხი და არის მხოლოდ კითხვაზე პასუხი კითხვით და ისიც, სომხურად და თანაც, გაკვირვებით: „ბორდ, ელი?“

ელიბოი... თქვენ თუ ამ ჯამს დალევთ, თქვენ თუ ამ ჯამს დალევთ... ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს, ბალანსი იყოს დაცული, დაცვა იყოს ზონური, ნახევარდაცვა – ტოტალური, თავდასხმა – თავხედური, ანუ გუნდი – დაბალანსებული.

„მედია!“ პასუხი არ არის. „მასმედია!“ პასუხი არ არის. „ექსპერტი!“ პასუხი არ არის. „მედიაექსპერტი!“ პასუხი არ არის. არისტეხ, ახჩიკ... არისტეხ, ტო... ტო, კუტუნიო, ტო... ავოეეე!!! და პასუხი მაინც არ არის. აი, თქვენი უპასუხისმგებლო დედა და პასუხისგებაში მისაცემი მამა... ქლამედია, დეზოქსირიბოზა და დეზოქსირიბონუკლეინმჟავის ასორტი.

და, როცა გია ჭანტურიამ თქვა, წავედი, აბა, ჰეო, მედიაექსპერტთა ფართო მასებში მაშინვე იკითხეს – შემთხვევით, ვინმემ დავაი, დასვიდანია ხომ არ უთხრაო. ანუ, ზეწოლა ხომ არ იყოო, თუმცა როცა იმას ისე არ აჩვენებდნენ, როგორც უნდა ეჩვენებინათ და საერთოდ, ყველაფერი ისე რომ არ იყო, როგორც უნდა იყოს, არცერთს არ ამოუღია ხმა, ზეწოლას ხომ არ აქვს ადგილიო. ისხდნენ (იწვნენ კიდეც) და ბალანსზე მსჯელობდნენ: „ის დაბალანსებულია, ეს – არა. ამ ბენზინში ვირის შარდი ჭარბობს, ამ ვირის შარდში – ბენზინი“.

კაცო, სალამურისგან საქსოფონს ვერ გააკეთებ, არც საქსოფონისგან კეთდება სალამური და ქლამედიისგან მედია როგორ გამოვა? რომ კითხო, თავი კიტრებად მოაქვთ – მოკლეები, გრძელები, მსხვილები, წვრილები, ხორკლიანები, უხორკლოები, შუშა-კიტრები... კიტრი გაკიტრებულა, საკიტრეში ჩაკიტრებულა.

საერთოდ კი, ეს კიტრები უკვე გაკოტრდნენ, დამჟავდნენ და აწი, რაც უნდა აკიტრონ, მაგათი გასაკიტრებელი უკვე ისტორიას ჩაბარდა.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთი კვირის წინ ერთ ლარად „მეცხრე არხს“ ითხოვენ და ახლა რომ ვუყურებ, ერთი სული აქვთ, როდის ჩაიგდებენ პირველ არხს ცხრა ლარად. სულ ცხრანი არიან და თითო გრანტიდან თითო ლარს ყველა გაიმეტებს.

ახლადგარდაცვლილის გაცოცხლებაა შეუძლებელი, მკვდრადშობილის – მითუმეტეს და ვინმეს თუ ახსოვს, როდის იყო „პირველი არხი“ ცოცხლების სიაში? გარდაცვლილის გაცოცხლება არ გამიგია, თუმცა მიცვალებულების ძარცვის შესახებ მსმენია და წამიკითხავს. მე მგონი, ამ უკანასკნელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მკვდარს ძარცვავენ, თუმცა, ვაღიარებ – ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით.

„მე სამი წლის განმავლობაში აქ ვიყავი. ვფიქრობ, რომ ამ სამი წლის მანძილზე მაუწყებელში ბევრი რამ გაკეთდა. შეიძლება, ჩემი შეცდომა იყო ის, რომ ეკრანს ნაკლებად ეტყობოდა ეს ყველაფერი“, – განაცხადა ჭანტურიამ გადადგომის შემდეგ და მართალიც იყო – ეკრანს ნამდვილად არაფერი შეტყობია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუნებაში არაფერი იკარგება, მეცნიერულად უნდა ვივარაუდოთ, რომ ის 45 თუ 55 მილიონი ვიღაცას და რაღაცას აუცილებლად დაეტყობოდა. „ჩვენ შევქმენით საკმაოდ სერიოზული, სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელსაც მივყვებოდით გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თუმცა მიზეზთა გამო ბოლომდე განხორციელება ვერ შევძელი ისე ხარისხიანად, როგორც მინდოდა. ამიტომ მივიჩნევ, რომ ალბათ, სჯობდა, დამეთმო ეს ასპარეზი სხვა ადამიანებისთვის, ვინც ამას უფრო ორგანიზებულად გააკეთებენ“, – ესეც გია ჭანტურიამ თქვა და აბა, რომელ ზეწოლაზე აკიტრებენ დონორთა თანამეცხედრე ექსპერტები?!

მივხვდი – საზოგადოებრივი მაუწყებელი საფრთხეშია! საზოგადოებაში ჰომოფობიური და ქსენოფობიური განწყობები ჭარბობს! ტოლერანტობის დეფიციტმა საშიშ მასშტაბებს მიაღწია!..

გრანტების ამბავია. უმოკლესი გზა ომბუდსმენის ოფისზე და საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის. იმიტომ იყო, გურჩიანი და მუხაშავრიაო, ამიტომაც იქნება შავერდაშვილი, ქორიძე ან ხორკლიანთა სადო-საძმო-მაზოხისტური დაჯგუფების სხვა რომელიმე წარმომადგენელი.

ერთი კვირის წინ ვამბობდი, შავერდაშვილის გადამკიდე, ბენდუქიძის ფანი გავხდი და მწვანე გაჩეჩილაძის წყალობით იმასაც მოვესწარი, რომ ხათუნა გოგორიშვილს დავეთანხმე-მეთქი. ჰოდა, გასულ კვირაში აღმოვაჩინე, რომ მიშა თავხელიძეს თავში ფეხის გარდა სწორი აზრებიც ქონია. „პირადად ჩემი აზრია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ტელევიზია უნდა იყოს კერძო. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაუგებარი მიზნების, ამოცანების, შინაარსის, ბიუჯეტის ტელევიზიის დაფინანსება არის ფულის ტყუილა ხარჯვა, თან ჩვენი ფულის“, — განუცხადა თავხელიძემ „ინტერპრესნიუსს“. ე, ბიჭო, სად კიტრში იყავი ამდენ ხანს? ხომ ხედავ – თუ მოინდომებ, ადექვატურობაც შეგძლებია.

ვფიქრობ, ძალიან დიდი დრო და ადგილი დავუთმე ამ თემას, მაგრამ რა ვქნა, როცა ჯერ კიდევ არ ასრულებულა ჩემი ქართული ოცნება – გიგა ბოკერია მეტ ცოლს ნუ მოიყვანს, მანანა კარტოზია და ტარიელ შავერდაშვილი მეტ შვილს ნუ იყოლიებენ და ქართველი ხალხი მეტს ნუ დალევს.

შემდეგი, რაც გასული კვირის ამბებიდან მახსენდება, პრეზიდენტის თვითმფრინავია, ოღონდ ჰარისონ ფორდისა და ლევან უჩანეიშვილის კი არა, მიხეილ სააკაშვილისა და მიხეილ მაჭავარიანის მონაწილეობით.

თვითმფრინავის თემა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გააქტიურდა, როცა გაირკვა ერთი კიტრი ორ თვითმფრინავს გადაჰქონდა, ახლა კი, როგორც გაირკვა, კიტრის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი–მილანი–პარიზი–ლონდონი–ნიცა–იამაიკა–ბარბადოსი–აკაპულკო... მრავალწერტილში მრავალი ის წერტილი იგულისხმება, რომელიც ჩვენთვის არის წერტილი რუკაზე, თორემ კიტრისა და მისი თანმხლები პომიდვრებისთვის ეს ის ადგილებია, სადაც, თუ მწნილი ხარ, ისე იკოტრიალებ ჯონჯოლში, რომ ნივრის სუნი არ აგივა.

წერტილებს აღარ ჩამოვთვლი, შორს წაგვიყვანს (ისე, მართლა წავიდოდა კაცი...), უბრალოდ, იმას გეტყვით რომ სააკაშვილის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხ... უკაცრავად, ნიცა-პარიზში, ფარდა ახადა და ნიღაბი ჩამოხსნა თავდაცვის სამინისტრომ. ჯერ, ისე თქვა – სხვათა შორის, მაგრამ როდესაც სააკაშვილის ირმამ (ნადირაშვილმა) გააპროტესტა, ტყუილიაო, ვაკო ავალიანმა სია აიღო და, პარიზით რომ დაიწყო და ლონდონით რომ გააგრძელა, აივანზე გავედი სიგარეტის მოსანევად და რომ შემოვედი, სააკაშვილის წყალობით ავალიანი ჯერ კიდევ ბერმუდის კუნძულებზე იყო და კანარის კუნძულებზე აპირებდა გამგზავრებას.

რაღა უნდა ექნა ირმას? გაისუსა. ვირმა იცის ეგეთი გასუსვა. და აქ საქმეში ჩაერთო მიხეილ მაჭავარიანი: „სამწუხაროა, რომ თავდაცვის სამინისტრო ამით არის დაკავებული“.

ვაჰ, პრეზიდენტი იმით რომ იყო დაკავებული? დაკავებული რომ უნდა იყოს და რომ არ არის დაკავებული? და, საერთოდ, ან გააკავეთ და ანაც დააკავეთ, ოღონდ ისე, რომ ნინა წკრიალა შვილმა არ გაიგოს, თორემ თავს მოიკლავს. ისე, ჩვენში დარჩეს და რატომ არსად ჩანს მშვენიერი ნინა? 12.12.12–ში კონცერტზე არ გამოჩენილა, „მის კდემამოსილება და კომპეტენტურობა 1971–2012“ კონკურსზე არ ჩანდა... მაგრამ ხალხს ვერაფერს გამოაპარებ, ხალხი მამაძაღლია. ზოგი ამბობს, სიცოცხლე შეიმოკლაო, ზოგი ირწმუნება თმა დაიგრძელაო. წიგნს კითხულობსო, არავის უთქვამს.

ნინა, ნინა, ჩემო ნინა... რამე რო იყოს, ბაჩო ახალაია და ირაკლი ოქრუაშვილი ხომ არ გინდა?

„ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატი ზვიად კორძაძე ადასტურებს, რომ სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში, ე.წ. მატროსოვის ციხეში ბაჩო ახალაიასა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის ინციდენტი მოხდა. როგორც ჟურნალისტებს ადვოკატმა განუცხადა, აქვს ინფორმაცია, რომ „მოხდა სიტყვიერი შეხლა-შემოხლა, თუმცა რამ გამოიწვია ეს, არ იცის: „ვიცი, რომ რაღაც სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოხდა, თუმცა რას მოჰყვა ეს, არ ვიცი. ირაკლი ოქრუაშვილთან ამ თემაზე და დეტალებზე არ მისაუბრია“, — რა თქმა უნდა, ჩემი სახელგანთქმული ძმადნაფიცის ნიუსი იყო და რა თქმა უნდა, კორძაძემ ყველაფერი იცის, თუმცა „გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე...“ და ა.შ. ამბავი და გაგება.

ამბობენ, ოქრუაშვილმა აგინაო. ამბობენ, გაარტყა კიდეცო. არ ამბობენ, მაგრამ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, ახალაიაც თუ აგინებდა და დაარტყამდა. ორივე საცემია და ორივე საგინებელი. რატომ? რატომ და, წესია ეგეთი – სამინისტროს შენობებში ყოფილი მინისტრების ფოტოებს კედლებზე თვალსაჩინო ადგილები უკავიათ და გია ყარყარაშვილისა და დათო თევზაძის გვერდით რომ ყელყელაობ (თუნდაც მხოლოდ კედელზე), სწორედ მაგაზე ხარ საცემი და საგინებელი. ჩვენც, ყველანი, მაგის ღირსნი ვართ, თუნდაც კიდევ იმიტომ, რომ გია ბარამიძე „სამუშაო ვიზიტით“ სადღაც გაემგზავრა, კეზერაშვილი, „გალფი“ და მისი სხვა ალაფი კი კარგა ხანია შაირსიტყვითაც კი არავის უხსენებია.

მართლა... სად არის კეზერა? ვის ზევით იყო და ახლა ვის ქვეშ არის?

აი, კეზერას ყოფილი მოადგილე (ყოფილი კაგებეშნიკებისა არ იყოს, კეზერას ყოფილი მოადგილეებიც არ არსებობენ) ბათუ ქუთელია გამჭვირვალობის მაგალითს იძლევა: „იმ პირობებში, როდესაც რუსეთი თავის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებსაც არ სცემს პატივს და არღვევს მას, საჭიროა სიფრთხილე. დიდი სიფრთხილეა საჭირო იმ ნაბიჯების მიმართ, რომელსაც საქართველოს მთავრობა გადადგამს რუსეთთან ურთიერთობის პირობებში“.

რას ერჩი? ფიქრობს, მსჯელობს, ანალიზს აკეთებს, დოკუმენტებს ეცნობა... ქუთელია ყოველთვის ასე იყო. 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც ფიქრობდა, მსჯელობდა, აანალიზებდა, ეცნობოდა დოკუმენტებს და ახლა რეესტრში და არქივში რომ მოიკითხოთ, აუცილებლად წარმოგიდგენენ 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში ბათუ ქუთელიას მიერ ხელმოწერილ გმირულ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ თავდაცვის მინისტრის მაშინდელი მოადგილე კოჯორსა და ტაბახმელაში მიწის ნაკვეთების ყიდვა–გაყიდვით იყო დაკავებული.

ისე არ გამიგოთ, თითქოს საზიზღრულად და ბოროტულად ვამბობდე. პირიქით – ქუთელიას თანაგუნდელების ერთი ნაწილი ამ დროს ახალგორს და კოდორის ხეობას ყიდიდა, მეორე ნაწილი კი წითელ ხიდზე იდგა და საზიზღარ სუნს ავრცელებდა (ა ლა გურამ ჩახვაძე). მოკლედ, სხვების ფონზე ქუთელია მშვენივრად გამოიყურება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ირაკლი ტულუშის (იყო ასეთი პარტია) ფონზე მშვენივრად გამოიყურება ირაკლი პეტრიაშვილი (არის ასეთი პარტია), თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ პეტრიაშვილს ბედიც წყალობს – ხან მძღოლები გაიფიცნენ, ხან მეშახტეები, ხან მეტალურგები და რავი... უნდა აღინიშნოს, რომ პეტრიაშვილი მეშახტეების ფონზეც მშვენივრად გამოიყურებოდა. თუ არ ვცდები, არქიმედემ თქვა – ფონი მომეცით და ნახავთ რა მაგარი ტიპი ვიქნებიო.

პეტრიაშვილი კი იმიტომ გამახსენდა, რომ გასულ კვირაში ნიუსების მწკრივში ასეთ სათაურს მოვკარი თვალი: „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი მოსკოვში მიმდინარე მსოფლიო ფორუმს ესწრება“.

„ფეოლაში“ რომ არის – ვენაცვალე ოლიმპიურ სისტემასო... მთავარი გამარჯვება კი არ არის, მთავარია მონაწილეობა (საერთოდ, მთავარი მაინც გაგებაა). ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, ბეჟან ხურციძეც მონაწილეობდა ნიჩბოსანთა ფორუმებში და ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ლევან ახვლედიანიც მონაწილეობდა ფრენბურთელთა ფორუმებში. შედეგად, 70–იან წლებში ქართველებს გვყავდა ნიჩბოსანი ვიქტორ კრატასიუკი, ხოლო 90–იანებში – ფრენბურთელი ვიქტორია რავა. დავირქმევ ვიქტორ გოლოვინს, იქნებ პეტრიაშვილმა პურის რიგში დაბრედილთა მსოფლიო ფორუმზე ერთი პაეზდკა მეც გამიჩითოს.

დმანისის საკრებულოში ახალი ფრაქცია გაიჩითა – „უპარტიოები“. ნაწყვეტი გლიჯავს: „25-კაციან საკრებულოში „ნაციონალურ მოძრაობას“ 22 კაცისგან შემდგარი ფრაქცია ჰყავდა, რომელსაც 20 დეპუტატი გამოეყო“. გამოეყო... ერთი–ორი კვირაც და, ასეთ ნიუსსაც ვიხილავთ: „25-კაციან საკრებულოში „ქართული ოცნების“ სამკაციან ფრაქციას 20 კაცი შეეყო“. შეეყო... ოციოვეს პასიკო ქვია და ოციოვე ანეტას წყევლის – მოგვატყუესო, გაგვაბრიყვესო... ეგეთების გადამკიდე, ფუი ეშმაკს, მალე ნუგზარ წიკლაურის ფანი გავხდები. „ჯერ დამოუკიდებელი დეპუტატების ფრაქცია შეიქმნება. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ისინი შემდგომ ეტაპზე“, — განაცხადა კახა ოქრიაშვილმა, რომელსაც ჯერჯერობით, დამოუკიდებელი პროვიზორის პოზა უკავია, მაგრამ რასაც ზემოდან უბრძანებენ, იმას დაიკავებს. მთავარი ისაა, თვითონ რას ფიქრობს, ვინ არის მის ზემოთ. ძალიან ფრთხილობს, რომ მთლი სააფთიაქო ქსელი არ გამოეყოს და სანაცვლოდ, ერთი რომელიმე კონკრეტული აფთიაქიდან აღებული ერთი რომელიმე კონკრეტული ხელსაწყო არ შეეყოს.

„ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ მაშინ, როდესაც საქმე ებრაელებს და ისრაელს ეხება“, – ეს სიტყვები პრეზიდენტმა („რატომღაც“ და „ჯერ კიდევ“ პრეზიდენტმა) მიხეილ სააკაშვილმა პოლონეთში წარმოთქვა. რა თქმა უნდა, პალესტინისა და გაერო-ს ამბავს გულისხმობდა. მართალია და შეე... შეეკითხეთ (ცუდი არაფერი მიგულისხმია, ენა დამება) თუ გინდათ. თუ გახსოვთ, რა ფრთხილად, რა ციმ–ციმ დააპატიმრეს ის ორი ებრაელი ბიზნესმენი, ჟურნალისტთა და სხვა პროფესიის ადამიანთა ეთიკის ქარტიების როგორი დაცვით ჩატარდა ის სპეცოპერაცია. ვიღაც ვიგინდარა ნასედკა კი არ მიუგზავნეს, თვით ნიკა გილაურმა ითავა ეს საქმე და ფარული ჩანაწერებიც გურამ გან... დონაძემ (ცუდი არაფერი მიგულისხმია, უცებ გვარი დამავიწყდა) კი არა, მგონი, თვით რენი ჰარლენმა გააკეთა, სანამ რუსთაველზე შეიკუნტრუშებდა.

ჰაი, მიშა, შე ვოვას თუქსუსო, როდის მორჩები მაიმუნობას?!

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით საყვარელიძე საგამოძიებო უწყებებს მოუწოდებს, ნებისმიერი შეკითხვა, რომელიც მასთან დაკავშირებით გააჩნიათ, „საჯაროდ გაუგზავნონ“ – საგამოძიებო უწყებებს საყვარელიძემ მას შემდეგ მოუწოდა, რაც საგამოძიებო უწყებებმა საგამოძიებო უწყებებში გამოცხადებისკენ მოუწოდეს, თუმცა საყვარელიძეს იმ დროისთვის ბრიუსელიდან უკვე ჰქონდა მოწოდებული, აქ ჩამოდიო და რა ექნა – გაემგზავრა.

ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსს დაიჭერენ!

ფინანსური პოლიცია კობა ხარშილაძისა და გიგი უგულავას საქმეებს სწავლობს

ეკა სეხნიაშვილი

ზურაბ ჟვანიას საქმის გახსნა ამ ხელისუფლების სინდისის საქმეა — ასე დააანონსა ჯერ კიდევ პოსტზე ახლადდანიშნულმა იუსტიციის მინისტრმა ყოფილი პრემიერ-მინისტრის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმის ხელახალი გამოძიება. მთავარი პროკურორი კი, რამდენიმე კვირის წინ, საზოგადოებას შეპირდა, რომ ზურაბ ჟვანიას საქმეზე მუშაობა დაიწყებოდა და პროკურატურის კულუარებში უკვე არსებობს ინფორმაცია, რომ ჟვანიას საქმის საბოლოო გახსნას, მისი გარდაცვალების თარიღს, 3 თებერვალს დაამთხვევენ.

ანალოგიურად, პროკურატურაში რამდენჯერმე მისული იყო გარდაცვლილი პრემიერის ძმაც, გოგლა ჟვანია, რომელიც კონკრეტული თანამდებობის პირების დაკითხვას პროკურატურისგან ელის. მათ შორის, ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე სახელდება. თუმცა, როგორც ჩანს, ძალოვან სტრუქტურებში შეთამაშებული სტრატეგიის სხვა ხერხს მიმართეს. ანალოგიურად, სააკაშვილის დროსაც მუშაობდნენ, როცა ფინანსური პოლიცია ან კონტროლის პალატა ამა თუ იმ ჩინ-მოხელის ფირმაში შევიდოდა, ხოლო რეალურად, ეს მხოლოდ ანკესი იყო, რომლის „ჩაშვების“ შემდეგ ღლავი უნდა დაეჭირათ. ახლა კი ინფორმაცია, რომელიც „ვერსიამ“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან მოიპოვა. ვერსიის წყაროს ინფორმაციით,

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი თბილისის მერიის კონკრეტულ ტენდერებს, კერძოდ, გამწვანების რამდენიმე ლოტის შესყიდვის საკითხებს სწავლობს. სწორედ ამ ტენდერში ამოტივტივდა შპს „გრინსერვისი“, რომლის ერთ-ერთი თანამფლობელი დაცვის სამსახურიდან გამწვანების ბიზნესში გადატყორცნილი, ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძეა. ხარშილაძესთან, რომელიც ჟვანიას დაცვის უფროსი იყო, საეჭვო კითხვები ყოფილი პრემიერის ოჯახის წევრებსაც ჰქონდათ. სხვათა შორის, ზურაბ ჟვანიას პირადი სეიფიდან პირადი ნივთებისა და დოკუმენტების სასწრაფო წესით გატანაში ხარშილაძეს ადანაშაულებდა გოგლა ჟვანია.

თუმცა პრემიერის გარდაცვალებიდან მალევე, ხარშილაძე ჯერ გამგებლის მოადგილედ, ხოლო მოგვიანებით, კერძო ბიზნესში გადატყორცნეს. სწორედ შპს „გრინსერვისი“ ფლობს ასეულობით ჰექტარ მიწას ლილოს მეურნეობის დასახლებაში და აღნიშნული ფირმა, ბოლო წლების განმავლობაში, მერიაში სერიოზულ თანხებიან ტენდერებს იგებდა.

რას სწავლობს ფინანსური პოლიცია ფირმა „გრინსერვისში“, რომელიც კობა ხარშილაძისაა და ასევე უგულავას მეგობრის, ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებლის, ლაშა ფურცხვანიძის სახელსაც უკავშირდება.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, საგამოძიებო დეპარტამენტი 2 მიმართულებით მუშაობს:

პირველი და გამოძიების ინტერესი გახლავთ ის სატენდერო წინადადება, რომლის მიხედვითაც, ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსის ფირმამ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სატენდერო წინადადება მოიგო და კვიპაროსების შესყიდვისა და გამწვანების კონკრეტული ვალდებულება აიღო თავის თავზე.

სწორედ ამ საქმეზე დაიკითხა, ამ ცოტა ხნის წინ, თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი. ჩნდება ვერსია, რომ კვიპაროსები არსებულ ფასებზე გაცილებით მაღალი თანხითაა შეძენილი.

ფინანსურ პოლიციაში მერიაში არსებულ „ატკატების“ სქემაზეც დაიწყეს საუბარი. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო მოქმედებით კი ორ კურდღელს დაიჭერენ, ამით ქალაქის მერის, გიგი უგულავას წინააღმდეგ „კომპრომატზეც“ იმუშავებენ, რომ უგულავა მეგობრის ფირმას ტენდერში ამარჯვებინებდა, იმისდა მიუხედავად, რომ სატენდერო პირობები კომპანიას ბიუჯეტისთვის ხელსაყრელი არ ჰქონდა და ხელოვნურად შეიძლება ყოფილიყო გაბერილი, მერიამ მაინც აღნიშნულ ფირმას მოაგებინა ტენდერი.

არსებული ინფორმაციით, „გრინსერვისს" 2010 წლიდან დღემდე 17 ტენდერი აქვს მოგებული. ბარათაშვილის ქუჩაზე ახალი ხეების დასარგავად თბილისის მერიამ დიდი თანხა გამოყო — 120 კვიპაროსის 3-4-მეტრიანი ნერგის დარგვა დედაქალაქს 225.000 ლარი დაუჯდა (?!). სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ გაირკვა, რომ თბილისის მერიამ ბარათაშვილის ქუჩაზე დასარგავი კვიპაროსების საყიდლად 8 თებერვალს ტენდერი გამოაცხადა. მერიას 120 ნერგი უნდა ეყიდა. დოკუმენტაციაში მითითებული იყო კვიპაროსის კონკრეტული სახეობაც. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 225 000 ლარი იყო დასახელებული. ამ ხის საქართველოში ჩამოტანის სურვილი, რატომღაც, ერთადერთ კომპანიას, შპს „გრინსერვისს“ გასჩენია და ტენდერშიც მხოლოდ ის მონაწილეობდა. „გრინსერვისის“ პირველადი შეთავაზებული თანხა მერიის გამოცხადებული სავარაუდო ღირებულების იდენტური აღმოჩნდა. რადგანაც „გრინსერვისს“ ტენდერში კონკურენტი არ ჰყავდა, შესყიდვის ღირებულება — 225 000 ლარი არ შეცვლილა. როცა მსოფლიო ბაზარზე არსებული კვიპაროსების ფასები ბევრად უფრო დაბალია, მერიასა და „გრინსერვისს“ შორის ხელშეკრულება 13 მარტს გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, მერიამ კვიპაროსის თითო ნერგში „გრინსერვისს“ 990 ლარი გადაუხადა — 120 ნერგში 118.800 ლარი.

თუმცა, ამ ვერსიისგან განსხვავებით, წყაროს ინფორმაციით, გამოძიების მთავარი ინტერესი მაინც „გრინსერვისის“ ერთ-ერთი მეწილის, ხარშილაძის გარშემო ტრიალებს. თუ საქმეში მტკიცებულებების წარმოჩენა მოხდება, გამორიცხული არც ისაა, რომ ფინანსურმა პოლიციამ საქმის მასალები პროკურატურას გადაუგზავნოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხარშილაძეს დაიბარებენ. საქმე ორი მიმართულებით გაიჭრება, როგორც პრივატულ საუბრებში მიუთითებენ, ხარშილაძისთვის ეს „ანკესი“ იქნება, გამოძიებისთვის — ჟვანიას საქმეზე „გასასვლელი“ გზა.

სხვათა შორის, თავის დროზე, თინა ხიდაშელის განცხადებით, ხარშილაძემაც და ფურცხვანიძემაც „გრინსერვისში" სიმბოლურ ფასად შეიძინეს 50-50%-იანი წილი.

თუმცა, მანამდე, რამდენიმე წლის წინ, ფურცხვანიძისა და ხარშილაძის კაბინეტებში (ძველი თბილისის გამგებლისა და მოადგილის პოსტებზე ყოფნისას) მოსასმენი აპარატურები იპოვეს. უგულავამ ისინი თანამდებობებიდანაც მალევე გაათავისუფლა, თუმცა საზოგადოების თვალის ასახვევად. იმხანად, სახელისუფლებო შტოებს შორის დაპირისპირებაზე იყო ლაპარაკი და, როგორც ჩანს, გიგი უგულავა იძულებული გახდა, მერაბიშვილთან ურთიერთობა აღარ გაემწვავებინა. რამდენიმე დღეში ხარშილაძე და ფურცხვანიძე „გრინსერვისის“ 50-50%-იანი წილის მფლობელები გახდნენ და ტენდერები ერთმანეთის მიყოლებით მოიგეს. შემდეგ კი მთელ ქალაქში „მწვანე საფართან“ დაკავშირებული ბიზნესიც მათზე აეწყო. ბათუმის ბულვარით დაწყებული და თბილისის აეროპორტის ტრასით დამთავრებული, გამწვანების ყველა ძვირადღირებული სამუშაო „გრინსერვისის“ შესრულებულია.

მერიამ ერთიმეორის მიყოლებით გამოაცხადა ტენდერები, რომლებშიც გამარჯვებული ყოველთვის „გრინ სერვისი“ გამოდიოდა. მაგალითად, აეროპორტის შუა ზოლის გამწვანებაზე შვიდჯერ გამოცხადდა ტენდერი ერთი და იმავე შინაარსის, ერთსა და იმავე მომსახურებაზე და „გრინსერვისს“ არც ერთხელ არ აღმოაჩნდა კონკურენტი. ხიდაშელი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პირობებში ყვებოდა, რომ ხდება ერთი და იმავე ადგილის გამწვანება, გადათხრა, ისევ გამწვანება და ა.შ. ფინანსური პოლიცია სწორედ ამ საკითხებს ჩაუჯდა.

„ვერსია“ ჟვანიას დაცვის ყოფილ უფროსს კობა ხარშილაძესაც დაუკავშირდა, რომელმაც ინტერვიუზე უარი განგვიცხადა, ამ ეტაპზე თავს შევიკავებო, თუმცა ხარშილაძე პრივატულ საუბრებში იმასაც აღნიშნავს, პროკურატურაში თუ დამიძახებენ, ყველა კითხვისთვის პასუხის გასაცემად მზად ვარო.

რაც შეეხება „შეკითხვის საჯაროდ გაგზვნას“, დღე არ გავა, ვინმეს საჯაროდ არ ვკითხო – ნეტავ, ის ვინ იყო, საკუთარი შეყვარებულისა და მისი მშობლების ტელეფონები მოსმენაზე რომ დააყენა–მეთქი, მაგრამ... ბაზარი არ არის – პასუხი არ არის.

საყვარელიძის ამბავი რიყის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისებისა და გამოსყიდვის ამბავია... თხა ვიყიდე, თხა გავყიდეო – ნათქვამი როა, ამათ (უგულავამ, მაქაცარიამ და საყვარელიძემ) ლარად გაყიდეს და ას ლარად გამოისყიდეს, ანუ თხა გაყიდეს და ძროხა იყიდეს და რასაა რომ ედავებიან, ნეტავ?!

„პოლიტიკურ დევნას ვპასუხობ საჯაროობით“, – თქვა საყვარელიძემ. „ეჰ...“ – ამოიოხრეს ზურაბ ადეიშვილმა, დათა ახალაიამ და სოსო თოფურიძემ. „მზად ვარ, ნებისმიერ დროს ვითანამშრომლო გამოძიებასთან იმიტომ, რომ ყველა კითხვაზე პასუხი მაქვს“, – თქვა ლაშა მაქაცარიამ, ხოლო იმათ ისევ ამოიოხრეს. „საყვარელიძესთან და მაქაცარიასთან კითხვები რომ გაქვთ, იმაზე მე მაქვს პასუხი“, – გაიფიქრა ადეიშვილმა.

და ახლა, როდესაც ასეთი ღირსშესანიშნავი ხალხი – ადეიშვილი, ახალაია, თოფურიძე, საყვარელიძე, მაქაცარია, უგულავა, სააკაშვილი გილაური... – ჩამოვთვალე, როგორ ფიქრობთ, რა გამახსენდებოდა გასული კვირის ამბებიდან? აი, ეს გამახსენდა: „გარემოს დაცვის სამინისტროში სახიფათო ნარჩენების მართვის შესახებ იმსჯელებენ. ტრენინგში „სახიფათო ნარჩენების მართვაში საკანონმდებლო და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება“, გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალისტებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, სოფლის მეურნეობის, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ფინანსთა სამინისტროების, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს, მარნეულის მუნიციპალიტეტის, ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები საკანონმდებლო საკითხებში“.

აი, ასეთი ამბავი გამახსენდა და, რა ამბავია ამდენი სპეციალისტიო – იკითხავთ თქვენ, მაგრამ სახიფათო ნარჩენების გვარებიც ხომ ბლომად ჩამოვთვალე? თანაც, სახიფათო ნარჩენთა შორის არ ჩამომითვლია ასოთა (არასამთავრობო ორგანიზაციათა) წარმომადგენლები – სიტყვის თავისუფლების დამცველები, გულის სიღრმეში სიტყვის თავისუფლების ყოველ დარღვევას რომ მიესალმებიან; სექსუალურ უმცირესობათა ქომაგნი, რომლებიც დღენიადაგ ნატრობენ, რომ სადმე ვინმე სცემონ და ოღონდ ის ნაცემი პედერასტი აღმოჩნდეს; რელიგიურ უმცირესობათა გულშემატკივრები, სიამოვნებით რომ მოაწყობდნენ ბართლომეს ღამეს; ბუნების მეგობრები, ბრაკონიერებთან რომ მეგობრობენ...

ჭანტურიაზე ზეწოლა ხომ არ იყოო!!! აბა, ჩქარა ფონდში, ხატიასთან. ქეთის დავურეკოთ, გრანტს გავარტყათ და არ გავარტყით გია ჭანტურიას?!

აი, თქვენ კი გაგარტყათ ორ მეტრზე მაღალმა და ას კილოგრამზე მძიმე ყველა კინოპერსონაჟმა, კინგ–კონგის თამადობით!!!

ვაჰ, რა პარადოქსებით აღსავსე დროში ვცხოვრობთ, შავერდაშვილმა ბენდუქიძე შემაყვარა, მწვანე გაჩეჩილაძემ – ხათუნა გოგორიშვილი, დმანისელმა მოცეკვავე კაცუნებმა – ბოცო–ნუგზარ–წუგზარ წიკლაური და ამ მედია–ექსპერტების გადამკიდეს, ლამის ალისტრახო როხვაძეზე და ბიჭიკო გვენეტაძეზე მომილბეს გული, რომლებმაც, როგორც საგენტო გვატყობინებს, „დაკითხვის შემდეგ პოლიცია უკომენტაროდ დატოვეს“.

კი დაიკითხნენ, მაგრამ ჭკუა თუ მოეკითხებათ? – ეს კითხვა პასუხს ითხოვს. და, ერთი კითხვაც, თუმცა ჯერ ნიუსი: „ვანის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარე დავით კაკაბაძეს სასამართლომ 13 000-ლარიანი გირაო 7 000 ლარამდე შეუმცირა. თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დღეს გამართულ პროცესზე ბრალდების მხარე კაკაბაძისათვის გირაოს ოდენობის 15 000 ლარამდე გაზრდას ითხოვდა“.

დავით კაკაბაძე... დიდი ქართველი მხატვარი... ბოლოს, როდესაც პურის რიგში ვიდექი და ჯიბეში ხურდებს ვაჩხარუნებდი, მახსოვს, ვიღაცამ ათლარიანი კუპიურა ამოიღო, თვალი მოვკარი წარწერას „დავით კაკაბაძე. იმერეთი, დედაჩემი“.

გასულ კვირაში დავით კაკაბაძე დაიკავეს, თუმცა ეს სხვა დავით კაკაბაძეა, მას არაფერი დაუხატავს, ის მხოლოდ ჭამს და სვამს და თუ დაუმტკიცდა, რომ მეტი მოუვიდა, მოუწევს რამდენიმე წლით ჩაჯდომა და რა უნდა აკეთოს ამ დროს ასეთმა კაცმა (და, საერთოდ, ასეთმა ხალხმა), თუ არა დაწეროს მემუარები და სათაურად დააწეროს „იმერეთი, დედიჩემის“.

დ.ი.ყ. (დაამტვრიეთ ის ყუთი) „ტელევიზორში მოსახვედრად ფრეკენ ბოკს შიგ შეძრომა არ დასჭირდება. შეიძლება მისგან რამდენიმე მილის დაშორებით იჯდეს თავისთვის და ეკრანზე მაინც ცოცხალივით გამოჩნდება“ – აუხსნა ბიჭუნამ. „შინამტანჯველი... ცოცხალივით... რა საშინელებაა, – წამოიძახა კარლსონმა, – ან დაამტვრიე ეს ყუთი, ან ფუნთუშებიან ყუთში გაცვალე. უფრო გამოგვადგება“.

(ასტრიდ ლინდგრენი, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“)

facebook NEWS

მოვითხოვთ მარიხუანას ლეგალიზაციას!

მარიხუანას დეკრიმინალიზაციის პეტიცია

საქართველოს პრეზიდენტს მიხ-ეილ სააკაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, საქართველოს პარ-ლამენტს.
ჩვენ, ქვემორე ხელმომწერი საქა-რთველოს მოქა-ლაქეები, გთხოვთ, განიხილოთ ანტინარკოტი-კულ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის საკითხი, რომლითაც მოხდება ნარკოტიკების კატეგორიზაცია – მარიხუანა გამოეყოფა იმ ნარკოტიკებს, რომელთა მოხმარებისთვისაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრი-ვი ან ადმინისტრაციული დევნა და მოხდება მისი მოხმარების დეკრიმინალიზაცია.
ჩვენი მიზანია, პიროვნული თავისუფლების დაცვა და არა მარიხუანას პოპულარიზაცია. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მარიხუანას მოხ-მარება შეიძლება არ არის სასურველი, მაგრამ 21–ე საუკუნეში მისი მოხმარების გამო სახ-ელმწიფოს მხრიდან ადამიანების დევნა ცივი-ლიზებული საზოგადოებისთვის მიუღებელია.

სარკოზოგა: *შევარჩიოთ ვინმე პარლამენტარი, დავითანხმოთ ლობისტობაზე, გავაკეთოთ საინ-ფორმაციო ჯგუფი (მეცნიერებისგან, მსახიობებისგან ცნობილი ადა-მიანებისგან შემდგარი ჯგუფი), ერთი ორი გამოსვლა/„ივენთიც“ მოვარტყათ ლეგალიზ-ების ან მინიმუმ დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით და ზაფხულსთვის რაღაც შედეგი გვექნება*

Aleko Bibichadze: *მთავრობა რომელიც მარ-იხუანის ლეგალიზაციას არ მოახდენს, ირიბად მზადაა, დაკავების მიზნით ჯიბეში ჩაუდოს ნებისმიერ მოქალაქეს იგივე მარიხუანა*

Niko Nadirashvili:

საქართველოს ტელევიზიას, ნუგზარ ფოფხაძის შემდეგ ხელმძღვანელი არა ჰყოლია!!! ფოფხაძის დროს ქართული ტელევიზია აყ-ვავდა! მე, მაშინ 5 წელი ვიმუშავე მასთან... ჩემი თვალით ვხედავდი როგორ მუშაობდა ბატონი ნუგზარი! ნუგზარ ფოფხაძე მაგარი ქართვე-ლია!!! 18 წლის ბიჭს მთხოვა, საქართველოში შემექნა პირველი დიდი ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი... და ჩამომეყალიბებინა კიდეც... რამდენი ქართული ანსამბლი შე-ქმნა ფოფხაძემ საქართველოში დღეს ვინმემ იცის?!... ან ვინმეს გაინტერესებთ?!... არა-ვის!!! თუ კიდევ ცოცხალია ეს კაცი, მუხლზე დაუდექით და შეეხვეწეთ, როცა გიჭირთ!!! ... და თუ გიჭირთ, იმიტომ გიჭირთ, რომ საქა-ართველოში პურს მეპურე კარგა ხანია აღარ აცხობს!!! კაგებეშნიკმა კაგებეს მიხედოს... მეპურემ პურს!!!... არასოდეს დამავიწყდება, ნუგზარ ფოფხაძე როგორ აკონტროლებდა ყოველი გადაცემის წამყვანს, რომ მას ქა-ართული ენა არ დაემახინჯებინა... მოკლედ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო ამ დიდი ქართველის უდიდეს ღვაწლზე, თუ არ უნდათ, მაინც არ გაიგებენ... განა ვერ გაიგებენ — არ გაიგებენ!!! ... მე ჩემი ვთქვი და დანარჩენი იმან იფიქროს, ვის გასაგონადაც ვთქვი!!! ამას, ადრე თუ გვიან, მაინც ვიტყოდი! საქა-ართველო ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში იქნება თუ არ გადავეჩვევით თანამდებობებზე იმ ხალხის დანიშვნას, რომელიც „ბიძაშვილ-მამიდაშვილია“, „კლასელია“, „საყვარელია“, „ცოლის დაქალია“, „ვისიც გვეშინია'... და ასე შემდეგ... („პრიჩინას“ რა დაულევს...?!) და ბოლოს, თუ ვინმეს შეგიძლიათ ჩემგან და ჩემი დიდი ოჯახის ყოველი წევრისაგან დიდი სიყვარული და პატივისცემა გადაეცით ნუგ-ზარ ფოფხაძეს!!! ნუგზარ ფოფხაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურისა და ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში!!! ქართველებო, მოიკითხეთ ეს კაცი, თუ ჯანზეა ვიცი, საქართველოს სიყვარულში არ დაგზარდებათ!!!

„თუ ვანო მერაბიშვილს დაიჭერენ, ეს ისეთივე წითელი სიგნალი იქნება ევროპიდან, რაც უკრაინას აუნთეს ტიმოშენკოს დაჭერისას“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

ქდმ-ს რა ინიციატივები მოიპარეს „ნაციონალებმა“, ვინ არიან „ვაჭრები“ და „რაინდები“ დღევანდელ პარლამენტში, როგორ ჩამოვიდა „ნაციონალური მოძრაობა“ „ქრისტიან-დემოკრატების“ რეიტინგამდე, რა შემთხვევაში გველის ძალოვანი გადატრიალება და რა ინფორმაცია გამოდის სწორედ ამ უწყებებიდან გიგა ბოკერიას პოლიტიკური ვაჭრობის შესახებ — არჩევნების შემდეგ, მდუმარებას „ქრისტიან-დემოკრატი“ ლევან ვეფხვაძე არღვევს და „ვერსიისთვის“ სკანდალურ შეფასებებს აკეთებს:

ლევან ვეფხვაძის სკანდალური პროგნოზი

— არჩევნების მერე საერთოდ აღარ ჩანხართ — ახალ მთავრობას თქვენც ოქროს 100 დღე მიეცით, ხმას რომ აღარ იღებთ?

— ახლა ჩვენი სტრატეგიული გეგმის კორე-ქტირების ეტაპზე ვართ, რომელიც სამწლიან პერიოდს მოიცავდა და იქ, ცხადია, საპარლამენტო არჩევნების ეს შედეგი არ გაგვითვალისწინებია. ეს არჩევნები კი არა, რეფერენდუმი იყო, სადაც დაისვა კითხვა — გინდა სააკაშვილი თუ არა და მესამე პასუხი არ არსებობდა. ჯამში, ახალი ხე-ლისუფლება კი არ ავირჩიეთ, ძველი გადავირჩიეთ და ამის გამო შეექმნა პრობლემები ჩვენს პარტიას. ბევრს ეგონა, „დიდფულიანი“ კაცი მოვიდოდა, რომელიც ამ ფულს ამოიღებდა და დაარიგებდა. ეს მოლოდინი არსებობდა ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ და ყველას ახსოვს გრძელი რიგები „არკადიასთან“. ასეთივეა მოლო-დინი ბიძინა ივანიშვილის მიმართაც, მაგრამ ამომ-რჩეველი დარწმუნდება, რომ ფულის ამოღება და დარიგება არ იქნება და ეს სწორიცაა!

— ბოლო კვლევებს ნახავდით, სადაც „ოცნებას“ უპრეცედენტოდ მაღალი რეიტინგი აქვს და არც თქვენ ხართ მთლად გამქრალი პოლიტიკური სივრციდან. რა მინიშნებას გაძლევთ ეს შედეგები?

— საინტერესოა, რომ ჩვენი ე.წ. მეორე არჩევ-ანი კვლევებში 13%-ია, „ნაციონალების“ — 3%. პირველ არჩევანში კი მათ აქვთ 13%, ანუ ჩვენი რეიტინგები თითქმის ერთ დონეზეა. ბუნებრივია, წინ ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ ის სტერეოტიპი, რასაც „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გვაწებებდნენ, მოგვშორდება, რადგან ხე-ლისუფლება შეიცვალა. „ნაციონალების“ მომავლის მიმართ კი ძალიან პესიმისტურად ვარ განწყობილი.

— რატომ — შეიცვალა ხელისუფლება და ქდმ-ს განწყობები შეეცვალა?

— უბრალოდ, ვერ ვხედავ პერსპექტივას, რომ ეს პოლიტიკური გუნდი უახლოესი 8 წლის განმავლობაში ელექტორატის შემობრუნებას მოახერხებს.

— თქვენ საპარლამენტო უმცირესობა იყავით, ახლა უმცირესობაში ყოფილი ხელისუფლებაა. მათი მუშაობის სტილი მოგწონთ?

— ახლა ისინი პარლამენტში ჩვენი ინიციატივებით გამოდიან — პავლე კუბლაშვილს 4 წელი ვეუბნებოდი, აუცილებელია, სამი მნიშვნელოვანი კომიტეტიდან, ერთის თავმჯდომარედ მაინც, უმცირესობის წევრი დაინიშნოს-მეთქი, მაგრამ ის და გოგორიშვილი დაგვცინოდნენ, იოცნებეთო. ახლა ხომ შემოუბრუნდათ უკან ოცნება?! ის, ამას ირონიით ხვდებოდა, დღეს იგივე მოთხოვნას არ უნდა აყენებდეს — სირცხვილია! თან, ჩვენი და დღევანდელი უმცირესობის შედარება რაოდენობის გამოც არ გამოვა, ისინი ძალიან ბევრნი არიან საიმისოდ, რომ უმრავლესობას პრობლემები შეუქმნან — რაც უნდა მაჟორიტარები, ისიც ძირითადად მეწარმეები გამოეყოთ, „ნაციონალებს“ 40-45 კაცი სულ დარჩება. ეს მეწარმეები, თავიანთი აზროვნებით, პოლიტიკოსები არც არიან.

„ვეფხისტყაოსანში“ რაინდებისა და ვაჭრების კარგი დახასიათებაა, რაც ერგება სიტუაციას პარლამენტში. ტერმინი „ვაჭარი“, დღევანდელი გაგებით, ცუდია, მაგრამ ახლანდელი მეწარმე მაშინდელი ვაჭარი იყო — იქ კი ნათქვამია, რომ „წვრილვაჭარნი“ რაინდებად ვერ შედგებიან! რაინ-დობა უკვე პიროვნული თვისება კი არა, პროფესიაა — როცა ბრძოლაში შედიხარ და რისკზე მიდიხარ, პოლიტიკოსი ხარ. მეწარმე კი მხოლოდ ფულის მოგება-წაგებას რისკავს. ისე, „ნაციონალების“ ადგილას 6 თვე სულ დავდუმდებოდი — ეგება, ვინმეს დაავიწყდეს, რასაც ვაკეთებდით-მეთქი. ამიტომ დღეს მათი აქტიურობა ხალხს უფრო აღიზიანებს, ვიდრე მოსწონს.

— არ გეჩვენებათ, რომ „ნაციონალები“ ხალხისთვის კი არა, საერთაშორისო საზოგადოებისთვის აქტიურობენ?

— მათ აქტიური ხაზი აქვთ აღებული — დღე-ვანდელი მთავრობის დისკრედიტება დასავლეთში! სხვათა შორის, 2004 წლის მაისში აჭარის რევოლუ-ცია რომ არ ყოფილიყო, „ნაციონალების“ მიმართ იმედგაცრუება უფრო ადრე დაიწყებოდა, აჭარის თემამ კი პოზიტიური ქულები ჩაუნერა. შესაბამ-ისად, მარტო დაჭერებით ვერც ეს ხელისუფლება გავა ფონს. დაჭერები რაღაც პერიოდი იმუშავებს, მაგრამ ცოტა ხანში გამაღიზიანებელი ფაქტორი უფრო იქნება.

— არც ამ დაჭერებთან დაკავშირებით აქვს „ოცნებას“ სახარბიელო ვითარება — ის, ვისი დაჭერაც ხალხს რეალურად უნდა, პროკურა-ტურაში მიდი-მოდის, ან საქართველოში საერ-თოდ არ არის!

— ასეა: ადეიშვილი-ახალაია ქვეყანაში არ არიან. ვანო მერაბიშვილის დაჭერა კი, ერთი მხრივ, ხალხის შეკვეთაა, მეორე მხრივ, „ოცნების“ ჩაკეტილი წრე — თუ ვანო მერაბიშვილს დაიჭერენ, ეს იგივე წითელი სიგნალი იქნება ევროპიდან, რაც უკრაინას აუნთეს ტიმოშენკოს დაჭერისას. ტიმოშენკოზეც ვერ ვიტყვით, მამა აბრამის თუ „დედააბრამის“ ბატკანიაო და ბუნებრივია, ვანო-ზეც ბევრი ფაქტის ამოღება შეიძლება, რის გამოც იგი დასაჭერია. თუმცა როგორც ჩანს, დასავლეთი აქცენტს აკეთებს არა იმაზე, ვინაა დასაჭერი და ვინ არა, არამედ იმაზე, რომ ივანიშვილმა გა-ნუსაზღვრელი ძალაუფლება არ მიიღოს! გარდა ამისა, სააკაშვილ-მერაბიშვილის ხელშეუხებლობა დასავლეთს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის მაგალითის საჩვენებლადაც სჭირდება. საქართ-ველოს გზაზე ბევრი რესპუბლიკა მოდის ხოლმე. მათთანაც დადგა ხელისუფლების ე.წ. მშვიდობიანი ტრანსფორმაციის ეტაპი და ახლა ჩვენ გვიყურებენ. დასავლეთისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ აქ პირველი პირები არ დაიჭირონ, რათა იქ დემოკრა-ტიული არჩევნები ჩატარდეს იმ იმედით, რომ ძველი ხელისუფლების პირველ პირებს არ შეეხებიან.

— ანუ, ახლა მთელი მსოფლიო ივანიშვილის პოლიტიკისა და ქართველი ხალხის დაკვეთის წინააღმდეგაა?

— ყოველ შემთხვევაში, დღეს ივანიშვილს აქვს საზოგადოებრივი დაკვეთა — მიდგეს და ყველანი დაიჭიროს და ამას წინ ძალიან დიდი ბარიერი უდ-გას, დასავლეთის სახით! ამიტომ მგონია, რაღაც დროის მერე, ივანიშვილი ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება. მეორე მხრივ, ბევრი სოციალური ჯგუფია, რომელთა დაკმაყოფილება ბიუჯეტში არ გაითვალისწინეს — კოოპერატიული ბინათმშენე-ბლობები, ვეტერანები, რეგრესის პენსიონერები და ა.შ. დაგვპირდნენ ტარიფების რეალურად დაწევას, რაც არ ხერხდება.

— რატომ, როგორც მინისტრი კალაძე ამ-ბობს, ელექტროენერგიაზე ტარიფების დაწევის გადაწყვეტილება უკვე დასკვნით ეტაპზეა.

— ხალხის მოლოდინი სულ არ იყო გადასახა-დის 10%-ით დაწევა. ხალხს ამ გადასახადის განახევრება უნდა, ეს კი მხოლოდ მაშინ მოხ-ერხდება, თუ ივანიშვილი „თელასს“ იყიდის. მოკლედ, ამ მოლოდინს რომელიმე კონკრეტული მიმართულებით მაინც სჭირდება გამართლება — ან მერაბიშვილი უნდა დაიჭირონ, ან ტარიფები გაანახევრონ. მოკლედ, ან „პურმა“ უნდა გადაწონოს, ან სანახაობამ. მკითხაობა უმადური საქმეა, მაგრამ სოციალური მოტივები, ანუ გადასახადის დაწევა ახალი ხელისუფლებისთვის უფრო „გრძელ-ვადიანი კმაყოფილების ბილეთი“ იქნება, ვიდრე დაპატიმრებები.

— ამასობაში, გივი თარგამაძე რევოლუციით იმუქრება და „ნაციონალებისგან“ რევანშს ბევრი ელის — არის ამის რესურსი ნახელისუფლარ პარტიაში?

— დღეს საფრთხე ძალოვანი გადატრიალებაა. პრეზიდენტს ყველა ძალოვანი მინისტრის შეცვლა და პოლიციაზე ძალაუფლების ხელში აღება შეუ-ძლია — თუ სააკაშვილმა ეს გააკეთა, სამოქალაქო ომი იქნება! თუ ივანიშვილი მერაბიშვილს დაიჭერს, ჩემი აზრით, სააკაშვილი ამ ნაბიჯზე წავა, რადგან ხვდება, რომ ვანოს მერე მისი ჯერი დადგება! მგონია, სააკაშვილი ამით ვაჭრობს. ამიტომ ახლა, ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის, კარგი გაგებით, გარიგება გვჭირდება.

— სიტუაცია ასეთია — ან ხალხი გამოდის „ოცნების“ წინააღმდეგ, ან „ოცნება“ იჭერს მერაბიშვილს და სააკაშვილი სამოქალაქო ომზე მიდის? ამის წინააღმდეგი დასავლეთი არაა?

— ჰოდა, კვანძის გახსნა ისაა, რომ ხალხი „ოც-ნების“ წინააღმდეგ არ გამოვა, თუ სოციალური მო-ტივი დაკმაყოფილებული ექნება. შესაბამისად, ისევ იქ მივდივართ, რომ ბიძინა ივანიშვილმა „თელასი“ უნდა იყიდოს.

ამას გარდა, კუდ-ისა და სოდ-ის დიდი ნაწილი დაითხოვეს და სახლში გაუშვეს, ამიტომ ეს ხალხი, ბუნებრივია, გამწარებულია და დღეს თუ შს მინისტრად მიშა ისევ თავის კაცს დანიშნავს, გაყრილი ხალხი უკან დაბრუნდება და ხელში ისევ იარაღს აიღებს. ვინც ახლაა სამინისტროში, ისიც ხომ იარაღიანია და საფრთხეც სწორედ იმაშია, რომ თუ ადრე გვქონდა თეორიული შანსი, იარაღიანი ხალხი და მოსახლეობა ერთმანეთს დაჯახებოდა, ახლა იარაღიანი ორი მხარე ეჯახება ერთმანეთს! რამდენჯერმე მომივიდა ინფორმაცია, რომ სწორედ გიგა ბოკერიაა ის პერსონა, ვინც სააკაშვილის რადიკალურ გადაწყვეტილებებს აჩერებს და მისი დამსახურებაა, პრეზიდენტმა ძალოვანი მინისტრები აქამდე რომ არ დაითხოვა!

თუმცა, „ოცნების“ მისამართით ეს მუქარა მუდმივად არსებობს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბოკერიაც ვაჭრობს — ის ეუბნება ახალ ხე-ლისუფლებას, მე ამ კაცს ვაჩერებო!

— ანუ, ამით ბოკერია თავს იზღვევს, რომ მასაც არ დაიჭერენ და ახლა ის ხიდია ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის?

— ცხადია, რომ ამ ორ ძალას შორის კომუნიკაცია არსებობს. სააკაშვილის მხრიდან სამი ძირითადი ფიგურა იყო, ვისთანაც „ოცნებას“ კომუნიკაცია ჰქონდა. ბოკერია, მერაბიშვილი და უგულავა. ამ შემთხვევაში, უგულავა და მერაბიშვილი კომუ-ნიკაციიდან ამოვარდნენ, რადგან მათ პირდაპირ ემუქრებიან დაჭერით. დარჩა ბოკერია — დარწ-მუნებული ვარ, დღეს ის ხაზზე ერთადერთია ახალ ხელისუფლებასთან და ამბობს — უგულავასა და მერაბიშვილს თუ დაიჭერთ, მიშას ვეღარ გავა-ჩერებო. გიგის დაჭერა გაცილებით ადვილია. მერია ისეთი სტრუქტურაა, არჩეული მერით კი ყველა იმდენად უკმაყოფილო, მისი დაჭერა ყოველთვის შეიძლება. თუმცა უგულავას დაჭერას დასავლე-თის თვალში ძალიან სერიოზული არგუმენტები სჭირდება. საერთოდ, ვფიქრობდი, რომ ეს დაჭერები გაზაფხულამდე არ დაიწყებოდა, რადგან ბევრ მა-სალას მოკრება სჭირდებოდა, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკურ დევნას არ დამსგავსებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. უგულავას კი, ვფიქრობ, უფრო თებერ-ვალში დაიჭერენ და მისი დაპატიმრების ალბათობა გაცილებით მაღალია, ვიდრე მერაბიშვილისა.

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„კომისიიდან ინფორმაცია გამქონდა და დღესაც გავიტანდ!.. მე სინდისი მშვიდად მაქვს!“

ადამიანის, განსაკუთრებით, პატიმრების უფლებების დაცვა უმადური საქმე რომაა, თან საქართველოში, ამაში ბევრი დარწმუნდა. სადავო აღარაა, რომ პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სიამ დიდი კითხვის ნიშანი და იმაზე მეტი უკმაყოფილო მხარე დატოვა, ვიდრე კმაყოფილი. არც ბრალდებების კორიანტელი წყდება და არც იმ ადამიანთა რიგი, ვისაც სურს, რიგით მეორე სიაში საკუთარი პატიმარი მოახვედროს. „ვერსიამ“, კონკრეტული ადრესატის მისამართით გახმოვანებული, ფაქტობრივად, ყველა კითხვა და ბრალდება მოკრიბა და მათზე საკმაოდ საინტერესო პასუხებიც მიიღო — გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკური სტატუსის დამდგენი კომისიის ყველაზე აქტიურ წევრ ნანა კაკაბაძესთან:

— მივყვეთ ქრონოლოგიურად — პირველად თქვენი კომისია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (საია) და „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ დატოვა. ამ უკანასკნელმა თქვა, სამუშაო ჯგუფიდან პატიმრებთან ინფორმაციები ნანა კაკაბაძეს გაჰქონდაო. რა ინფორმაციაზეა საუბარი და რა ხდებოდა ასეთი კომისიაში, რომ ორგანიზაციები პროცესის გაუმჭვირვალობის მოტივით წავიდნენ?

— მოდი, ღია ტექსტებით ვისაუბროთ: სააკაშვილის რეჟიმის დროს, ეს 2 ორგანიზაცია ოდესმე გამოსულა და უთქვამს, ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრები გვყავსო? ეს მათთვის არათუ პრიორიტეტული არ იყო, ამ თემაზე მიზანმიმართულად დუმდნენ! აიღეთ მათი ბოლო წლების ანგარიშები — იქ სიტყვა „წამება“ არ არსებობს მაშინ, როცა მარტო ჩვენმა ორგანიზაციამ 2004 წლის მაისში ევროკავშირს წამების 400-ზე მეტი მსხვერპლის სია ჩააბარა! ჰოდა, როცა არჩევნების წინ ამათ ნახეს, რომ რეალობა შეიცვალა, ალაპარაკდნენ. 2010 წელს, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებმა 19 პოლიტპატიმარი აღიარა საქართველოში, ისინი დუმდნენ! ისინი ჩაუხედავნი იყვნენ ამ სფეროში და არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდათ! რაც შეეხება პატიმრებთან ინფორმაციის გატანას, ეს ბნელი განცხადებაა! რას ნიშნავს, ინფორმაცია გამქონდა. დახურული იყო იქ რამე?! რა იყო არგასატანი — გამქონდა ინფორმაცია და ყველაფერს გავიტან დღესაც! იმ სხდომებზე ჟურნალისტებს იმიტომ არ ვასწრებდით, რომ ვიღაცას კამერის წინ სხვანაირად არ ელაპარაკა, თორემ ნანა კაკაბაძეს არც ერთ ადვოკატთან, არც ერთი პატიმრის ოჯახის წევრთან და საზოგადოების არც ერთ წარმომადგენელთან პროცესი დამალული არ აქვს! ვინც ამ პროცესს ხურავდა, იმან გაგვცეს პასუხი, ამას რა მიზნით აკეთებდა!

— და ვინ ხურავდა?

— არც არავის უთქვამს, რომელიმე სხდომა დახურულიაო!

— „პოლიტიკა არაფერ შუაშია, თავშია ფული, რომელსაც დარწმუნებული ვარ, კაკაბაძე იღებდა... ჩახედეთ სიაში მეშვიდე ნომერს — ზვიად ბერაძე არის ადამიანი, რომელიც კაცისკვლაზე წავიდა და კაკაბაძემ განაცხადა, მისი ამ სიაში შეყვანის ერთადერთი საფუძველი ისაა, რომ ჩემი ძმის მეგობარიაო“ — უპასუხეთ დეპუტატ გივი თარგამაძის ბრალდებას!

— რა ზვიად ბერაძე, რა კაცი მოკლა?! მთვრალი იყო გივი თარგამაძე, მაგას რომ ამბობდა და სიმთვრალეში ბოდავდა რაღაცას! ეს ზვიად ბერაძე ნინო ბურჯანაძის დეიდაშვილი ყოფილა და რატომ იყო ჩემი ძმის ძმაკაცი, ხომ ვერ მეტყვით? ამ ნაბოდვარს პასუხს ვერ გავცემ! თარგამაძე რომ ამტკიცებს, ფულს იღებდაო, ხომ უნდა ჰქონდეს ფაქტი?! მიდით ზვიად ბერაძესთან და ჰკითხეთ, მომცა თუ არა ფული! საქართველო ის ქვეყანაა, ვინმემ ვინმეს ფული მისცეს და დაიმალოს? ამას არც ერთი პატიმარი არ დამალავს და ვინმესთვის მანეთიც რომ ჰქონდეს მიცემული, როგორც კი გამოვა, მაშინვე იტყვის! თარგამაძისთვის ფულის იქეთ, ღირებული და ფასეული არაფერი არსებობს. მას ვერც წარმოუდგენია, ეს საქმე ვინმემ ისე გააკეთოს, როგორც ნანა კაკაბაძე აკეთებდა! მე ვიყავი ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მისთვის, რადგან კომისიაში ბევრი ჰყავდა შემოგზავნილი!

— კონკრეტულად, ვინ?

— ეს ყველას კარგად ესმის ისედაც! გივი თარგამაძე ფიქრობდა, რომ ის „პუპ ზემლი“ და „სამყაროს ცენტრი“ ორგანიზაციები სიტუაციას ააყირავებდნენ, ვინაიდან მათი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, რადგან კედელივით დახვდა ნანა კაკაბაძე და ახლა იმიტომ მესვრიან ტალახს! ახლა რომ ვთქვა, გივი თარგამაძემ ნინო კომახიძეს დაავალა, წადი, კაკაბაძისგან აიღე ინტერვიუო, სწორი ვიქნები? შემიძლია, კითხვებით ვივარაუდო, დაგავალათ თუ არ დაგავალათ ამის გაკეთება ვინმემ, მაგრამ რომ ავდგე და ვთქვა, „ვერსიის“ ჟურნალისტს თარგამაძემ კაკაბაძესთან ეს კითხვები დაავალა-თქო, გივი უნდა ვიყო, თარგამაძე!

— შეგიძლიათ „ქართულ პარტიაზეც“ თქვათ, რომ ფული გადამიხადა ამ კითხვისთვის, მაგრამ ფაქტები აჩენს კითხვებს — როგორ მოხდა ისე, რომ ირაკლი ოქრუაშვილი, „ზილების რევოლუციის“ მონაწილე ძმები ტერაშვილები, საბაშვილი და შიუკაშვილი, რომლებიც 3 დეკემბერს სიაში იყვნენ, 4 დეკემბერს, ღამე სიიდან გაქრნენ? რატომ ამოიღეთ ისინი სიიდან, თან მაშინ, როცა თურმე, კომისიას მთელი სია შესათანხმებლად ირაკლი ოქრუაშვილისთვის ჯერ კიდევ მის ჩამოსვლამდე გადაუგზავნია?

— როგორ გეკადრებათ, მსგავსი არაფერი ყოფილა! ოქრუაშვილის არც მისამართი ვიცი, არც ტელეფონის ნომერი და იმეილი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეთხოვა, სიას, რა თქმა უნდა, გადავუგზავნიდი. თუმცა ვინაა ირაკლი ოქრუაშვილი და რატომ უნდა შეგვეთანხმებინა მასთან. უბრალოდ, ყველა პოლიტიკურ ლიდერს, ვისი პარტიის პატიმრებიც მოხვდნენ სიაში, ვაჩვენეთ, რომ არაფერი გამოგვრჩენოდა. რაც შეეხება რამდენიმე კაცის ამოღებას სიიდან, ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენ სიაში ეს ხალხი ნამდვილად იყო, მაგრამ საია-მ ამოიჩემა, „ზილების“ საქმე ჩვენ გვაქვს კარგად შესწავლილიო, რომ მოვთხოვეთ, გვარები გადმოგზავნეთო, 2-3 კაცის გვარი მივიღეთ. ჩვენ კი, ვინც ამ საქმეზე საბრალდებოში იჯდა, ყველა გვყავდა სიაში! ეკა ბესელიას პრინციპული მოთხოვნა იყო, რადგან საია-ს უნდა ამ საქმის გაკეთება, გააკეთოსო, მაგრამ არავის არაფერს ვაბრალებ! რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, მასთან მიმართებაში ყველაფერი აბსოლუტურად კანონიერი იყო!

— მას ხომ ფრანგული სასამართლოდან ჰქონდა პოლიტიკური თავშესაფარი, შესაბამისად, სტატუსიც?

— დიახ და ის მაშინვე მოეხსნა, როგორც კი საქართველოში შემოვიდა.

— და პოლიტდევნილებიდან პოლიტპატიმრების რიგში არ გადავიდა?

— გასტრონომიის რიგი ხომ არ არის, ყველის რიგიდან კარაქის რიგში გადასულიყო?! მათი არგუმენტი არასწორია — ოქრუაშვილს ჰქონდა პოლიტიკური დევნილის სავარაუდო სტატუსი, შემოვიდა ქვეყანაში და მოეხსნა ეს სტატუსი, მაგრამ რომ მოეთმინა და 5 დეკემბრის მერე ჩამოსულიყო, კონკრეტულად, „ზილების რევოლუციის“ საქმეზე, ხელსაც ვერავინ ახლებდა.

— სამაგიეროდ, მაინც ჩაჯდებოდა „ჯეოსელის“ წილების საქმეზე და ვერც პოლიტიკური პატიმრის სტატუსს მიიღებდა, არა?

— რა თქმა უნდა, მაინც ჩაჯდებოდა, უბრალოდ, მას „ზილების“ საქმეზე ვერ აიყვანდნენ. ამიტომ, ოქრუაშვილი ცალსახად ვერ იქნება პოლიტიკური პატიმარი — ეს სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ივანიშვილი მასზე პოლიტიკურ დევნას განახორციელებს! თუმცა ოქრუაშვილს უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება და პირადად დავიცავ მას, პირადად ვიქნები ყველა პროცესზე და თუ ბრალი არ დაუმტკიცდა და მაინც არ გამოუშვეს, პირადად მე ვიტყვი, რომ ის პოლიტიკური ნიშნითაა დაპატიმრებული. მე სინდისი მშვიდად მაქვს!

— რა ეშველება ნორა კვიციანსა და იმ ადამიანებს, ვინც ამ სიის დამტკიცებამდე ერთი თვით ადრე გამოვიდა და ახლა სტატუსს ითხოვს?

— სამართლიანობა ნამდვილად მოითხოვს, რომ ამ ადამიანებს სტატუსი ჰქონდეთ, მაგრამ ჩვენი პრიორიტეტი პატიმრები იყო. ამ სიების საბაზისო ნაწილად აღებულია ჰელსინკის ჯგუფის სია, რომელიც 2003 წლიდან, იმ დროიდან დგებოდა, როცა მირცხულავა და მოლაშვილი დაიჭირეს. თუმცა, ვინც ციხიდან გამოვიდა, სიიდანაც ავტომატურად ამოვარდა. შესაბამისად, არ იჯდა ნორა კვიციანი ციხეში და პატიმრის სტატუსი ხომ ვერ ექნებოდა? დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენი ზრუნვის საგანი ციხეში მსხდომთა გათავისუფლება იყო!

— ამიტომაცაა საუბარი ყოფილი პოლიტპატიმრის სტატუსზე, რაც კანონმდებლობაში არავის გაუთვალისწინებია — იგეგმება თუ არა ეს მომავალ სიაში, ცალკე ნაწილად?

— არასამთავრობოებისგან, ამ ხალხს ეს სტატუსი ისედაც აქვს! თუ პარლამენტი გვეტყვის, გადმოგვეცით ეს სიაო, კი ბატონო, მაგრამ ამის უფლებამოსილება პარლამენტმა უნდა მოგვცეს, რაც ჯერ არ გაუკეთებია! ჩვენ რა გვექნა, ყოფილი პოლიტპატიმრები აგვეღო პრიორიტეტად? ეს ხომ სისულელეა! წმინდა ადამიანურად გეტყვით, 800-კაციანი სია გამოვიდოდა და ის რომ გადამეცა, იმ 600 გათავისუფლებული კაცის საქმე კიდევ ვიღაცას ხომ უნდა შეესწავლა? ამას 2 კვირაში, ფიზიკურად, ვერ მოვასწრებდით და იმ 200-კაციან სიასაც დავკარგავდით! ახლა ყველაფერი პარლამენტზეა დამოკიდებული და იმედია, ჩვენ პოზიციას, ყოფილ პოლიტპატიმრებთან დაკავშირებითაც გაიზიარებენ. თუ მათი პოლიტიკური ნება იქნება, ვიშრომებთ. თუ არა, ვიტყვით, რომ ახალ ხელისუფლებას არ ეყო პოლიტიკური ნება ეთქვა, რეალურად, რამდენი პოლიტპატიმარია ქვეყანაში! დღესაც ვითხოვ, შეგვიშვან ციხეებში, რათა დავადგინოთ, კიდევ ვინ ზის პოლიტიკური მოტივით — იქ ბევრი უპატრონო პატიმარია, ვისაც ჩვენამდე მოღწევის საშუალება არ აქვს, ამიტომ მგონია, რომ ბევრი ადამიანი ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩა!

— ისევე, როგორც ამნისტიის კანონის მიღმა. ზოგი ამბობს, რომ საჭიროა ფართო ამნისტია. ზოგის აზრით კი, ეს ცუდია, რადგან მას უკვე მოპარეს მანქანის სარკეები, გაუტეხეს ბინა და ა.შ. ამასთან, სააკაშვილმა, კოჰაბიტაციის ნიშნად, სოზარ სუბარის მიერ გაგზავნილი სიიდან ბევრი პატიმარი შეიწყალა. არის თუ არა ეს საკმარისი და როგორი უნდა იყოს, ამჟამინდელზე უკეთესი კანონი ამნისტიის შესახებ?

— კოჰაბიტაცია არა, კოაგულოგრამა! როცა ეს ოპოზიცია მოვიდა ხელისუფლებაში, მივხვდი, რომ რასაც წინასაარჩევნოდ ამბობდნენ, იმის თავადაც არ სჯეროდათ! მათ ციხის სიმწარე საკუთარ თავზე არ ჰქონდათ გამოცდილი. არც იცოდნენ, რომ ეს რეალობა იყო, თორემ ამნისტიის ასეთ კანონს არ განიხილავდნენ. მე ვთხოვე შს მინისტრსაც და გენპროკურორსაც — ციხეში შედით და ამ ადამიანებს შეხედეთ-მეთქი. წამების კვალი და ჯოჯოხეთი მათ ჰაბიტუსზე ეტყობათ. მხატვარი რომ იყო, დედამიწაზე ჯოჯოხეთს აი, იმ პატიმრების სახით დახატავდი! და თუ შენ იმის გჯეროდა, რასაც ამბობდი, მაშინ რატომაა ეს ამნისტია არაადეკვატური? როცა პატიმრებს ჯოჯოხეთში გამოატარებ, რისი უფლებაც არ გაქვს, ე.ი. შენც, როგორც ძველი ხელისუფლების სამართალმემკვიდრე, დამნაშავე ხდები და ეს დანაშაული საკუთარ თავზე უნდა აიღო. გეტყვით, მე როგორ მოვიქცეოდი — სამუდამო პატიმრების მსჯავრს გადავხედავდი. დემოკრატია მსხვერპლს მოითხოვს. დემოკრატიის პრინციპი ისაა, რომ 2 უდანაშაულო კაცის ყოფნას ციხეში, სჯობია, 10 დამნაშავე გარეთ იყოს! ამიტომ ამნისტიის კანონი ისეთი უნდა იყოს, რომ ახალი ხელისუფლების სიკეთე ყველამ იგრძნოს. ამ ხელისუფლების პრობლემაა, ასე რომ არ არის. როგორ შეიძლება, 25-30 წელი რომ აქვს მისჯილი, სასჯელი მეოთხედითაც არ შეუმცირო და ამნისტია არ შეახო?! უნდა გამოვუშვათ არასრულწლოვნები, მრავალშვილიანი დედები, ავადმყოფები, სულით ავადმყოფები, მძიმე მუხლებს უნდა გადავხედოთ და ერთი მეოთხედი აბსოლუტურად, გამონაკლისის გარეშე ყველას უნდა შეეხოს! ეს ამ ხელისუფლებისთვის ყველაზე მინიმუმია, რაზეც უნდა წამოვიდეს. ხალხმა ახალი ხელისუფლებისთვის ბევრი გააკეთა, 1-ელ ოქტომბერს აჯანყება მოაწყო და ახლა მინდა, ისეთი ძლიერი ხელისუფლები აღმოჩნდნენ, ვისაც ამნისტიისა და 1000 დამნაშავის გამოშვებისა არ ეშინია! და თუ ეშინიათ, იცით, რა, ჩვენ მათ იმხელა ხელფასებს ვუხდით, რომ უნდა ადგნენ და კრიმინოგენული მდგომარეობა დაარეგულირონ!

სტრასბურგში ქართული ფილმების კვირეული გაიხსნება

16-22 დეკემბერს, სტრასბურგის კინოთეატრ „ოდისეაში“ ქართული ფილმების კვირეული გაიმართება. ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში, კინომოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ, ნახონ საქართველოს მიერ წარმოებული თანამედროვე ფილმები, ასევე ქართული კინოკლასიკა.

სტრასბურგში ქართული კინოს დღეების ორგანიზატორია ეროვნული კინოცენტრი, რომელიც გრანდიოზული საშობაო ბაზრობისა და ქართული კულტურის დღეების ფარგლებში იმართება, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მართავს.

კინოჩვენებები სტრასბურგში ყოველ საღამოს გაიმართება. კვირეული ოთარ იოსელიანის ფილმით გაიხსნება. გახსნაზე აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვიდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი.

ფილმებს წარადგენენ რეჟისორები და ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლები, სეანსის დასრულების შემდეგ მაყურებელს საშუალება ექნება, დაუსვან კითხვები რეჟისორებს.

პროგრამა შედგება შემდეგი ფილმებისგან: „შანტრაპა“ (რეჟისორი ოთარ იოსელიანი, 2010წ.), „გიორგობის თვე“ (რეჟისორი ოთარ იოსელიანი 1966წ.), „ცისფერი მთები“ (რეჟიოსრი ელდარ შენგელაია 1983წ.), „გაღმა ნაპირი“ (რეჟისორი გიორგი ოვაშვილი 2009წ.), „ქეთო და კოტე“ (რეჟისორები — ვახტანგ ტაბლიაშვილი, შალვა გედევანიშვილი 1948წ.), „ჩემი ბებია“ (რეჟისორი კოტე მიქაბერიძე 1929წ.), „ქუჩის დღეები“ (ლევან კოღუაშვილი 2010წ.).

კინოთეატრი „ოდისეა“ XX საუკუნის 30-იან წლებშია აშენებული. მისი პროგრამა დღემდე შედგენილია ფილმებისგან, რომლებიც მაღალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა.

„ინტერპრესნიუსი“

ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურმა პარლამენტის კომუნალურ ხარჯებზე განცხადება გაავრცელა

ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის განცხადებით, ბიუჯეტს პარლამენტის კომუნალური ხარჯები ქუთაისში ერთი წლის მანძილზე 20 000 ლარით ნაკლები დაუჯდება, ვიდრე თბილისში. **„ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს, როგორც საქართველოს პარლამენტის მშენებლობაზე ერთ-ერთ ზედამხედველ პირს, არსებული კომუნალური დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ქვითრებისა და სხვა აქტების ანალიზის საფუძველზე, სურვილი გვაქვს, დავაზუსტოთ გარკვეული ინფორმაცია. საქართველოს პარლამენტის (ძირითადი და აპარატის) შენობები ე.წ. ენერგოეფექტური შენობებია და მათი კომუნალური ხარჯები წლიურად 450 ათას ლარს ვერ გადააჭარბებს. დარჩენილი სამუშაოების (იგულისხმება ეზოს კეთილმოწყობა და განათება) დასრულების შემდეგაც კი, თბილისში არსებულ პარლამენტის ყოფილი შენობის ანალოგიური ხარჯებზე ბევრად ნაკლები იქნება“,** — ნათქვამია ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

4 წელიწადში პენსია 300 ლარი გახდება?

რაფომაა აუცილებელი დაზღვევის სახელმწიფო სამსახურის შექმნა და რას პასუხობს დავით ონოფრიშვილი ოპონენტებს

მიმდინარე კვირაში, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, პირველი მოსმენით განიხილება ამავე კომიტეტის თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, ეროვნულ ბანკს სადაზღვევო ბაზრის რეგულირების ფუნქცია ჩამოერთმევა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური შეიქმნება. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ ამ ტიპის სამსახურის შექმნას „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე ეჭვქვეშ აყენებს. მისი თქმით, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას „პოლიტიკური ელფერი“ დაკრავს, რადგან ამ სფეროში საკუთარი კადრის დანიშვნა და ბაზრის კონტროლი არ შეუძლია. რაც მთავარია, საკანონმდებლო ორგანო დადგენილ ვადებში განიხილავს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც გრაფიკის შესაბამისად, 21 დეკემბერს, მესამე მოსმენით დამტკიცდება. რას პასუხობს პოლიტიკურ ოპონენტებს, როგორ ასრულებს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დანაპირებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით და მიზეზი, რის გამოც არ გაიზიარებს საპარლამენტო უმცირესობის საკანონმდებლო ინიციატივას დაუბეგრავ მინიმუმთან დაკავშირებით — „ვერსიის“ კითხვებს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, დავით ონოფრიშვილი ექსკლუზიურ ინტერვიუში პასუხობს:

— ბატონო დავით, რას ნიშნავს თქვენი საკანონმდებლო ინიციატივა, რატომ ქმნით დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს?

— დღეს სადაზღვევო ბაზარი მონოპოლიზირებულია, შეზღუდულია კონკურენცია, მოსახლეობა სათანადო სადაზღვევო მომსახურებას ვერ იღებს. სხვა მიმართულებით დაზღვევა ჩვენს ქვეყანაში ნაკლებად განვითარებულია, თუნდაც უძრავ-მოძრავი ქონების, სიცოცხლისა და სხვა. არა მგონია, რომ ლევან კალანდაძის გარდა, საქართველოში მცხოვრებ რომელიმე მოქალაქეს სადაზღვევო ბაზარზე დღეს არსებული მდგომარეობა მოსწონდეს. დაზღვევის კანონი 1997 წელს მივიღეთ, რომლის ერთ-ერთი ავტორი გახლავართ. ჯერ კიდევ მაშინ, ევროპელი ექსპერტების რჩევით, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური ცალკე ერთეულად იყო გამოყოფილი. იმის ნაცვლად, რომ ეს სამსახური ინსტიტუციონალურად გაეძლიერებინათ, მისი ფუნქციონირება 2007 წელს შეზღუდეს და 2008 წელს, ეროვნულ ბანკს დაუქვემდებარეს. საზოგადოებისათვის უცნობია თუნდაც ერთი პრეცენდენტი, როდესაც რომელიმე სადაზღვევო კომპანია არასწორი ქმედებების გამო, ვინმეს დაეჯარიმებინა, ან შეეზღუდა მათი მონოპოლიური მდგომარეობა. ბევრ ქვეყანაში, სადაზღვევო ბაზარი ეროვნული ბანკის დაქვემდებარების ქვეშ საერთოდ არ არის და ამიტომ ვთვლი, რომ აუცილებელია შეიქმნას დამოუკიდებელი დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც სადაზღვევო ბაზრის რეგულირებასა და მონიტორინგს რეალურად განახორციელებს.

— 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს დაფინანსება იმიტომ ხომ არ უმცირდება, რომ ირაკლი ალასანიამ უარი თქვა პრეზიდენტის თვითმფრინავების შენახვის ხარჯებზე?

— თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ბიუჯეტები უმნიშვნელოდ მცირდება. ეს ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ ხელისუფლების გადაბარების შემდეგ, როდესაც მინისტრებმა საკუთარი უწყებების ბიუჯეტებში ჩაიხედეს, ბევრი არამიზნობრივი ხარჯი ნახეს. მაგალითად, პრეზიდენტის თვითმფრინავების მომსახურებაზე გამოყოფილი 80 000 000 ლარიდან, 13 000 000 ლარი უკვე გადახდილია, მომავალში კი თავდაცვის სამინისტროს ამ მიზნით, 74 000 000 ლარი უნდა გადაეხადა ბიუჯეტიდან, რაზეც ირაკლი ალასანიამ უარი განაცხადა. ზოგადად, კოალიცია „ქართული ოცნების“ პროგრამა პირველივე წლიდან იწყებს სხვადასხვა პროგრამების ამუშავებას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის. ცხადია, მომავალი წლის ბიუჯეტის ძირითადი აქცენტი სწორედ მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელებაა. გარდა ამისა, ორმაგდება სოციალური დახმარებები, პენსია კი საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება. ახალი ბიუჯეტის მიხედვით, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, რაც ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო ხარჯების ზრდას, მეორე მხრივ კი მილიარდიანი ფონდის შექმნას ითვალისწინებს. ამდენად, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, „ქართული ოცნების“ ყველა დაპირების შესრულება დაიწყება. ჩვენი მიზანია, ამ ოთხწლიან პერიოდში, ვიდრე მომდევნო საპარლამენტო არჩევნების დრო დადგება, ამ დაპირებების გარდა, კიდევ უფრო მეტის გაკეთება შევძლოთ.

— ოპონენტები გასაყვედურობენ იმის გამო, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს „ნაციონალური მოძრაობის“ ბიუჯეტს...

— ჩვენი ოპონენტები ამ შემთხვევაში ვინ არიან, „ახალი მემარჯვენეები“? ეს რომელი პარტიაა, რომელიც დღეს აღარავის ახსოვს?

— სრული უფლება აქვთ, საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. ლევან კალანდაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თქვენი საყოველთაო დაზღვევის პროგრამა „ბლეფია“, რადგან „ნაციონალების“ ბიუჯეტში გაწერილ ბენეფიციარებსა და თქვენ ბიუჯეტში გაწერილ ბენეფიციარებს შორის განსხვავება არ არის.

— კომენტარის გაკეთებაც კი ძნელია. საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის ბენეფიციარები საქართველოს მოქალაქეები არიან და მათ შორის სხვაობა როგორ იქნება?! საყოველთაო დაზღვევა აუცილებლად ამოქმედდება. დაახლოებით ორი წლის წინ, საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 15% იყო ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფილი. ძირითადად, ისინი, რომლებიც სახელმწიფო სექტორში მუშაობდნენ. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევის იდეა გააჟღერა თუ არა, „ნაციონალები“ მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს კარგი იდეაა და საჭიროდ ჩათვალეს, იგივე პროგრამა წინმსწრებად დაეწყოთ. თუმცა ამის რესურსი არ ჰქონდათ, რადგან ძირითადად, არაპრიორიტეტულ მიმართულებებს აფინანსებდნენ. იმის გამო, რომ საყოველთაო დაზღვევის განსახორციელებლად საჭირო სახსრები ბიუჯეტში ვერ მოიძიეს, მოსახლეობის ნახევარი დააზღვიეს — 6 წლამდე ასაკის ბავშვები და 60 წელს გადაცილებულები. ეს აბსურდული პროგრამა იყო, მაგრამ ამით „ნაცმოძრაობა“ ცდილობდა გადაეფარა ის, რასაც „ქართული ოცნება“ აცხადებდა. ახლა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით და სახსრები, რაც საყოველთაო დაზღვევას სჭირდება, ბიუჯეტში მოვიძიეთ კიდეც, მაგრამ ამ პროგრამის განხორციელებას ტექნიკური სახის პრობლემები უშლის ხელს. მაგალითად, ქალაქებში ოჯახის ექიმის მოძებნა და დაზღვევის განხორციელება ბევრად ადვილია, ვიდრე სოფლებში, სადაც ბოლო წლებში, საერთოდ მოისპო სოფლის ექიმის ინსტიტუტი. ტექნიკურად ბევრი რამ არის გასამართი. აი, ეს არის მიზეზი, რის გამოც საყოველთაო დაზღვევა მომდევნო წლიდან აუცილებლად დაიწყება, მაგრამ ეტაპობრივად განხორციელდება და დაზღვეულთა რაოდენობა ნელ-ნელა მოიმატებს. ტექნიკურ საკითხებზე მუშაობს ახლა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და უახლოეს პერიოდში, დავით სერგიენკო წარმოგვიდგენს, თუ როგორი სქემით ვაპირებთ მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამის განხორციელებას.

— პენსიას რატომ ვერ ზრდით 220 ლარამდე?

— რატომ უნდა გაზრდილიყო 220 ლარამდე, „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში ნამდვილად არ გვიწერია ასეთი რამ.

— აბა, საიდან გაჩნდა 220-ლარიანი პენსიის იდეა, თუ ესეც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, ხალხში სპეციალურად შემოგდებული თემა იყო?

— არა, პენსიის 200 ლარამდე, 220 ლარამდე, ან თუნდაც 250 ლარამდე ზრდა მეც მიხსენებია და მომავალში აუცილებლად გაიზრდება კიდეც. პროგრამაში გვიწერია და ყველა გამოსვლაშიც ვამბობთ, რომ პირველ ეტაპზე, პენსია საარსებო მინიმუმს, ანუ 150 ლარს გაუტოლდება. 2013 წლის 1 აპრილიდან, 67 წლამდე ასაკის პენსიონერთა პენსია გაუთანაბრდება ასაკით 67 წლის ზემოთ პენსიონერების პენსიას და 125 ლარი გახდება, ხოლო 2013 წლის 1 სექტემბრიდან, პენსია 150 ლარამდე გაიზრდება. პარალელურად, გადაითვლება რეალური საარსებო მინიმუმი, რადგან ყველამ ვიცით, რომ შეუძლებელია, ადამიანმა 150 ლარად იცხოვროს. საარსებო მინიმუმის კალათი აუცილებლად შეიცვლება და შედეგად, პენსია 220 ლარი კი არა, შესაძლოა, მეტიც გახდეს. საერთოდ, „ქართული ოცნების“ ყველა დაპირება ოთხწლიან საპარლამენტო ვადაზეა გაწერილი, ამიტომ პირველ წელს პენსია საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება, შემდეგ — გაიზრდება და გამორიცხული არ არის, 4 წლის მანძილზე, 300 ლარსაც კი მიაღწიოს. ზუსტი ციფრის თქმა ახლა ძალიან ძნელია. რაც მთავარია, იმ პოლიტიკოსებისგან კრიტიკას ვერ მივიღებთ, რომლებმაც პენსია 9 წლის მანძილზე, საარსებო მინიმუმს ვერ გაუთანაბრეს და 100 დოლარამდეც კი ვერ გაზარდეს.

— „ნაცმოძრაობის“ საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, დაუბეგრავ მინიმუმთან ერთად, საშემოსავლო გადასახადი 20%-დან 18%-მდე უნდა შემცირდეს, ხოლო დაუბეგრავი მინიმუმი აბსოლუტურად ყველა კატეგორიას უნდა შეეხოს, მათ შორის მაღალხელფასიან დაქირავებულებსაც. ამ ინიციატივას მხარს არ დაუჭერთ?

— ეს არის აბსოლუტურად გაუაზრებელი ინიციატივა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დათვლადი ციფრებია. საქართველოს ბიუჯეტს იმის საშუალება არ აქვს, ორივე ერთდროულად განახორციელოს — საშემოსავლო გადასახადიც შეამციროს და დაუბეგრავი მინიმუმიც შემოიღოს, რაც პირდაპირ ბიუჯეტის დეფიციტისა და პრობლემებისკენ გვიბიძგებს. გარდა ამისა, „ნაციონალურ მოძრაობას“ 9 წელი ჰქონდა იმისთვის, რომ თვითონ შეემცირებინა საშემოსავლო გადასახადი. ჩვენი ინიციატივაა დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება, რომლის მიხედვითაც, თუ თქვენი წლიური შემოსავალი 6 000 ლარს არ აჭარბებს, ყოველთვიურ ხელფასში, საარსებო მინიმუმის ოდენობა, ანუ 150 ლარი, 20%-ით არ დაიბეგრება. ეს ინიციატივა რეალურად, 360 ლარის კომპენსაცია იქნება თითოეული ადამიანისთვის, რომელიც 2014 წელს, დეკლარირების შემთხვევაში დაუბრუნდებათ. ინიციატივა მიზნობრივად ეხება სოციალურად დაუცველ, დაბალშემოსავლიან ფენებს. ზოგადად, 20%-დან 18%-მდე შემცირება ამ კატეგორიის ადამიანებისთვის ბევრად ნაკლებია, მაგრამ სამაგიეროდ, თუ საშემოსავლო გადასახადი 2%-ით შემცირდა, საშუალოზე მაღალი და მდიდარი ფენის წარმომადგენლები, რომელთა ხელფასი 1 000 ლარზე მეტია, დიდ სარგებელს მიიღებენ. ამ ეტაპზე, თუ სადმე შესაძლებელია, რომ შემოსავლები შეღავათების ხარჯზე უნდა გაუმჯობესდეს, პირველ რიგში, ეს სოციალურად დაუცველ ადამიანებს უნდა შეეხოს, რომლებიც მრავლად არიან ჩვენ ქვეყანაში.

— როგორ ფიქრობთ, დაბალხელფასიანი ადამიანები საკუთარი შემოსავლების ყოველწლიურ დეკლარირებას შეძლებენ?

— შეძლებენ, რადგან ეს საკმაოდ მარტივი ფორმა იქნება, სადაც სავარაუდოდ, აღნიშნავენ, სად მუშაობდნენ წლის განმავლობაში და რა შემოსავალი ჰქონდათ. დეკლარირების ფორმას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური შეიმუშავებს და როგორც ვიცი, უკვე მუშაობენ კიდეც. იმ დასაქმებულებს, რომელთა წლიური შემოსავალი 6 000 ლარს არ აჭარბებს, ამ ტიპის დეკლარაციის შევსება 2014 წლის დასაწყისში მოუწევთ, დაუბეგრავი მინიმუმი კი, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე დაუბრუნდებათ.

რუსეთის დუმაში „მაგნიტსკის სიის“ ანალოგს, „თარგამაძის სიას“ შეადგენენ

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში იმ პირთა შავი სიის შედგენის წინადადებამ გაიჟღერა, რომელთა მიმართაც შესაძლოა, სავიზო სანქციები დაწესდეს. აღნიშნული სია პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკურ მოღვაწეებს შეეხება.

პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატთა ნაწილი აცხადებს, რომ „მაგნიტსკის სიის“ ანალოგიური სიის შექმნის შემთხვევაში, მხოლოდ აშშ-ს მოქალაქეებით შემოფარგვლა არ ღირს. პარლამენტარები შავ სიაში, ახლოს მდებარე ქვეყნების წარმომადგენლების შეყვანასაც გეგმავენ.

როგორც რუსული მედია წერს, აღნიშნული იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა გამოაქვეყნა მასალები, სადაც გივი თარგამაძის მიერ რუსეთში საპროტესტო აქციების დაფინანსებაზეა საუბარი.

რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლის ალექსანდრ ბაბაკოვის განცხადებით, ამ ეტაპზე, სიაში მოხვედრის კანდიდატთა გვარები ზუსტდება.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ვიაჩესლავ ნიკონოვის განცხადებით კი, „აღნიშნული სია საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება და თარგამაძისნაირ პირებს რუსეთში შესვლა სამუდამოდ აეკრძალებათ“.

„მიმაჩნია, რომ თარგამაძესა და მის მსგავს პირებს, რომელთაც გარკვეული ანტირუსული მისწრაფებები აქვთ, ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ უნდა ჰქონდეთ“, — აღნიშნა ნიკონოვმა.

თუმცა, რუსეთის სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვი საკუთარი კოლეგების ინიციატივას „არც ისე კარგად დამუშავებულს“ უწოდებს.

„სახელმწიფო დუმა შავ სიას „მაგნიტსკის სიის“ საპასუხოდ იღებს და ეს ოკეანის გაღმა, ჩვენი კოლეგების ქმედებებზე აბსოლუტურად საპასუხო ზომაა. უნდა შემუშავდეს თუ არა სია თარგამაძის მსგავსი პირებისთვის? მე ასე არ ვფიქრობ“, — განაცხადა პუშკოვმა.

„ვერსიანიუსი“

საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ გემებს „შავი სიიდან“ ამოიღებენ

საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების „შავი სიიდან“ ამოღების საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, ბათუმში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი ინფორმაციით, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. „ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული იმისთვის, რომ ამ მხრივ წინსვლა მოხდეს და ლოგიკური განვითარება იქნება ის, რომ შავი სიიდან ამოღებული იყოს ჩვენი დროშის ქვეშ მოცურავე გემები“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

2010 წელს ევროკავშირის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტომ საქართველოს სერტიფიკატები შავ სიაში შეიყვანა, რის გამოც ევროკავშირის დროშის ქვეშ მცურავ გემებს ქართველი მეზღვაურები სამუშაოდ არ აჰყავთ.

„ვერსიანიუსი“

რას მაღავენ უმრავლესობის წევრები?!

„ქართული ოცნების“ დეპუტატების ბიზნეს-წილები და ქონება

ეკა სეხნიაშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრებს დეკლარაციის შევსებისა და ქონებრივ მონაცემთა საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენის ვადა დეკემბრის 26-ში ეწურებათ. თუმცა საჯარო და სავალდებულო მონაცემები ზუსტი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ პარლამენტის უმრავლესობის უმრავლესობას ჯერ არ წარუდგენია.

ქონებრივი დეკლარაცია ჯერ არ შეუვსია საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც განსხვავებით მისივე დეპუტატებისგან, ბიზნესი რუსეთში აქვს აწყობილი და ბიზნეს-წარმომავლობის შესახებ უხერხული კითხვები არ აწუხებს. სამაგიეროდ, ივანიშვილი ზუსტად 2 დღის წინ, მის რეზიდენციასთან შეკრებილ სოციალურად დაუცველებს დაპირდა: **„არავითარი წყნეთი, არავითარი დაჩები, იქ კიდევ ჩინოვნიკების მშენებლობები მიდის. ყველაფერს გავაჩერებთ. ყველაფერი თქვენკენ წამოვა“.** როგორც ჩანს, ივანიშვილი ინფორმაციებს არ ფლობს, რომ მისივე ჩინოვნიკმა, ენერგეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემ წყნეთში გრანდიოზული აგარაკის მშენებლობა ახლახან წამოიწყო. მანამდე კალაძეს წყნეთში შედარებით მოკრძალებული სახლი ჰქონდა, თუმცა დამატებით, მოსაზღვრე ფართი იყიდა და გამალებული მშენებლობა მიდის. ივანიშვილმა, როგორც ჩანს, არც ის იცის, რომ მისი ჩინოვნიკი კალაძე იუსტიციის სახლში, თავდაპირველად, „ეს კლასის მერსედესით“ დადიოდა, ხოლო სულ ახლახან „აუდის“ მარკის 222-სახელმწიფო ნომრებიან მანქანაზე გადაჯდა, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კი, მთავარი პროკურორის მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის სიმამრის სახლი ვერაზე, 2 500 000 დოლარად შეიძინა. საქმე ის გახლავთ, რომ კახა კალაძეს ამ შემთხვევაში, ყველაზე ნაკლები პრობლემა შეიძლება შეექმნას, რადგან მის ქონებასა და შემოსავლების წარმომავლობას საქართველოში კი არა, ევროპასა და მსოფლიოში სპორტული თუ არასპორტული ჟურნალისტები ლუპით აკვირდებიან. ამდენად, კალაძეს შეუძლია „იგულაოს“, თუმცა ლაშა ნაცვლიშვილს, როგორც საჯარო მოხელეს, ქართულ საზოგადოებასთან მაინც მოუწევს კითხვებზე პასუხის გაცემა. კერძოდ, სად დააბანდეს ეს ფული, ფიგურირებს თუ არა ტრადიციული სქემით მისი ოჯახის წევრი ან ახლობელი ყიდვა-გაყიდვის პროცედურაში, რა ბიზნესებს ფლობს მთავარი პროკურორის მოადგილის სიმამრი და ფლობს თუ არა ნაცვლიშვილი ბიზნეს-დივიდენდებს ჟენევაში (ნაცვლიშვილის მეუღლე „ქართული ოცნების“ ჟენევის ოფისის ხელმძღვანელიც იყო) და გადაუხადა თუ არა შვილიშვილს ნათლობა კარლოვი ვარში. „ვერსია“ ამ საკითხებზეც აპირებს მუშაობას, თუმცა ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ლაშა ნაცვლიშვილმა საუბარი ამ თემაზე არ ისურვა. არსებული მონაცემებით, ნაცვლიშვილს ჯერ არც ახალი დეკლარაცია შეუვსია.

ანალოგიურად, საუბარია, რომ ახალ მანქანაზე სოზარ სუბარმა და ნოდარ ხადურმაც არ თქვეს უარი, თუმცა მინისტრმა ხადურმა მოგვიანებით განაცხადა, რომ ახალი არ უყიდია და ძველი (ასევე ძვირადღირებული) მანქანით დადის. ივანიშვილის მინისტრებმა არ თქვეს უარი მათ შორის, არც იმ თანამდებობრივი სარგოს დანამატ პრემიებზე, რომლის გამოც, სააკაშვილის ჩინოვნიკებს მუდმივად უკიჟინებდნენ. როგორც ჩანს, მადა ჭამაში მართლაც მოდის, განსაკუთრებით, პოსტებზე ყოფნისას. დიეტაზე არც ივანიშვილის მინისტრები სხედან. სავარაუდოდ, დეპუტატებისა და მინისტრების აღნიშნული დეკლარაციები დიდი ინტერესის საგანი გახდება და დეტალურად იქნება შესწავლილი, ვინაიდან წარსულში იყო საუბარი შემთხვევებზე, როდესაც დეპუტატებთან დაკავშირებული კომპანიები სარგებლობდნენ სახელმწიფო შესყიდვებისას უპირატესი მდგომარეობით და საგადასახადო შეღავათებით. თუმცა, შესაძლებელია, რომ დეპუტატების მიერ წარმოდგენილმა ქონებრივმა დეკლარაციებმა სრულად მაინც ვერ ასახოს კავშირი დეპუტატებსა და ბიზნესს შორის, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტის წევრებს არ აქვთ უფლება, იყვნენ რომელიმე კომპანიის დირექტორი ან დირექტორთა საბჭოს წევრი... რომ მერვე მოწვევის პარლამენტში არიან დეპუტატები, როგორც უმრავლესობიდან, ისე – უმცირესობიდან, რომლებიც ფლობენ წარმატებულ ბიზნესებს. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატთა ქონებრივი მდგომარეობის მონაცემთა შესახებ ბევრი დაიწერა. ამჯერად, „ვერსია“ დაინტერესდა, რა ბიზნეს-დივიდენდებს ფლობენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები და ვინ არღვევს კანონს ქონებრივი დეკლარაციის შეუვსებლობით. აღმოჩნდა, რომ ივანიშვილის პარტიის წევრებიც საკმაოდ ყუათიან ბიზნეს-ინტერესებს ფლობენ და კომპანიებში წილობრივი მონაწილეობა აქვთ.

„საერთაშორისო გამჭირვალობა—საქართველოს“ მონაცემების თანახმად, „ქართული ოცნების“ დეპუტატი გოგლა ჟვანია შპს „ბოსნერის“ დირექტორია (ეს კომპანია გერმანული „ბოსნერის“ სიგარებისა და კონიაკის ბრენდთან ერთად ახორციელებს ალკოჰოლური სასმელების ექსპორტს). „ვერსიის“ მიერ შესწავლილი მასალებით, ბიზნესს ფლობს „რესპუბლიკელი“ გიგლა აგულაშვილი, რომელიც შპს „მწვანე კალთის“ და შპს „პოლიტტექნოლოგიების ლაბორატორიის“ პარტნიორია. „რესპუბლიკელი“ დეპუტატი წავკისშიც ფლობს მიწის ნაკვეთს და როგორც ჩანს, წავკისი და წყნეთის სიყვარული მხოლოდ სააკაშვილის ჩინოვნიკების მიწათმფლობელური გატაცებები არ ყოფილა.

ვიქტორ ჯაფარიძე, რომელიც „ქართული ოცნების“ უმრავლესობის რიგებშია, მესტიასა და თბილისში მიწის ნაკვეთების გარდა, აგარაკს ოქროყანაშიც ფლობს. სამაგიეროდ, ყოფილი ელჩი ვიქტორ დოლიძე ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ თბილისში სახლი არ აქვს და ჩუღურეთის მაჟორიტარი თუ გახდა ახლა ჩოხატაურელი კაცი, „რამფერი ამბავია აგი“, ვერ გეტყვით. გუბაზ სანიკიძეს მილიონების შოვნა თუ უნდოდა, არც ეგ ყოფილა გასაკვირი ამბავი. კაცს დეკლარაციაში მხოლოდ ცოლის სახელზე არსებული სახლი უწერია. მოკლედ, ასე ცალ-ცალი „კალოშით“ მოსული ბევრი გვინახავს და მერე აგარაკებწამოჭიმული თბილისის პრესტიჟულ უბნებში.

რამდენადაც დეპუტატებსა და მინისტრებს, კიდევ აქვთ ვადა დეკემბრის ბოლო კვირამდე, „ვერსია“ გააგრძელებს „ქართული ოცნების“ წევრებისა და თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის მონიტორინგს და უახლოეს პერიოდში გააცნობს მკითხველს.

ვერსიანიუსი

სამართალდამცველებმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ხაშურში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი რამაზ ახალკაცი დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით, ახალკაცს პირადი ჩხრეკისას, რვა ვაზნით „ჩეზეს“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა. მისივე ცნობით, ნასვამი ახალკაცი გამვლელ მოქალაქეებსა და ხაშურის რკინიგზის სადგურის თანამშრომლებს ცეცხლსასროლი იარაღით ემუქრებოდა.

დაკავებული 1991 წლიდან 2006 წლამდე ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურის გამგებელი იყო. ამჟამად, ახალკაცი პოლიტიკური პარტიის — „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა. ის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატად ამავე პარტიიდან იყრიდა კენჭს.

მომხდარ ფაქტზე საქმე 236-ე მუხლის (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება) მეორე ნაწილით, 151-ე მუხლით (მუქარა) და 239-ე მუხლის (ხულიგნობა) პირველი ნაწილით აღიძრა, რაც ჯამში, თავისუფლების 7 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

„პირველი“

პატრიარქი აშშ-ს პრეზიდენტსა და ამერიკელ ხალხს თანაგრძნობას უცხადებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას ნიუთაუნის სკოლაში მომხდარი ტრაგედიის გამო თანაგრძნობას უცხადებს. **„ბატონო პრეზიდენტო! საქართველოს მოსახლეობის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გიცხადებთ გულითად თანაგრძნობას ნიუთაუნის სკოლაში მომხდარი ტრაგედიის გამო. ვლოცულობთ გარდაცვალებულთათვის. გთხოვთ, ჩვენი სამძიმარი გადასცეთ გარდაცვალებულთა ახლობლებს და მთელ ამერიკელ ხალხს“,** — ნათქვამია პატრიარქის სამძიმრის წერილში.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შტატ კონეკტიკუტის ქალაქ ნიუთაუნის სენდი-ჰუკის სკოლაში 20 წლის ადამ ლენზამ 27 ადამიანი მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა. დაღუპულთაგან 20 ბავშვია.

მომხდარის გამო ამერიკაში 4-დღიანი გლოვაა გამოცხადებული.

„პირველი“

facebook NEWS

თამარა ჩერგოლეიშვილი

დილემა „ამერიკა-რუსეთი“ არ არის არჩევანი. თვით ასეთი ფორმულირება მხოლოდ ხანგრძლივი მონობით დამახინჯებულ გონებაში შეიძლება წარმოიშვას: გონებაში, რომელიც არსებობას მხოლოდ კუთვნილებად აღიქვამს და ეს წესი იმდენად უნივერსალურად მიაჩნია, რომ ყველას ეკითხება არა „ვინ ხარ?“, არამედ „ვისი ხარ?“ სამწუხაროდ, ასეთი კუნაპეტი სერვილიზმით არის დაავადებული საქართველოში უკლებლივ ყველა. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ერთნი ცდილობენ, ღვინო და მწვანილი გაყიდონ იმ ქვეყანაში, რომლის ჩექმაც სხეულს უთელავს, სხვები კიდევ სადამ ჰუსეინისა და მუამარ კადაფის საფლავებზე ყვავილის დადებას ლამობენ.

რეალური არჩევანი კი თავისუფალ განვითარებასა და ბიომასად ქცევას შორისაა. სულ ეს არის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, მეორე იმარჯვებს, რადგან მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტის ორმა ელემენტმა საქართველოსვე სრულუფლებიან მოქალაქეებს კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლება შეუზღუდა და ერთი სოფლიდან მეორეში სალოცავად, ანუ არანაკლებ ფუნდამენტური უფლების აღსასრულებლად ჩასვლა აუკრძალა, ყველამ ერთბაშად ჩაიგდო ენა მუცელში... თუ ეს დუმილი მაშინაც არ დაირღვევა, როცა საქართველოს მთავრობა სერიოზულად დაიწყებს ლუკაშენკოს შემოთავაზების განხილვას, უნდა ვაღიაროთ, რომ უკვე მართლა გვიან იქნება.

ვერსიანიუსი: ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო მაქსიმალურ ძალისხმევას გაიღებს საქართველოს დსთ-ში დასაბრუნებლად. მეტიც, იგი მზადაა ამისთვის საქართველოს მთავრობას მუხლებზე დაუჩოქოს, — ამის შესახებ ინფორმაცია სააგენტო „რია ნოვოსტიმ“ გაავრცელა. ***„1 იანვრიდან ბელორუსი ვიქნებით დსთ-ს თავმჯდომარე ქვეყანა, ჩვენ თქვენ (საქართველოს) გელოდებით. მე ჩამოვალ თქვენთან, დაგიჩოქებთ, ოღონდ არა საჯაროდ. თუ გნებავთ, საჯაროდაც მზად ვარ ამისთვის და გთხოვთ, დაბრუნდეთ დსთ-ში“,*** *— განაცხადა ლუკაშენკომ და აღნიშნა, რომ* ***„დაბრუნება აუცილებელია და იქ ჩვენ ყველა საკითხის გადაწყვეტას შევძლებთ, თუკი ქართველ პოლიტიკოსებს ეს სურთ“.***

თანამეგობრობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება საქართველომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში მიიღო. ოფიციალური მიმართვა საქართველოს საგარეო საქმეთა უწყებიდან დსთ-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა 2008 წლის 18 აგვისტოს მიიღო. თანამეგობრობა კი ქვეყანამ ოფიციალურად ერთი წლის შემდეგ, 2009 წლის 18 აგვისტოს დატოვა.

ტაბულა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლებს სასწრაფოდ ანკეტების შევსებას სთხოვს, რომელშიც მათ მრავალი სახის პირადი ინფორმაცია უნდა მიუთითონ. ტაბულას ინფორმაციით, საელჩოებისა და საკონსულოების თანამშრომლებმა ანკეტა შესავსებად სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელისგან მიიღეს. ისინი, კერძოდ, ვალდებულნი არიან მიუთითონ საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები, ასევე ინფორმაცია ოჯახის წევრთა ვინაობისა და ოჯახის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ. ასევე — ალკოჰოლზე, თამბაქოსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების თაობაზე. აგრეთვე იმ ნათესავების ვინაობა და სამუშაო ადგილები, რომლებიც საგარეო უწყების სისტემაში მუშაობენ. თანამშრომლებს ასევე ახლო ნათესავებისა და მეზობლების საკონტაქტო მონაცემებს სთხოვენ. როგორც ტაბულას თავისუფალი უნივერსიტეტის იურისტმა ოთარ კახიძემ განუმარტა, მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების შეგროვება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით რეგულირდება. ამ კანონით კი მონაცემთა შეგროვება მხოლოდ კანონიერი მიზნისთვის არის დასაშვები და ისინი მხოლოდ იმ მოცულობით უნდა დამუშავდეს, რაც კანონიერ მიზანს სჭირდება. კანონის მოთხოვნით, სამინისტრო ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს (თანამშრომელს) მონაცემთა დამუშავების მიზანი გააცნოს. აგრეთვე, განუმარტოს, სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მინოდება. თუ სავალდებულოა, აუხსნას მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები. მონაცემთა სუბიექტს ასევე უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე და მოითხოვოს მათი გასწორება, წაშლა ან განადგურება. შესაბამისად, თუ სამინისტროს ეს მოთხოვნები შესრულებული არ აქვს, ასეთი სახით მონაცემთა შეგროვება კანონდარღვევას წარმოადგენს.

facebook NEWS

ლევან ცალუღელაშვილი

ძვირფასებო! გუშინ დავწერე განცხადება სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი“ ჰოლდინგში ჩემი სადაზღვევო პაკეტის „მედი-10“ გაუქმების შესახებ. ბოლო პერიოდში მაწუხებდა მაღალი წნევა და ოჯახის ექიმის განცხადებით, ვიყავი „უმიზეზოდ“ ჰიპერტონიკი. ამ აზრს უნდა შევგუებოდი, რადგან თურმე „მემკვიდრეობით“ მხვდა წილად. წავედი მერე სხვაგან, გამოკვლევა ჩავიტარე და დადგინდა დიაგნოზი: ერთი თირკმელი ვერ ფუნქციონირებდა ნორმალურად. ვინ იცის, რამდენს ახდევინებენ სადაზღვევო კომპანიები ფულს „დაბოლებაში“! თამარ ქაჯაია ასეთ ექიმს რომ მოხსნი, წავა და საჩივარს შეიტანს უმიზეზოდ გამათავისუფლეს, პოლიტიკური ზეწოლა იყოო :). განძრევა გვეზარება ყველას, ლევან. წესით, უნდა აიგო პასუხები და მიმართო ჯანდაცვას და სადაზღვევოს, ერთად. რამდენიმე საჩივარი რომ შევა, ამის შემდეგ მიხვდება ეს ექიმი, რომ მთავარი დიპლომი არაა და მოხსნის შემდეგ ზეწოლა ზეც არ ილაპარაკებს... :(((((((

სოფია ვარაზი

ჰოოო... ჩვენი ექიმები (და მათი არაკომპეტენტურობა) ცალკე „პესნაა“... ვლოცულობ, რომ რამე სერიოზული არ დამემართოს მე ან ოჯახის რომელიმე წევრს . ამ დროს ჰიპერტონიის გამომწვევი უამრავი მიზეზი არსებობს და წესით, გამოკვლევა უნდა ჩაეტარებინათ (ძალიან ადვილია ყველაფრის გენეტიკა ზე გადაბრალება). თუგინდ, თირკმელები შეემოწმებინათ, შაქარი... არ ვიცი, ათასი ნიუანსია მანდ.

ქიბარ ხალვაში

ხელშემწყობებს, მიშას და ვარშალომიძეს არ დააკავებენ? თუ მაგათი იმ მაღალანაზღაურებადი ადვოკატების გვეშინია, მსოფლიოს სხვადასხვა ხელისუფლებაში მიმობნეული რომ არიან?

ვერსიანიუსი: *გონიოში სპეცოპერაციის შედეგად პროსტიტუციის ბიზნესში ჩართული რამდენიმე ადამიანი დააკავეს.*

„რუსთავი 2“-ის ცნობით, გონიოში სასტუმრო „ოცნებაში“ პოლიციამ უძველესი პროფესიის რამდენიმე ქალი დააკავა. სულ აყვანილია 20-მდე ქალი და რამდენიმე მამაკაცი. მათგან 5 უკვე დაკავებულია. აქედან ორი ქალი საქართველოს მოქალაქეა, მამაკაცები კი თურქეთის მოქალაქეები არიან. სპეცოპერაცია გვიან ღამით ჩატარდა.

დაკავებულები ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის სამმართველოში არიან გადაყვანილი. ოპერაცია მოსახლეობის შეტყობინების შემდეგ დაიგეგმა. ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ სასტუმროში შექმნილი ხმაურის გამო, მათ დისკომფორტი ექმნებოდათ. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლითაა აღძრული.

პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული სკოლის დირექტორები პერმანენტულ აქციებს იწყებენ

ნელი თორდია

პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგები და სკოლის დირექტორები, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, საპროტესტო აქციებს იწყებენ და ბიძინა ივანიშვილს მიმართვას უგზავნიან: „მასწავლებლობა ვაცხადებთ, რომ თუ კვლავ ექნება ადგილი უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულ ქართველი ხალხის ზიზღით განმსჭვალულ პასკვილებს, დავიწყებთ უკომპრომისო აქციებს სააკაშვილის რეზიდენციასთან მისი ე.წ. პრეზიდენტობის საკონსტიტუციო ჩარჩოში მომავალი წლის 5 იანვრის დასრულების მოთხოვნით. ვაცნობიერებთ, რა სირთულეს შეუქმნის სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი განათლების სისტემის თანამშრომელთა გაფიცვა, რომელსაც შეუერთდებიან მოსწავლეები, მათი მშობლები და სავარაუდოდ სტუდენტებიც, ამიტომ, ვთხოვთ საქართველოს მთავრობის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს გაგებით მოეკიდოს ჩვენს შეუვალ გადაწყვეტილებას“. მოსალოდნელ გაფიცვაზე „ვერსიას“ 154-ე სკოლის ყოფილი დირექტორი, საქართველოს პედაგოგთა უფლებების დაცვის კავშირის პრეზიდენტი გოჩა გურგენიძე ესაუბრება:

რაში ადანაშაულებს ხათუნა გოგორიშვილის დას 90-ე ბაგა-ბაღის ყოფილი გამგე

— ჩვენ მოვედით იმ ურთულესი სიტუაციის გამო, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ ნარჩენების პროვოკაციის, შანტაჟისა და საბოტაჟის გზით უქმნიან ახალ ხელისუფლებას. საქმის კეთების მაგივრად, ახალი ხელისუფლება ამ პრობლემების მოგვარებას უნდება. ეს მაფიქრებინებს, რომ „მეამბოხე“ ადამიანების უკან დგანან „ნაცმოძრაობის“ ნამსხვრევები, რათა სახელმწიფოში შეიქმნას დაძაბული მდგომარეობა და ისედაც გახლეჩილი საზოგადოება უარესად დაუპირისპირდეს ერთმანეთს.

— რაში სჭირდება „ნაცმოძრაობას“ ქვეყანაში დესტაბილიზაციის დაწყება?

— „ნაციონალები“ რევანშისთვის ემზადებიან! დღეს თითქმის ყველა სკოლაში იგივე პროცესები მიმდინარეობს, რაც წინა ხელისუფლების დროს მიმდინარეობდა. ხელმძღვანელი პირები ხომ არ შეცვლილან. ისინი ძველებურად ეწევიან დემაგოგიას, აწყობენ საიდუმლო „სერობებს“ და ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებიან. განათლების სისტემიდან პოლიტიკური ნიშნით გაძევებული ადამიანები მშვიდად ვერ ვუყურებთ „ნაციონალების“ რევანშისტულ გამოხდომებს და ქმედებაზე გადავდივართ.

— რის გაკეთებას აპირებთ?

— ჩვენი ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, იმ ადამიანებს, რომლებსაც სააკაშვილმა „ჩარეცხილები“ გვეძახა, უკვე გამზადებული გვაქვს მიმართვა ბატონი ივანიშვილის მიმართ, სადაც წერია, რომ თუ „ნაცმოძრაობა“ გააგრძელებს პროვოკაციებს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენ მოვაწყობთ პერმანენტულ გაფიცვებს ე.წ. პრეზიდენტის ე.წ. სასახლესთან მისი გადადგომის მოთხოვნით. მარტო რომ დავრჩე, გავიყინები, მოვკვდები და არ გავჩერდები, ვიდრე სააკაშვილი არ წავა. მარტო მასწავლებლობას კი არა, მშობლებს და სტუდენტებსაც მოვუწოდებ, ჩვენს გვერდით დადგნენ. აფხაზეთის ომის ვეტერანი და ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ვარ და ვთხოვ ჩემს ვეტერანებს, ვაჟკაც ხალხს, გვერდით დაგვიდგნენ. უკან არ დავიხევთ. 2003 წლამდე საქართველოში იყო 4 000-ზე მეტი სკოლა და 2 500-მდე საბავშვო ბაღი. დღეს რაოდენობა განახევრებულია და სისტემის 6 000 ხელმძღვანელი მუშაკი გათავისუფლებულია. ეს ადამიანები 5 წელი სამართლის ძიებაში არიან. კეთილი ინებოს ახალმა ხელისუფლებამ, პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ადამიანები სამსახურებში დააბრუნოს.

90-ე ბაგა-ბაღის ყოფილმა გამგემ, ნანა ჯანელიძემ „ვერსიასთან“ თანამდებობიდან მისი გათავისუფლების მიზეზებსა და იმაზე ისაუბრა, როგორ მიუსაჯა შემცვლელმა „შინაპატიმრობა“:

— 90-ე ბაღს 17 წელი ვხელმძღვანელობდი. 2007 წელს გამოცხადდა ბაღის გამგეების კონკურსი და ვინაიდან იმ წელს მისრულდებოდა 60 წელი, კონკურსში მონაწილეობის უფლება წამართვეს, მაგრამ ჩემი დამსახურებების გამო ბაღში მეთოდისტად დამტოვეს. ჩემმა შემცვლელმა და ბაღში ჩემმა მიყვანილმა, ხათუნა გოგორიშვილის დამ, ლელამ, თანამდებობაზე დანიშვნიდან რამდენიმე თვის შემდეგ გამომიცხადა — თქვენი ოთახიდან არ გამოხვალთ, კონტაქტი არ გექნებათ ჯგუფებსა და მასწავლებლებთან და როცა მოვა თქვენი წასვლის დრო, სახლში წაბრძანდებითო. ფაქტობრივად, შინაპატიმრობა მომისაჯა. სხვა დამცირებასა და შეურაცხყოფაზე აღარაფერს ვიტყვი. ერთ დღეს პირდაპირ მითხრა, უნდა წახვიდეთ საბავშვო ბაღიდანო. რასაკვირველია, გოგორიშვილის დას სასამართლოში ვერ მოვუგებდი და იმის მერე სამართალს ვეძებ. ამჯერად ვგეგმავ, გათავისუფლებული დირექტორების პროტესტს შევუერთდე და პერმანენტული აქციებისთვის მოვემზადო. იმასაც გეტყვით, რომ დამსახურებული ადამიანების სისტემიდან გამოძევებაზე ზრუნვას, გოგორიშვილს ერჩივნა, იმაზე ეფიქრა, რომ 90-ე ბაღის მეზობლად მდებარე მე-7, 53-ე, 69-ე, 68-ე, 132-ე ბაღების დახურვის გამო, ჯგუფები გადატენილი აქვს და თითოეულში 40-45 აღსაზრდელი ჰყავს. დაინტერესდეს, რატომაა საავადმყოფოები დასნეულებული ბავშვებით სავსე და სათანადო დასკვნები გამოიტანოს.

176-ე ბაგა-ბაღის ყოფილ გამგეს ნანა სიჭინავას აინტერესებს, როგორ დაძლიეს ბაღის დირექტორების შესარჩევი კონკურსის მოთხოვნები მხოლოდ მერიის და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა და როგორ მოახერხა მერიამ სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა:

— ბაღის დირექტორების შესარჩევ კონკურსში, რომელსაც უსამართლობის ზეიმს დავარქმევდი, მონაწილეობა მივიღე, მაგრამ ჩემთვის დღემდე გაურკვეველია, რატომ აღმოაჩნდათ ბაგა-ბაღების მართვის ნიჭი მხოლოდ მერიისა და „ნაციონალების“ მაღალჩინოსანთა ნათესავებსა თუ ახლობლებს. მინდა, ვკითხო ბატონ ქაცარავას, თუ კონკურსი კანონიერად ჩატარდა, 22 ბაღის გამგე რატომ გაგვამართლა 2009 წლის 1 აპრილს საქალაქო სასამართლომ? მე ვეკითხები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს, როდის იყო სასამართლო სამართლიანი: როცა გამამართლებელი განაჩენი გამოგვიტანა, თუ ერთი კვირის მერე, როცა ყველაფერი შეცვალა? მატერიალურ ზიანს რომ თავი დავანებოთ, მორალურად გაგვანადგურეს, როცა თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ იმ თანამშრომლებთან, რომლებთანაც 20 წელი ვიმუშავეთ, დარეკვის და მოკითხვის უფლება ჩამოგვართვეს. ახლა ესენი ლაპარაკობენ პოლიტიკური ნიშნით დევნაზე? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. სულითა და გულით ვუერთდები საპროტესტო აქციას და ბოლომდე ვიდგები.

პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული სკოლის დირექტორებისა და პედაგოგების საპროტესტო აქციას უერთდება 26-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი ლიდა ნოდიაც:

— 2007 წელს გაპარტახებული და განადგურებული სკოლა ჩავიბარე და სკოლას რომ დავამსგავსე, მაშინ გამიშვეს საატესტატო გამოცდებზე ერთი მოსწავლის არადამაკმაყოფილებელი შეფასების გამო. „ნაციონალების“ დირექტორებს ასი ჩაჭირილი მოსწავლე რომ ჰყოლოდათ, მაინც არ შეეხებოდნენ. მე კი, რადგან არ ვიყავი მათ გვერდით და არ ვასრულებდი მათ დაკვეთებს, გამიმეტეს.

— როგორც ვიცი, თქვენს ადგილზე მანდატური დანიშნეს.

— იმ ადამიანის მიმართ არავითარი პრეტენზია არ მაქვს, რადგან გადაწყვეტილების მიმღები სხვა იყო. მიუხედავად იმისა, რომ სამეურვეო საბჭომ ხელშეკრულება არ შემიწყვიტა და ბოლომდე იბრძოლა სკოლაში ჩემს დასატოვებლად, 23 ივნისს ხელშეკრულება მაინც შემიწყვიტეს. საპროტესტო აქციებს ვუერთდები და ჩემთან ერთად უერთდება რეპრესირებული დირექტორების საინიციატივო ჯგუფიც, რომელიც უამრავ დირექტორს აერთიანებს. მათ შორის არიან ოპოზიციის აქციებზე უფროსკლასელთა წასვლის გამო გათავისუფლებული დირექტორები. არის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, რომელსაც პირდაპირ მოსთხოვეს 17 მასწავლებლის გათავისუფლება, რაზეც უარი თქვა და თავად გაათავისუფლეს. მის მაგივრად მივიდა მანდატური, რომელმაც 17-ის ნაცვლად 21 მასწავლებელი გაუშვა სამსახურიდან და ასეთი უამრავი ფაქტია. მოვითხოვთ, წინა მინისტრის დროს მოხსნილი ყველა დირექტორის საქმე გადაიხედოს და დადგინდეს მოქმედი დირექტორების ლეგიტიმურობა. შეფასება გაუკეთდეს იმ რეჟიმს, რომელშიც ჩვენ გვიწევდა მუშაობა. საუბრის ბოლოს, მინდა, 59-ე სკოლის მოსწავლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვთქვა, რომ 2010 წელს მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებთან ერთად, სათითაოდ გავიარეთ საშტატო განრიგი. იმისთვის, რომ მანდატურებისთვის ოთახები გაგვეკეთებინა და ხელფასი გადაგვეხადა, შეგვამცირებინეს ფსიქოლოგის, ექიმისა და ბიბლიოთეკარის შტატები. მაშინ, როცა მანდატურების ხელფასი ხუთჯერ და ათჯერ აღემატებოდა ბიბლიოთეკარის ხელფასს. ღმერთმა იცის, გადარჩებოდა თუ არა ის ბავშვი, სკოლას რომ ექიმი ჰყოლოდა, მაგრამ ამ უგუნურ გადაწყვეტილებაზე ვიღაცამ აუცილებლად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

ვერსიანიუსი

სამართალდამცველებმა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისთვის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ხაშურში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი რამაზ ახალკაცი დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ახალკაცს პირადი ჩხრეკისას, რვა ვაზნით „ჩეზეს“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა.

მისივე ცნობით, ნასვამი ახალკაცი გამვლელ მოქალაქეებსა და ხაშურის რკინიგზის სადგურის თანამშრომლებს ცეცხლსასროლი იარაღით ემუქრებოდა.

დაკავებული 1991 წლიდან 2006 წლამდე ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურის გამგებელი იყო. ამჟამად, ახალკაცი პოლიტიკური პარტიის — „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა. ის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატად ამავე პარტიიდან იყრიდა კენჭს.

მომხდარ ფაქტზე საქმე 236-ე მუხლის (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება) მეორე ნაწილით, 151-ე მუხლით (მუქარა) და 239-ე მუხლის (ხულიგნობა) პირველი ნაწილით აღიძრა, რაც ჯამში, თავისუფლების 7 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

„პირველი“

„ჩვენ დევნილები კი არა, პოლიტიკური მძევლები ვართ!“

ნინო ლურსმანაშვილი
რედაქტორი

ლავროვის განცხადებას, რომ მოსკოვი მზადაა, საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები აღდგეს, აბაშიძე-კარასინის შეხვედრა მოჰყვა. რა სიკეთეს მოუტანს ეს შეხვედრა საქართველოს, დრო გვიჩვენებს. ქართველი პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ ილუზიას არ უნდა ავყვეთ და არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე ოკუპანტ რუსეთთან გვაქვს. მანამდე, ჟენევის მოლაპარაკებების ისტორიას, კიდევ ერთი უშედეგო შეხვედრა შეემატა. შეხვედრები — შეხვედრებად, რეზოლუციები — რეზოლუციებად, მოლაპარაკებები — მოლაპარაკებებად, აფხაზეთი კი, უკვე 20 წელია, ტკივილად რჩება! — ასეთია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ უხუცესთა პათოსი. რას ელიან ახალი ხელისუფლებისგან ისინი, ვინც თავის დროზე, აფხაზეთის განვითარებაში უზარმაზარი წვლილი შეიტანა? რატომ არ აძლევს მათ საქართველოს არცერთი ხელისუფლება საშუალებას, წვლილი შეიტანონ კონფლიქტის მოგვარების პროცესში და რატომ მიიჩნევენ ისინი თავს პოლიტიკურ მძევლებად? „ვერსია“ „თავისუფალ ტრიბუნას“ უხუცესთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „შერიგების“ წარმომადგენელს, ალექსანდრე მიქაძეს უთმობს, რომელმაც თავის დროზე, სოხუმში, „სოხუმხელსაწყო“ დააარსა და წლების განმავლობაში, მისი გენერალური დირექტორი გახლდათ.

— ვინ, რატომ, რა გათვლით და რა მიზნით დაიწყო აფხაზეთში ომი, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. წლების განმავლობაში, ამ თემაზე ძალიან ბევრი რამ ითქვა, მაგრამ რეალურად, სათქმელი არ თქმულა... იმის მცდელობა, წვლილი შეგვეტანა, ჩვენ ძმებთან, აფხაზებთან, დაკარგული ნდობის აღდგენასა და ურთიერთობების დარეგულირებაში, იმ წუთიდან გვქონდა, როცა აფხაზეთი დავტოვეთ. პირადად, მე, ძალიან გვიან წამოვედი იქიდან. ჩემს მერე გადმოფრინდა ედუარდ შევარდნაძე. სხვათაშორის, შევარდნაძეს კარგად ვიცნობდი — წლების განმავლობაში, სოხუმში, „სოხუმხელსაწყოს“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი გახლდით და მოსკოვიდან თუ ვინმე ჩამოვიდოდა, ჩემთან მოყავდა. ჩვენი ქარხანა, არაინდუსტრიულ საქართველოში, საამაყო და საჩვენებელი იყო... თუმცა ტრაბახად არ ღირს... თბილისში გადმოსვლის დღიდან დავიწყე ჩემ თანამოაზრეებთან ერთად ფიქრი იმაზე, როგორ მოგვეგვარებინა შექმნილი ვითარება. ამ მიზნით, ჩამოვაყალიბეთ, „აფხაზეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდი“. მერე, მოსკოვში, დავაფუძნე ორგანიზაცია „დაბრუნება“. მოგვიანებით კი, შეიქმნა, უხუცესთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „შერიგება“. სწორედ ამ ორგანიზაციის ფარგლებში, აფხაზებთან მოლაპარაკებების პროცესში, უდიდეს შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ... ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

— დღეს ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს კონფლიქტის მოგვარებაში წვლილი შეიტანოს. თქვენ, კონკრეტულად, ვისთან აწარმოებდით მოლაპარაკებებს და მაინც რა შედეგი მიიღეთ?

— ბევრი ორგანიზაციაც არსებობს და ბევრი „გრანტიჭამიაც“. არის ისეთებიც, ვინც მართლა ცდილობს რაღაცას, მაგრამ... ჩვენ გარეშე არა მგონია, რამე გამოვიდეს. ჩვენ დღემდე გვაქვს კონტაქტები. თავის დროზე კი, ჩვენმა ოფიციალურმა შეხვედრებმა აფხაზებთან, დიდი შედეგი გამოიღო — საერთო პროგრამა შევიმუშავეთ. ასეთი დოკუმენტი, არცერთ ორგანიზაციას არ მიუღია. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომელსაც მომდევნო ნაბიჯები აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა.

— რა პროგრამა შეიმუშავეთ და თუ ასეთი წინსვლა გქონდათ, მომდევნო ნაბიჯები რატომ არ გადადგით?

— იმ დოკუმენტს, იმ ურთიერთობებს, ყავლი არ გასვლია. ჩვენმა ორგანიზაციამ, აფხაზებთან ორი შეხვედრა გამართა. 1999 წელს. ერთი მოსკოვში, ერთიც — სოჭში. სოჭში შეხვედრას ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები და აფხაზური მხრიდან — აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს წევრები ესწრებოდნენ. შევთანხმდით, რომ მსგავს კონტაქტებს შეუძლია, დაჩქაროს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესი. ამიტომ, მხარეებმა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, დაწყებული დიალოგისა და შეხვედრებისთვის, რეგულარული ხასიათი მიგვეცა. შევიმუშავეთ ერთიანი პროგრამა, სახელწოდებით: „კონფრონტაციიდან — მშვიდობიან შეთანხმებამდე“. იმაზეც შევთანხმდით, რომ ამ პროგრამის საფუძველი, უკვე მიღებული ორმხრივი გადაწყვეტილებები უნდა ყოფილიყო. მთავარი კი, რაზედაც კონცენტრირებას მოვახდენდით — აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის გაღვივება იქნებოდა. ამისთვის ისიც აუცილებელი იყო, გამოგვევლინა ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობა, ძალადობა, ძარცვა და სხვა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები. სხვათაშორის, ამაზე საუბარი, 1994 წელს, 4 აპრილს, მოსკოვში მიღებულ ოთხმხრივ შეთანხმებაშიცაა, რომელიც მოგვწონს და რომლის შესრულებასაც ვითხოვთ. მთავარია, ქართველებსა და აფხაზებს შორის ადამიანური ურთიერთობების აღდგენას. ამ მიზნით, გადაწყდა, შესაბამისი პროექტების ფარგლებში, უზრუნველგვეყო ქართველი და აფხაზი თანამემამულეების, კლასელების, ჯგუფელების, თანამშრომლების, ერთი პროფესიის ადამიანების შეხვედრების ორგანიზება. გადაწყდა, მესამე შეხვედრა სტამბოლში მოგვეწყო, მაგრამ... არ მოხერხდა.

— რამ შეუშალა ხელი მოლაპარაკების ამ პროცესის გაგრძელებას?

— ხელისუფლების პოლიტიკური ნებაც იყო საჭირო. ორი შეხვედრის შემდეგ, ცენტრალური და აფხაზეთის ავტონომიური ხელისუფლების წარმომადგენლების რეაქცია, იცით, როგორი იყო? ირონიითა და ცინიზმით ნათქვამი — ნეტავ, ვინ არიან ეს მოხუცები, ეს მშვიდობისმყოფელი მტრედებიო?

— შევარდნაძის ხელისუფლებისგან მსგავსი საქციელი, ალბათ, ბევრს არ გააკვირვებს. დამოკიდებულება არ შეიცვალა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ? სააკაშვილი ხომ ამბობდა, ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ტერიტორიების დაბრუნებაო.

— არა. არაფერი შეცვლილა. მეტიც, ნინო ბურჯანაძე იყო, ბათუმიდან დევნილი ქალბატონები რომ გამოყარა. უიმედოდ დარჩენილმა ქალებმა, ზუგდიდს მიაშურეს და ენგურსგაღმა შეეცადნენ გადასვლას. მოღალატეებად გამოაცხადეს ისინი. სააკაშვილი კი, იმასაც ამბობდა, აფხაზეთი ჩვენი არასოდეს ყოფილა, იქ ქართულად არავინ ლაპარაკობდაო. სტამბოლში შეხვედრა რომ უნდა დაგვეგეგმა, თემურ იაკობაშვილთან მივედით. მაშინ რეინტეგრაციის მინისტრი იყო. მხარდაჭერა და გარკვეული თანხა გვჭირდებოდა. გვითხრა, ოღონდ თქვენ რამე გააკეთეთ და აუცილებლად დაგიდგებით გვერდშიო. სანამ ყველაფერი მოვაგვარეთ, იაკობაშვილი ელჩად გაუშვეს. სამინისტროში რომ მივედით, ასე გვითხრეს, ფულს როგორ შეგპირდათ, ხელფასებს ძლივს გვირიგებენო... არადა, ამოვიკითხე გაზეთში, რომ ამერიკის სენატის გადაწყვეტილებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებისთვის, საქართველოსთვის, თუ არ ვცდები, 16 მილიონი გამოუყვიათ. ვეკითხები საკაშვილს, სად წავიდა ეს ფული?.. წლების განმავლობაში, ვის არ მივმართეთ... ყველას ვევედრებოდით, ჩვენი რესურსი და კავშირები გამოეყენებინათ, გვერდში დაგვდგომოდნენ. რეალურად, არცერთ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია, რომ კონფლიქტი მოგვარებულიყო. პირიქით, შანსებს ხელიდან უშვებდნენ. სააკაშვილმა რომ გაუშვა შანსები, ეს თქვა კიდეც ირაკლი ალასანიამ. გახსოვთ, ის აფხაზებთან მივიდა და უთხრა, მამა კი მომიკალით, მაგრამ უნდა ვილაპარაკოთო. მაშინ ვაჟკაცურად მოიქცა. მეგონა, პროგრესი იქნებოდა, მაგრამ... როგორც კი დაიძრა ყინული, ჩამოაშორეს ამ საქმეს.

— ახლა ალასანია ახალი ხელისუფლების წარმომადგენელია...

— არ მაქვს იმედი, რომ ახლა მაინც შეიცვლება რამე. ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. თითქოს, ყველა მიეჩვია უაფხაზეთობას. ადამიანის ბუნებაა ასეთი. თითქოს, მეც მივეჩვიე... აბა, დევნილს ვგავარ ახლა მე? გაზეთი გამოდიოდა „აფხაზეთის ხმა“. იქ ვახერხებდით გულის მოოხებას. ეს წყაროც გადაგვიკეტეს. გამორნდა, ამავე დასახელების სატელევიზიო არხი, მაგრამ... ერთი გადაცემა არ მომზადებულა აფხაზეთზე. არ ვიცი, რას იზამს ეს ხელისუფლება. არაფერი გამოვა, თუ ყველა არ გაიაზრებს, რა მოხდა და არ აღიქვამს, რომ ჩვენ დევნილები კი არა, პოლიტიკური მძევლები ვართ. ეს პოლიტიკური თამაში, დღეს უკვე გლობალური საკითხია, რომელიც აღარც აფხაზებზეა დამოკიდებული, აღარც საქართველოზე და აღარც რუსეთზე. პროცესს მართავს ამერიკა და ევროპა. არც ეს შეხვედრები მოიტანს რამეს. რუსეთმა აფხაზეთი ჩვენ ჯინაზე აღიარა და სიტყვას უკან არ წაიღებს. ამერიკა-ევროპას კი, აქ დაძაბული ვითარება მგონი აწყობთ კიდეც.

— თუ ასეა, გამოსავალი არ ყოფილა და რა აზრი აქვს, თუნდაც თქვენი ორგანიზაციის ბრძოლას?

— გამოსავალი არის — ხალხებს შორის უნდა მოხდეს შერიგება! აუცილებელია საერთო ენის გამონახვა აფხაზებთან. მათთან კონტაქტები უნდა განვაახლოთ, შეხვედრების ორგანიზება უნდა მოვახდინოთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, არამედ დაპირისპირებულ ხალხთა შორის ნდობის გაჩენაზე, უბრალო, ადამიანური ურთიერთობების წახალისებაზე. სამოქალაქო დიპლომატიური პროცესი საკმაოდ გრძელვადიანია. ის ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს და მას აუცილებლად სჭირდება ხელისუფლების პოლიტიკური, მშვიდობისმყოფელი, კეთილი ნება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დრო გადის და უმოქმედობით, გაუცხოება უფრო გაძლიერდება. მე დღესაც მყავს აფხაზი მეგობრები. მათთან კავშირი არ გამიწყვეტია, მითხრეს, ჩამოდი და შენ სახლში უპრობლემოდ იცხოვრებო... მაგრამ მათი შვილიშვილებისთვის, ალბათ, მტერი ვარ... ერთხელ ვკითხე შევარდნაძეს, რა მოხდება-მეთქი. მაშინ სოხუმი ჯერ არ იყო აღებული. აფხაზებზე მითხრა, აცადე, ინანებენო. ახლა მიპასუხეთ, ვინ ნანობს? მხოლოდ სურვილია, აფხაზებს რუსებთან თანაცხოვრება გაუჭირდეთ. სინამდვილეში, თავს კარგად, თავისუფლად გრძნობენ. არადა, დამოუკიდებლობა სულაც არ იყო მათი თვითმიზანი. მათ უბრალოდ, იმის გარანტია სჭირდებოდათ, რომ თავს არ დავესხმებოდით... 20 წელია თბილისში ვარ. ამდენი დევნილის შენახვა რა უჯდება სახელმწიფოს? სიამოვნებით დავბრუნდებოდი სოხუმში, მაგრამ უმეზობლოდ, უოჯახოდ როგორ გავძლო? არც კი ვიცი, ჩემი ოჯახის წევრები, რომლებიც აქ დაიზარდნენ, აქ აიწყვეს ცხოვრება, წამომყვებიან თუ არა... ეს დღეს ყველაზე დიდი პრობლემაა და რაც მეტი წელი გავა, მით მეტად გართულდება ამ მხრივ საქმე... ახალ-ახალ ხელისუფლებებთან უშედეგო მცდელობებითაც დავიღალეთ... იქნებ ახლა მაინც გაიაზრონ, რეალურად რა, რატომ მოხდა და რა არის გამოსავალი. იქნებ ახლა მაინც მიხვდნენ, რომ იმ ადამიანების რესურსზე, მათ გამოცილებაზე, ცოდნასა და კონტაქტებზე უარის თქმა არ შეიძლება, ვინც თავის დროზე, აფხაზეთის განვითარებაში წვლილი შეიტანა... ან იქნებ, ახალმა ხელისუფლებამ ერთხელ კიდევ გადახედოს 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივ შეთანხმებას და იპოვოს პასუხი კითხვაზე — ვინ შეუშალა ამ შეთანხმების რეალიზებას ხელი? ვინ დაარღვია ის და რატომ?



გონიოში სპეცოპერაციის შედეგად პროსტიტუციის ბიზნესში ჩართული რამდენიმე ადამიანი დააკავეს

სამართალდამცველებმა გონიოში სპეცოპერაციის შედეგად პროსტიტუციის ბიზნესში ჩართული რამდენიმე ადამიანი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს.

მისივე ცნობით, გონიოში სასტუმრო „ოცნებაში“ პოლიციამ უძველესი პროფესიის რამდენიმე ქალი დააკავა. სულ აყვანილია 20-მდე ქალი და რამდენიმე მამაკაცი. მათგან 5 უკვე დაკავებულია. აქედან ორი ქალი საქართველოს მოქალაქეა, მამაკაცები კი თურქეთის მოქალაქეები არიან.

სპეცოპერაცია გვიან ღამით ჩატარდა. დაკავებულები ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის სამმართველოში არიან გადაყვანილები. ოპერაცია მოსახლეობის შეტყობინების შემდეგ დაიგეგმა. ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ სასტუმროში შექმნილი ხმაურის გამო, მათ დისკომფორტი ექმნებოდათ. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 294-ე მუხლითაა აღძრული.

„პირველი“

თბილისის საკრებულომ დედაქალაქის ბიუჯეტი დაამტკიცა

დედაქალაქის 2013 წლის ბიუჯეტი, რომელიც 640 მილიონი ლარია, დღეს საკრებულოში გამართულ სხდომაზე დამტკიცდა.

სხდომა ბიუჯეტის დამტკიცებამდე საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციების წევრთა უმეტესობამ დატოვა. განხილვის პროცესს მხოლოდ კახა კუკავა და მამუკა კაციტაძე დაესწრნენ, თუმცა მათ ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს.

ბიუჯეტის პროექტი მერის მოადგილემ, პაპუნა პეტრიაშვილმა წარადგინა.

თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტი 640 მილიონი ლარი იქნება, რაც 2012 წლის ბიუჯეტზე მილიონი ლარით ნაკლებია.

ბიუჯეტის მიხედვით, თანხები ასე გადანაწილდა, კერძოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარებისთვის დედაქალაქში მომავალ წელს - 97 მილიონ ლარზე მეტი, ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია, ავარიული შენობების გამაგრებისთვის – 151 მილიონ ლარზე მეტი, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება -გაუმჯობესებაზე — 28 500 000 ლარზე მეტი, ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის — 7 697 0000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები განვითარებისთვის — 44 784 000 ლარი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისთვის 154 719 000 ლარი, განათლებაზე დაიხარჯება 48 670 000 ლარი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროექტებზე — 16 მილიონ ლარზე მეტი, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე კი - 17 955 000 ლარია გათვალისწინებული.

ამასთან, ბიუჯეტის მიხედვით, მომავალი წლიდან იმ დაწესებულებებში, რომლებსაც მერია აფინანსებს, შრომითი ანაზღაურება 20%-ით გაიზრდება, რისთვისაც ბიუჯეტში 72 800 000 ლარია გამოყოფილი.

„პირველი“

სილნაღის პროკურატურამ „ნაციონალების“ აქტივისტი ბოშა დაკითხა

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

ბოშათა გაერთიანება „რომას“ ხელმძღვანელი ვენერა იუნენკო-მარტყოფლიშვილი, მის სოფელში მცხოვრები ერთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად, სიღნაღის პროკურატურამ მოწმის სახით, დაკითხვაზე დაიბარა. პროცესს გაზეთი „ვერსია“ ექსკლუზიურად დაესწრო.

რაფომ უცხადებენ ბოიკოტს არჩევნებს და რაფომ არ ენდობიან ახალ ხელისუფლებას სოფელ ხორნაბუჯის ბოშები

გაერთიანება „რომას“ ხელმძღვანელი ჩვენთან საუბრისას ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტია და პროკურატურა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დღეს, მის მიერ დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის ერთ-ერთ უბანზე დაფიქსირებული დარღვევებით დაინტერესდა. გამოძიებას ამავე შინაარსის კითხვები ჰქონდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოეთში მცხოვრებ ბოშებთანაც, რომლებმაც ქართულ ენაზე წერა-კითხვა არ იციან. ქვეყნის მასშტაბით, სოფელ ჭოეთში ყველაზე მეტი ბოშა ოჯახი ცხოვრობს.

სხვათა შორის, ქალბატონი ვენერა სახალხო დამცველის აპარატში, უმცირესობების საბჭოს წევრია. საყურადღებოა ისიც, რომ კენჭისყრის მიმდინარეობის დროს, საარჩევნო უბანზე მრავლად მყოფი დამკვირვებლებიდან მისი ქმედება არც ერთს გაუპროტესტებია და არც საჩივარი დაწერილა. ხმაური მას შემდეგ ატყდა, რაც ვიდეოფირი „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს შტაბმა განიხილა:

ვენერა იუნენკო-მარტყოფლიშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია, დედოფლისწყაროს 22-ე საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის შენობაში, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში იმყოფებოდა ისე, რომ მას ამის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონია, რაც ვიდეომასალიდანაც ნათლად ჩანს. მარტყოფლიშვილმა კაბინაში მარტო არ შეუშვა არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც სოფელ ჭოეთიდან იყო ჩამოსული. უფრო მეტიც, საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები ამომრჩევლებს, ძირითადად ეთნიკურ ბოშებს, რომელთა ნაწილმაც ქართულად წერა-კითხვა იცის, პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ მათ ვენერა დაეხმარებოდათ. Подожди, Венера поможет! – მიმართა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ამომრჩეველს.

საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, ამომრჩეველი თვითონ ავსებს ბიულეტენს, თვითონ იღებს სპეციალურ კონვერტს და ათავსებს მასში ბიულეტენს. „მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი, საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. თუ აღნიშნული ქალბატონი ამომრჩეველია, ხმის მიცემის შემდეგ კენჭისყრის შენობა უნდა დაეტოვებინა. დარღვეულია ხმის მიცემის ფარულობა და ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე ზეგავლენაა მომხდარი. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია, დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს, კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს სხვა ამომრჩეველი, მაგრამ ამომრჩეველს უფლება აქვს, ერთხელ დაეხმაროს და არა ერთი საათის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში.

„არჩევნებში ხმის მიცემა არის ფარული. როდესაც ამომრჩეველი კაბინაში სხვა ამომრჩეველს შეჰყვება, ამით კენჭისყრის ფარულობა ირღვევა, მეორე მხრივ, ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა ხდება. თუ ასეთი ფაქტი მასშტაბურად ხდებოდა, უბნის შედეგებზე შესაძლოა, გავლენა მოეხდინა, ამიტომ შედეგები უნდა გაბათილდეს“, – ამბობს საარჩევნო საკითხების სპეციალისტი ნინა ხატისკაცი.

დაკითხვის დასრულების შემდეგ, გაზეთი „ვერსია“ პროკურატურიდან გამოსულ ვენერა იუნენკოს გაესაუბრა:

— არჩევნებთან დაკავშირებით ვარ დაბარებული. მე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ამიტომ დამიბარეს... როგორც იცით, საარჩევნო კაბინასთან ვიდექი და ბოშებს არჩევანის დაფიქსირებაში ვეხმარებოდი. ახლა ჩივიან და ამბობენ, რომ ეს გაყალბება იყო, მაგრამ წინასწარ დაგეგმილი არაფერი მქონია. ხმის მისაცემად რომ მივედი, მთხოვეს, ვენერა, ამათ ვერაფერი გაუგიათ და შენ, როგორც მათი უფლებადამცველი, დაეხმარეო. მთხოვეს და დავეხმარე. საარჩევნო საკითხებზე თბილისში ტრენინგები რამდენჯერმე გავიარე, თუმცა რა ცოდნაც იქ მივიღე, იმის მიხედვით, არ მეგონა, რომ ბევრი ამომრჩევლის დახმარება კანონდარღვევა იყო.

— საარჩევნო უბანზე ეს დარღვევა ვიდეოკამერებმაც დააფიქსირა...

— კადრები მეც მაჩვენეს. გამომძიებელიც მეკითხებოდა, რას ვკარნახობდი ამომრჩევლებს. ფაქტობრივად, არ ვიცოდი, რომ ჩემი საქციელით კანონს ვარღვევდი. დღემდე ასე ვფიქრობ, რომ ეს საქციელი კანონდარღვევა არ იყო და მათ დახმარების ხელი გავუწოდე...

— ანუ, თუკი წერა-კითხვისუცოდინარი ყველა ამომრჩევლის ბიულეტენი თქვენ შემოხაზეთ, გამოდის, რომ სოფელში ყველას არჩევანი იცით?

— ასეა, პირადად შემოვხაზე მათი ბიულეტენები. არც წერა იციან, არც — კითხვა. კაბინაში ვერაფერს გააკეთებდნენ და ამიტომ შევდიოდი... მაგრამ, ვეკითხებოდი, ვისი არჩევა სურდათ და იმის მიხედვით ვაფიქსირებდი არჩევანს.

— კარგით, მაგრამ ამომრჩეველთა სრული უმრავლესობა „ნაციონალური მოძრაობის“ შემოხაზვას გთხოვდათ თუ, რაკი ვერ ერკვეოდნენ, როგორც აქტიური „ნაციონალი“, საკუთარი ინიციატივით ზრუნავდით?

— გეფიცებით, არა!.. ნამდვილად, ყველას „ნაცმოძრაობის“ გამარჯვება სურდა. სოფელში მხოლოდ ერთი-ორმა მითხრა, „ოცნება“ შემოგიხაზეო და არ მინდოდა, მაგრამ მაინც „ოცნება“ შემოვხაზე. ეს მათი არჩევანია. ესენიც ხომ ცოდონი იყვნენ, რომ არ დავხმარებოდი, სხვაგვარად არ შემეძლო. რა გარანტია მაქვს, სხვა დამხმარე რომ მიგვეშვა, სამართლიანად დაეხმარებოდა?!

— თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ ჭოეთს, ძალიან ბევრი პრობლემა აქვს. ამის მიუხედავად, სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ადგილობრივებს სიმპათია ჰქონდათ?

— რატომ არის ჩვენ სოფელში ბევრი პრობლემა? მეც მათთან ერთად ვარ, ბოშური წესით ვცხოვრობ, მეუღლეც ბოშა მყავს. დედოფლისწყაროს გამგეობამ, შეძლებისდაგვარად, წყლის პრობლემაც მოაგვარა, დენისაც. გარეგანათებაც გაგვიკეთეს. პირადად, მე, გამგეობაში რა საკითხზეც მივედი და ადგილობრივ ხელისუფლებას ვთხოვე, ყველაფერი მოგვარდა. აი, ამიტომაც დაუჭირა ჩვენმა სოფელმა მხარი „ნაცმოძრაობას“. რამდენიმე წლის წინ, ბევრ ოჯახს პირადობისა და დაბადების მოწმობებიც არ ჰქონდათ. ამის გამო სახელმწიფო დახმარებებით და შეღავათებითაც ვერ სარგებლობდნენ. ახლა ასე აღარ არის. როცა ვაპირებდი, სააკაშვილის წინააღმდეგ გამელაშქრა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩემში ეს მუხტი ჩაახშო. მეუბნებოდნენ, ხმა არ ამოიღო, ბოშები არ აგვიბუნტოო. მეწყინა და გავჩერდი. მეუბნებოდნენ, ოპოზიცია ხომ არ ხარ, გაჩერდიო... სამი არასამთავრობო ორგანიზაცია მაქვს, კახეთის ბოშათა გაერთიანება „რომა“, ქვემო ქართლის ბოშათა გაერთიანება და მთლიანად, საქართველოს ბოშათა კომიტეტის თავმჯდომარე ვარ. ბევრი საქმე მქონდა, საკმარისი შემოსავალი მაქვს და ყველაფერს გავერიდე... არჩევნების დღემდე არ ვიცოდი, რომ ჩვენს სოფელს „ნაცმოძრაობა“ მოსწონდა. ხმები დადის, თითქოს, აქტიურ აგიტაციას ვეწეოდი, მაგრამ გეფიცებით, ასეთი არაფერი ყოფილა.

— თუ არანაირი ინტერესი არ არსებობდა, რატომ აგრძელებდით ამომრჩეველთა დახმარებას საათზე მეტ ხანს?

— ერთმა ამომრჩეველმა ბიულეტენზე ჯვარი დასვა, არ იცოდა, რომ ბიულეტენი ზიანდებოდა. კომისიას მივმართე, მათი უფლებადამცველი ვარ და ყველას დავეხმარები-მეთქი. იმსჯელეს და ყველა დამეთანხმა. ამჟამად, ჩვენს სოფელში 126 ბოშა ცხოვრობს. ეს აღწერა, შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მამის, ტარიელ ღარიბაშვილის დახმარებით შარშან ჩავატარე, როცა ის ჩვენი სოფლის გამგებელი იყო. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები იყვნენ, აღწერაც ჩავატარეთ და დოკუმენტებიც დავურიგეთ. „ნაციონალური მოძრაობა“ რატომ უნდა შემომეხაზა, გეფიცებით, არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს ბიძინა ივანიშვილსა და მის პოლიტიკასთან. პირიქით, შინაგან საქმეთა მინისტრი ჩემი სოფლიდან არის და მივესალმები ამ ამბავს... მისი მამაც, ჩემთვის იყო საუკეთესო პიროვნება, ხშირად ვთანამშრომლობდით და ვერ ვხვდები, რატომ უნდა მებრძოლა მათ წინააღმდეგ... არავისთვის დამიძალებია, სააკაშვილის პარტია შემოეხაზათ. თვითონ ბოშებს უნდოდათ სააკაშვილი და ახლაც ასე არიან. ორი დღის წინ გამოვიდნენ და ყვიროდნენ სააკაშვილი გვინდოდაო...

— ფიქრობთ, ივანიშვილის კოალიცია უყურადღებოდ დატოვებს თქვენ სოფელს?

— ჩანს, ახალ ხელისუფლებას ბოშები არ ენდობიან... თუ მომავალში მოგვხედავენ, მერე ალბათ, ივანიშვილს დაუჭერენ მხარს. მაგრამ ახლა, პროკურატურაში იმდენჯერ დაგვიბარეს, გეფიცებით, გამწარებულები არიან... დავიღალეთ ამდენი დაკითხვებით... ახლაც, ჩემთან ერთად 6 ბოშა დაკითხეს... პროტესტს გამოვთქვამთ და გადავწყვიტეთ, რომ დღეიდან არცერთი ბოშა არჩევნებზე არ მივა! არც მე მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას. ყოველდღე პოლიციაში დავდივართ და გადავწყვიტეთ, არჩევნებს ბოიკოტი გამოვუცხადოთ.

გაზეთ „ვერსიის“ ინფორმაციით, კოალიციამ „არჩევანის თავისუფლებისთვის“ სიღნაღის №13 საარჩევნო ოლქში საარჩევნო დოკუმენტაციის გაყალბებისა და დედოფლისწყაროს რაიონში ხორნაბუჯის საარჩევნო უბანზე გამოვლენილი დარღვევების გამო, პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით რამდენიმე თვის წინ მიმართა.

„დედოფლისწყაროს 22-ე საარჩევნო უბანზე (სოფელი ხორნაბუჯი) მოქალაქე ვენერა მარტყოფლიშვილი ხმის მიცემის პროცესში მუდმივად არღვევდა ხმის მიცემის ფარულობას, ამომრჩევლებს სისტემატურად მიჰყვებოდა ხმის მიცემის კაბინაში და „ეხმარებოდა“ საარჩევნო ბიულეტენში სასურველი ნომრის შემოხაზვაში. ამით ირღვეოდა საქართველოს „სისხლის სამართლის კოდექსის“ 164-ე მუხლი. ვინაიდან აღნიშნულმა დარღვევებმა არსებითი გავლენა იქონია ამ ოლქებში მაჟორიტარული არჩევნების შედეგებზე, მივმართავთ პროკურატურას შეისწავლოს აღნიშნული ფაქტები“, – აღნიშნულია კოალიციის განცხადებაში.

ილია მეორე: „საქართველოში ანტისემიტიზმი არასდროს ყოფილა“

საქართველოს ხელისუფლების ცვლის რთული პერიოდი აქვს და საპატრიარქო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს პროცესი მშვიდობიანად დასრულდეს.

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დიპლომატებთან შეხვედრისას განაცხადა.

ილია მეორემ ბოლო დროს საქართველოში რელიგიურ დაპირისპირებაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მუსლიმების შევიწროების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

მისივე თქმით, საქართველოში სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხი საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ და ანტისემიტიზმი საქართველოში არ ყოფილა.

„ზოგიერთი ავრცელებს ხმას ევროპაში, თითქოს უმცირესობებს ეთნოსისა თუ რელიგიური ნიშნით ავიწროებენ. ეს არ არის სწორი. ანტისემიტიზმი არასდროს ყოფილა“, — ბრძანა პატრიარქმა.

მოხუც და-ძმას 600 ლარი მოპარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ტყიბულის პოლიციის სამმართველოს დეტექტივებისა და უბნის ინსპექტორების განყოფილების თანამშრომლებმა, ძარცვის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული ერეკლე მ., 1989 წელს დაბადებული ვასილ ე. და 1986 წელს დაბადებული თორნიკე ფ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში მცხოვრები და-ძმა, 79 წლის დომნა და 82 წლის ნოე აბესაძეები გაძარცვეს. მათი საცხოვრებელი სახლიდან მძარცველებმა 600 ლარი წაიღეს.

სამართალდამცავებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დამნაშავეები იმავე დღეს დააკავეს და ნაძარცვი თანხა ამოიღეს. გაირკვა, რომ ერთ-ერთი ბრალდებული ერეკლე მ. დაზარალებული ოჯახის უახლოესი ნათესავი იყო. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. სისხლის სამართლის საქმე 178-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით აღიძრა, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

რუსთავში მომხდარი მკვლელობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 75 წლის გიორგი გ. დააკავეს.

ბრალდებულმა რუსთავში, „ს.ს. საქ. მონტაჟ სპეც-მშენის“ ტერიტორიაზე, ბასრი და ბლაგვი იარაღების გამოყენებით მოკლა თავისი მეგობარი, 71 წლის ომარ მიქელაძე. დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობის მომენტში, დაკავებულიც და მსხვერპლიც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. გაირკვა ისიც, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ გიორგი დ-სა და ომარ მიქელაძეს ურთიერთშელაპარაკება მოუხდათ, რასაც მკვლელობა მოჰყვა.

სამართალდამცავებმა ომარ მიქელაძის გვამი მომხდარიდან მეორე დღეს „ს.ს. საქმონტაჟ სპეც-მშენის“ ტერიტორიაზე, სადარაჯო ჯიხურთან ახლოს იპოვეს, სადაც ბრალდებული დარაჯად მუშაობდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„მედიანიუსი“

ექსპონატები, რომლებმაც შეიძლება, საქართველოს ისტორია შეცვალოს!

მარი შათირიშვილი

უძველესი ხელოვნების ნიმუშები, რაზედაც მამა კონსტანტინესთან (ერისკაცობაში – ერმილე თორთლაძე) ვსაუბრობთ, უნიკალურია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მეტიც, ამ ექსპონატებმა შეიძლება, საქართველოს ისტორია შეცვალოს. თითოეულ მათგანს ასი ათასობით დოლარის ფასად, დაუნანებლად შეიძენდა მსოფლიოს ნებისმიერი მუზეუმი. ჩემს კითხვაზე, როგორ გაუძლო ცდუნებას, რომ არ გაყიდა არც ერთი მათგანი, მარტივი პასუხი აქვს – ცდუნების წინაშე არც მდგარა იმიტომ, რომ ისინი ძალიან უყვარს და თუ უფალი ინებებს, მალე ისინი ძამის ხეობის იმერხევის ღვთისმშობლის შობის მონასტერს გადაეცემა.

„მანამდე, მეუფე იობს მივმართავ კითხვით, რომ მისი სურვილები და შენიშვნები გავითვალისწინო. თუ უფალმა ინება და გამოვედი ციხიდან, უწმინდესთან მივალ, მან შეიძლება, სულ სხვა კურთხევა მომცეს. არავითარ შემთხვევაში, არ მინდა, ისე იყოს აღქმული, რომ ამას რაღაცის სანაცვლოდ ვაკეთებ. ამ მუზეუმის შექმნაზე საუბარი ჯერ კიდევ მამა დავითთან დავიწყე და 2009 წელს მან მომცა კურთხევა. მინდა, მისი მორჩილება აღვასრულო — მას ძალიან უნდოდა ამ, უნიკალური არქეოლოგიური ექსპონატების მუზეუმის გაკეთება. ამ დროს, ხელისუფლებაში ჯერ კიდევ „ნაციონალები“ იყვნენ. არავინ იცოდა, როდის რა შეიცვლებოდა“, — გვითხრა მამა კონსტანტინემ.

მამა კონსტანტინე (ერმილე თორთლაძე) მემკვიდრეობით მიღებულ ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს იმერხევის ღვთისმშობლის შობის მონასტერს გადასცემს

— ვიდრე თქვენს მფლობელობაში არსებულ უძველესი ხელოვნების ნიმუშებზე დეტალურად ვისაუბრებთ, მითხარით, როგორ შეძელით მათი მოპოვება? ამის დრო და საშუალება როგორ გამონახეთ?

— ისინი ბაბუის – უფროსი ერმილე თორთლაძისგან მერგო მემკვიდრეობით. ის ირანში მსახურობდა და ისტორიული მემკვიდრეობის თავგადადებული მოყვარული იყო, თანაც, კარგად ერკვეოდა ასეთ საკითხებში. იგი დაუღალავად ეძებდა და აგროვებდა ამ ნიმუშებს. ამჟამად, ისინი დიდ ბრიტანეთში ინახება, თუმცა არსებობს სამართლებრივი გზები მათ ჩამოსატანად საქართველოში. სხვათა შორის, საქართველოში მქონდა უნიკალური მონეტების კოლექცია, რომელიც ჩემი დაკავების დროს გაქრა, თუმცა იქიდანაც გადარჩა რამოდენიმე მონეტა!

— უფრო დეტალურად გვითხარით – რა ინახება თქვენ კოლექციაში და რომელ საუკუნეებს მიეკუთვნება ისინი?

— კოლექცია შედგება რამდენიმე მიმართულებისაგან და თითქმის ყველა, თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე საუკუნეებით. ასე, მაგალითად: თიხის ნიმუშები, რომელიც მოიცავს პერიოდიკას — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 23-ე საუკუნე, ყველაზე ახალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1-ლი საუკუნეა. აქ არის როგორც შავი, ისე — წითელი ლავირებული თიხა.

კოლექციაში არის ცხოველების ფიგურები, მაგალითად – ირემი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-19-17 საუკუნეებით თარიღდება. ბრინჯაოს ნაკეთობები – სამკაულები, ყველაზე ახალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3-4 საუკუნეა. ასევე, ბრინჯაოს პერიოდიკაში შედის როგორც საბრძოლო იარაღი, ასევე – სამედიცინო დანიშნულების იარაღების ნიმუშები, ჭურჭელი. ასევე არის ცხენის უნიკალური აღჭურვილობა, მაგალითისთვის გეტყვით, რომ სახელმწიფო მუზეუმში ცხენის ლაგამის ნახევრის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია, ხოლო მე რამოდენიმე სრული ვერსია მაქვს! სამკაულებში არის როგორც ვერცხლის, ასევე — ოქროს ნაკეთობები, სადაც საინტერესოა სიმბოლიკები – მათში იკვეთება გველის, ვერძისა და გველეშაპის სიმბოლიკა. არის ერთი ვერცხლის სამაჯური, რომელიც ერთიერთში მეორდება ეგვიპტური კულტურის ნიმუშთან და თარიღდება მე-17 საუკუნით ჩვენს წელთაღრიცხვამდე; მინის მოოქროვილი მძივები – ლუვრში გამოფენილ ეგზემპლარებზე ბევრად უკეთესია, ესეც ეგვიპტური ხაზია. მინის მიმართულებაშია სხვა სამკაულებიც, სამაჯურები, ჭურჭელი... ერთი მინის საყურეა, რომელიც გრეხილია და შიგნით ვერცხლის სინია ჩატანებული, მეცნიერებისთვის ეს დღემდე აუხსნელია, რადგან ორივეს დნობის სხვადასხვა ტემპერატურა აქვს, გამჭვირვალე ცისფერია, ესეც ეგვიპტურია... კოლექციაში არის ყელსაბამები, ნამდვილი ეგვიპტური სკარაბეებია ზედ ამოტვიფრული, ამულეტი, ასევე სკარაბეების გამოსახულებით!

— ეგვიპტურის გარდა, სხვა კულტურების ნიმუშებიც თუ გაქვთ?

— დიახ, კოლექციის ერთ-ერთი სიმდიდრეა სკვითური მიმართულება – ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-17 საუკუნით დათარიღებული რკინის ბუნიკიანი ისრები, დაუზიანებელი, რომელზედაც სისხლია შემორჩენილი! ჩემს კოლექციაში ინახება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-20 საუკუნის ფიჭა, რომელიც რომ შეისწავლონ, შეიძლება, შიგ მწერიც აღმოჩნდეს, ასევე ამ დროინდელი ქსოვილის ნიმუშები.

ცალკეა რომაული ხაზი – მე მაქვს რომაელი მეომრის სრული აღჭურვილობა, მათ შორის – ბუგენომის ტიპის ჩაჩქანი, წინა მხარეს – ლოტოსით და ჩაჩქანზე არის დაღი, რომლითაც შესაძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი ლეგიონი იდგა საქართველოში! ამან შეიძლება, საქართველოს ისტორიაც შეცვალოს – ბუგენომა უფრო ძველია, ვიდრე საქართველოში რომაელთა შემოსვლა ფიქსირდება. ამ ტიპის ბუგენომა მსოფლიოში სულ 16-ია ნაპოვნი. ჩემს კოლექციაში არსებული მათგან ყველაზე ძველია და მას აქვს დამღა! დანარჩენი თექვსმეტიდან დამღა არც ერთს არა აქვს! ამას ცალკე სამუზეუმო სივრცე სჭირდება. ამასთან ერთად, ბაბუას შეუძენია რომაული სამკაპი, ფალერები-საბეჭურები, ვერცხლის ქამრის ფრაგმენტი, რომელიც სავარაუდოდ, მუცლის სარტყელი უნდა იყოს, უკან-ნაჭრით, რკინის რომაული დაშნა და პატარა დანა. რომაელი ლეგიონერის სრული აღჭურვილობა მთელ მსოფლიოში არავის აქვს, თანაც – ეს არაა უბრალო ლეგიონერის, რადგან ძალზე ნატიფი ნაკეთობაა. მთელი აღჭურვილობა 40 ან უფრო მეტი ნაკეთობისგან შედგება. რომაელი გლადიატორის სამკაპი, ლითონის, მსოფლიოში დღეისთვის, მარტო ერთია და ისიც მე მაქვს!

— კოლექციის რაღაც ნაწილი თქვენ საქართველოშიც გქონდათ, რომელიც, როგორც ვიცი, თქვენი დაკავების დროს დაიკარგა...

— დიახ, მე მქონდა ძალიან დიდი ნუმიზმატური კოლექცია, რომელიც ჩემი დაკავების დროს დაიკარგა, მაგრამ რაც გადარჩა, იმედი მაქვს, მუზეუმში დაიმკვიდრებს ადგილს. ცალკე აღსანიშნავია შამანის აღჭურვილობა – მე-17-14 საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ბორჯღალოს და ქართული კალენდრის დროინდელია, ამ ამუნიციაში დიდი კოდია ჩადებული, ყველა სამაჯური თავის სიმბოლიკითაა. არის ბეჭდები, მე-12-9 საუკუნის, შიგნითა მხრიდან – გემებით. აუცილებლად უნდა აღვნიშნო მანაშის ფიგურა, ინდურ-ჩინური კულტურის ბრინჯაოს ღვთაების ნიმუშები, ჩვენი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნე...

ჩემს კოლექციაშია დაუთ-ხანის პირადი ბეჭედი, არაბების მმართველობის დროს თბილისში მოჭრილი ოქროს მონეტა სრულად, რომელიც მსოფლიოში უნიკალურია, ნახევარი ინახებოდა ბერლინის მუზეუმში და ეს მუზეუმი ამით განთქმული იყო, მაგრამ მე-2 მსოფლიო ომის დროს დაიკარგა. ამ მონეტას გაუმართლა – ის არ იყო იმ ყუთში, რომელიც ჩემი დაკავების დროს დაიკარგა და მხოლოდ ამიტომ გადარჩა!

— მამა კონსტანტინე, ეს ყველაფერი მართლაც უნიკალურია, მაგრამ ისინი არ არის საქართველოში...

— დიახ, ეს ყველაფერი ინგლისში ინახება, ჩემს ნდობით აღჭურვილ პირთან. მე ვაპირებდი იქ მუზეუმი გამეკეთებინა, მაგრამ ამასობაში, მალევე დამაპატიმრეს. როდესაც მუზეუმის შექმნის საკითხი გაირკვევა, უკვე მერე ვიზრუნებ ექსპოზიციის დაბრუნებაზე საქართველოში, ამის სამართლებრივი გზები არსებობს!

P.S. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ საუბარი მუზეუმის და ექსპონატების შესახებ უკვე ციხის გარეთ მოგვიწევდა, რადგან მამა კონსტანტინე თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით ერთ-ერთი პირველი უნდა ყოფილიყო იმ პატიმართა სიაში, რომელიც სოზარ სუბარის სამინისტრომ პრეზიდენტს შეწყალების რეკომენდაციით წარუდგინა. ყველა სამედიცინო დოკუმენტში, რაც მამა კონსტანტინეს პირად საქმეში დევს, აღნიშნულია, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია ლეტალური შედეგი. საბოლოოდ, აღნიშნულ სიაში მამა კონსტანტინე (ერისკაცობაში – ერმილე თორთლაძე) არ აღმოჩნდა! მიუხედავად იმისა, რომ მან დაბეჯითებით გვთხოვა, ამაზე სტატიაში არ გვესაუბრა, მაინც გვინდა, ჯერჯერობით, ძალიან მოკლედ შევეხოთ ამ თემას და დავიტოვოთ იმედი, რომ ეს „შეცდომა“ მალე გამოსწორდება.

შოუბიზნესის „რუხი კარდინალი“

„ნაციონალებთან“ დაპირისპირების მიზეზებს ამხელს!

თამარ ლომსაძე

„არ ვაპირებ შურისძიებას მათზე, ვინც ზურგი მაქცია“, — ამ სიტყვებით დაიწყო ქართული შოუბიზნესის „რუხ კარდინალად“ მონათლულმა დათო ოქიტაშვილმა „ვერსიასთან“ საუბარი. ექსკლუზივებითა და სკანდალური განცხადებებით გაჯერებულ ინტერვიუს ლაიტმოტივად გასდევს განწყობა — ახლა ჩემი დროა, ყველაფერს ვიტყვი! რატომ გაათავისუფლეს კულტურის სამინისტროდან? რატომ სცემეს არარსებული სკანდალის გამო? რა არ აპატიეს „ნაციონალებმა“? რა პროექტების განხორციელებას აპირებს ქართული კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის ფონდის პრეზიდენტი? ამ და სხვა კითხვებს პასუხობს ДАТО ОКИТАШВИЛИ, რომელიც საუბარს კულტურის სამინისტორდან მისი გათავისუფლებით იწყებს:

— რა დააკლდა დათო ოქიტაშვილს კულტურის სამინისტროდან წამოსვლით?

— გულწრფელად ვამბობ — არაფერი დამკლებია. პირიქით, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სამარეში არ ჩავყევი მათ, ვის მიმართაც საერთოდ დამეკარგა ადამიანური განწყობა გავრცელებული ციხის კადრების შემდგომ. ვარ უბედნიერესი, რომ გამომაგდეს კულტურის სამინისტროდან და არ მიმიღია მონაწილეობა იმ სიბინძურეში, რასაც ეს ადამიანები სჩადიოდნენ.

— რასაც სამარეში ჩაყოლა უწოდეთ, სხვებისთვის ერთგულებაა და სხვა არაფერი.

— ღალატი არ მჩვევია, მაგრამ რაც საკუთარი თვალით ვნახე, ყოველგვარ ზღვარსაა გადასული. ასეთ შემთხვევაში, ერთგულებასა და ეთიკაზე საუბარი ზედმეტია. როდესაც ჩემი მიმართვა გავრცელდა, დამირეკეს და მითხრეს, „2 ოქტომბერიც მოვა და არ გეშინია?“ მოვლენები სხვაგვარად რომ განვითარებულიყო, ოჯახთან ერთად, ბაქოში ვაპირებდი გადასვლას. მიხარია, მუქარის განხორციელების საშუალება რომ არ მიეცათ და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ქვეყანაში ასე დადგა საკითხი — პური უნდა აცხოს მეპურემ. აქამდე, კულტურის სფეროში იყვნენ ადამიანები, ვინც ყველაფერი იცოდა და ყველაფრის უფროსი გახლდათ.

— სხვისი უფროსობა ვერ აიტანეთ და ამიტომ წამოხვედით სამინისტროდან?

— ეს არაფერ შუაშია. ჩვენ შორის უთანხმოება ბევრად ადრე წარმოიშვა. ზურაბ ჟვანიას მეგობარი ვიყავი და ეს არსად დამიმალავს — დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, ეს სწორედ ზურას დამსახურებაა. გარდა ამისა, მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ვერსიის არ მჯეროდა და სწორედ ეს არ მაპატიეს... პარალელურად კი, ვიღაცების ინტერესებიც გამოიკვეთა, უნდოდათ, შოუბიზნესის დედოფლები ყოფილიყვნენ და ადგენდნენ შავ სიას — ვის უნდა ემღერა, ვის — არა. მათ დაკრულზე არასოდეს მიცეკვია და არც ამის ატანა აღმოჩნდა მათთვის მარტივი...

— ვინ ადგენდა ამ „შავ სიას“?

— ...მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კანცელარიაში ვიღაცები პრეზიდენტს კარნახობდნენ, ვინ უნდა მდგარიყო სცენაზე. გადახედეთ სიტუაციას, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო ყველაფერი. ამ დროს, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, მაია ჯაბუა... პოლიტიკური შეხედულებების გამო, ყოველმხრივ დაბლოკეს. სცენაზე კი ვინ ჩანდა?

— ვინ და — სოფო ნიჟარაძე, ნოდიკო ტატიშვილი... ფიქრობთ, ისინი სცენაზე დგომას არ იმსახურებდნენ?

— ასე არ ვფიქრობ. უბრალოდ, მიმაჩნია რომ ვიღაცებმა ამის უფლება დაკარგეს, დანარჩენს კი ხალხი გამოუტანს განაჩენს. იმღერონ, რა პრობლემაა? კონცერტიც ჩაატარონ და ვნახავთ, თუ მივა საზოგადოება.

— ამდენი თუ გქონდათ სათქმელი, აქამდე რატომ დუმდით?

— მემუქრებოდნენ... მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინ მცემეს... ჩემი შვილების გამო, იძულებული ვიყავი, ხმამაღალი განცხადებებისგან თავი შემეკავებინა. ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ იმ ცემის მიზეზი არა „რივერდანსთან“ დაკავშირებული სკანდალი, არამედ, ნინო ბურჯანაძის ყრილობაზე ჩემი მისვლა გახდა.

— გამოდის, პოლიტიკისგან არც ისე შორს მდგარხართ, როგორც ამბობდით...

— პოლიტიკა არაფერ შუაშია. ქალბატონმა ნინომ რამდენიმე რჩევა მკითხა და უარი არ მითქვამს, თორემ ყრილობაზე სიტყვით არ გამოვსულვარ. ადამიანმა რჩევა მკითხა და არ მესმის, რატომ უნდა მეთქვა უარი? შემდეგ მითხრეს, სჯობს, განცხადება დაწერო და სამსახურიდან წახვიდეო. სიმართლე გითხრათ, თავადაც ვაპირებდი ამის გაკეთებას იმიტომ, რომ არ მინდოდა, საერთო მქონოდა მათთან, ვინც კულტურის მოღვაწეები, ეს ბუმბერაზი ადამიანები ჩარეცხა და ამ დროს, კულტურაში ახალი გამოჩეკილები წყვეტდნენ, ვის უნდა ეცეკვა, ვის — ემღერა და ა.შ.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს წლების განმავლობაში ამ ადამიანების სამსახურში არ იდექით. არსებული რეალობა ხელს არ გიშლიდათ, კონცერტები მოგეწყოთ და ვარსკვლავები გაგეხსნათ.

— კულტურის სამინისტროდან წლების წინ წამოვედი, მანამდე კი ჩემ საყვარელ საქმეს ვაკეთებდი.

— თუ ასე გიყვართ თქვენი საქმე, რატომ დათმეთ ვარსკვლავების პროექტი?

— ეს პროექტი ახლა დამიბრუნეს და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. მანამდე კი იყო ის, რომ ერთ დღეს მითხრეს — ეს იმხელა პროექტია, ჩვენ უნდა დაგვითმო, შენ კი კომისიაში იმუშავებო. სულ ეს იყო. კომისიას, რა თქმა უნდა, არ უმუშავია და ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც მოესურვებოდათ. უნიკალური, შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც პატრიარქმა აკურთხა, რაღაც საშინელებით შეცვალეს... არადა, საქმე იმ ადამიანებს ეხებოდა, ვინც ჩვენი ქვეყნის ისტორია შექმნა: ნინო რამიშვილი. რამაზ ჩხიკვაძე და...

— და, ფრიდონ სულაბერიძე, ვის სახელსაც სკანდალი მოყვა. ფიქრობთ, იგი არ იმსახურებდა ვარსკვლავის გახსნას?

— პირველ რიგში, გეტყვით, რომ კულტურის სამინისტროსთან შეუთანხმებლად არც ერთი ვარსკვლავი არ გამიხსნია. ანსამბლ „სუხიშვილების“ ვარსკვლავის გახსნაზე კი თენგიზ სუხიშვილმა თქვა, რომ ეს ვარსკვლავი „სუხიშვილებში“ მოცეკვავე ყველა თაობას ეკუთვნის, ვინც აქამდე ცეკვავდა, ცეკვავს და მომავალში იცეკვებსო. როდესაც გაჩნდა იდეა, ცალ-ცალკე გახსნილიყო ვარსკვლავები, მივხვდი, რომ ეს პროცესი განხეთქილების საგანი გახდებოდა. მივედი ერთ-ერთ კომპეტენტურ ადამიანთან, რომელმაც ასეთი სია შემიდგინა — ომარ მხეიძე, ლატავარა ფოჩიანი, იამზე დოლაბერიძე და შემდეგ, ფრიდონ სულაბერიძე. ომარ მხეიძის ვარსკვლავის გახსნის შემდეგ ჩამომართვეს პროექტი და ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. ისინი ერთპიროვნულად წყვეტდნენ ყველაფერს, თორემ აქ ბატონ ფრიდონზე არ არის საუბარი. მინდა გითხრათ, ახლა ჩვენ შორის აბსოლუტურად ყველანაირი კონფლიქტი ამოიწურა — ბატონი ფრიდონი მიხვდა, რომ მართალი ვიყავი. იგი ჩემ წინააღმდეგ განაწყვეს და ამის დამადასტურებელი საბუთებიც არსებობს.

— ახლა ხომ ვეღარ იტყვით — კულტურა შორს დგას პოლიტიკისგანო...

— აქ საუბარია იმაზე, რომ პოლიტიკურად არ უნდა იყვნენ ხელოვანები მოტივირებულები. გაუგებარია, რატომ არ უნდა ემღერა თათარაშვილს ამ წლების განმავლობაში? რატომ არ უნდა გვქონოდა ურთიერთობა რუსეთში მოღვაწე ქართველ ან რუს ხელოვანებთან? სწორედ ამ კუთხით უნდა დალაგდეს ურთიერთობები. თქვენ არ იცით, როგორ უნდა ყველას აქ ჩამოსვლა და ქართველი ხალხის მოფერება. აგერ, თემურ თათარაშვილს, ათწლიანი პაუზის შემდეგ, ახლა აქვს კონცერტი, 20 იანვარს უწმინდესთან ერთად მივდივარ რუსეთში, სერგეი ბეზრუკოვი აპირებს ჩამოსვლას საკონცერტო პროგრამით, იგეგმება კონსტანტინე მელაძის 60 წლის იუბილე, აგუტინისა და ვარუმის ერთობლივი კონცერტი, გაიხსნება თამარ გვერდწითელის ვარსკვლავი და თამრიკოს სცენაზე პარტნიორობას გაუწევს დიმიტრი დიუჟევი. თქვენ არ იცით, როგორ ემზადება დიუჟევი, ამას წინათ მითხრა, „არგო“ ვისწავლე და ახლა „თბილისოს“ ვსწავლობო... ჩამოსვლას აპირებს ლაიმა ვაიკულე. ძალიან დიდი პროცესია დაწყებული და ეს ძალიან მახარებს...

— კი, მაგრამ, აქამდე ვინ უშლიდა ამ ხალხს საქართველოში ჩამოსვლას?

— არავინ, უბრალოდ, სურვილი არ ჰქონდათ.

— ფიქრობთ, ამ ურთიერთობების დალაგებით არ ისარგებლებენ რუსეთში მყოფი ოლიგარქები, რომლებიც აქ პერსონა ნონ-გრატებად არიან შერაცხულნი — თუნდაც ხუბუტია და ებრალიძე?

— არა — საერთო არაფერი მინდა მქონდეს იმ ადამიანებთან, ვინც სიკეთეს იმიტომ აკეთებს, რომ ამისგან რაღაცას გამოელის.

— თქვენც არაფერს გამოელით ამ პროექტებიდან?

— მე საკმაოდ მაღალი ხელფასი მაქვს, რომელიც ჩემს ოჯახს ჰყოფნის. სხვა მხრივ კი, რაც მეტი საინტერესო პროექტი ჩატარდება, მით მეტი ადამიანი გამოთქვამს სურვილს, აკეთოს კეთილი საქმე.

— როგორც ვიცი, „იურმალას“ კონკურსთან დაკავშირებით, გარკვეული სიახლეა.

— რამდენიმე კვირის წინ ვიყავი კიევში, რევზინსა და ძმებ მელაძეებთან. მე ვიქნები „იურმალას“ წარმომადგენელი საქართველოში, ჩვენების ექსკლუზიური უფლება კი ექნება „იმედს“. ძალიან კარგია, ქართულ ტელესივრცეში ეს პროექტი თუ დაბრუნდება, რადგან საკმაოდ წარმატებულია. უბრალოდ, გული სწყდებოდათ, რომ საქართველო ამ საკითხს პოლიტიკურად მიუდგა.

— თავადაც სულ ამას არ ამტკიცებდით?

— ასე მეგონა. გულდასაწყვეტია, „იურმალას“ ყველა გამარჯვებულის ვარსკვლავი რომაა გახსნილი, დუეტი „ჯორჯიას“ ვარსკვლავს კი ვერსად ნახავთ. ამ ბავშვებს იქ ჩასვლის საშუალება არ მისცეს. ამიტომ ახლა, საქართველოში ჩატარდება შესარჩევი ტურის ფინალი და საქართველოს მოსახლეობა, სმს-ების საშუალებით, კომპეტენტურ ჟიურისთან ერთად აირჩევს იმ მომღერალს, ვინც გაემგზავრება „იურმალაზე“. სიმართლე გითხრათ, სმს-ების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მაგრამ უნდა გავაკონტროლოთ, რომ ერთი ტელეფონიდან მხოლოდ ერთი სმს-ს გაგზავნა შეიძლებოდეს. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ჟიური მიიღებს, რომელიც დაკომპლექტდება „იურმალას“ სტაფით. ჩამოვლენ ძმები მელაძეები, იგორ კრუტოი... ასე, ნელ-ნელა დალაგდება ურთიერთობები.

— და ფიქრობთ, თავის დროზე წამოსროლილი ფრაზები — „მოღალატეები“, „მრცხვენია, რომ ქართველი ვარ“... ორივე მხარეს დაავიწყდება?

— ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო და ბევრი რამ დაუფიქრებლად ითქვა. როგორ შეიძლება მოღალატე უწოდო ადამიანს, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი სამშობლო? ესაა უბედურება, რომ კულტურა იყო პოლიტიზირებული და ამიტომ უნდა შეეშვან პოლიტიკოსები კულტურას. მჯერა, ასეც იქნება...

— როგორ არ მინდა, რამდენიმე თვეში, იმედგაცრუებული დათო ოქიტაშვილის ინტერვიუ ჩავწერო...

— იმაზე უარესი აღარ იქნება, რაც იყო. მჯერა, რომ ყველაფერი დალაგდება, თუ არა და, ერთ-ერთი პირველი ვიქნები, ვინც ხმას აღიმაღლებს. მე რომც გავჩუმდე, ახალგაზრდები, ჩვენი შვილები არ გვაპატიებენ, თუ გავიმეორებთ წინა ხელისუფლების შეცდომებს.

— ახლა, როცა თავის რეაბილიტირებას შეძლებთ, საშუალება მოგეცემათ, საკადრისი პასუხი გასცეთ მათ, ვინც თავის დროზე ზურგი შეგაქციათ. მით უმეტეს, რევანში ამ ბოლო დროს მოდაშია.

— არავისზე ვაპირებ შურისძიებას. მართალია, კულტურის სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ ბევრი მეგობარი დავკარგე და ვიცი, ახლა ისევ მოინდომებენ დამეგობრებას, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას არ ვაპირებ. მეგობრობა ჩემთვის წმინდაა, თუმცა არც შურისძიებას ვაპირებ — თუკი ჩემი, როგორც პროფესიონალის დახმარება დასჭირდებათ, ხელს ნამდვილად არ ვკრავ.

ვერსიანიუსი

რატომ უცვლიან სახელს რეინტეგრაციის სამინისტროს

მალე რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობას სახელი შეეცვლება. ამის შესახებ თავად მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, უცხოურ მედიასთან საუბარში აცხადებს.

„გამომდინარე იქიდან, რომ მე სახელმწიფო მინისტრი ვარ რეინტეგრაციის საკითხებში (ჯერჯერობით), ბევრი აფხაზი და ოსი კოლეგა ასეთ მინისტრთან საუბარს გაურბის. პირადად ჩემთან, მათ ნაკლები პრეტენზია აქვთ, მაგრამ ვიდრე ასეთ სამინისტროს ვხელმძღვანელობ, მათთვის ეს მიუღებელია“, — აცხადებს ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, მას არც თავად მოსწონს ასეთი დასახელება, თუმცა თანამდებობის სახელის შეცვლა გარკვეულ დროს მოითხოვს. **„არ მსურს, მათ იფიქრონ, რომ მათ რაიმე ქსელში ვხვევ, რათა შემდეგ აღმოჩნდნენ ფაქტის წინაშე, რომ მათ რეინტეგრაციის საკითხებში მინისტრთან გამართეს მოლაპარაკებები. ამიტომაც კონტაქტებს, ჯერჯერობით, დაჟინებით არ მოვითხოვ. თუმცა, როდესაც სახელი შეიცვლება და ეს მალე მოხდება, მაშინ მათ აღარ ექნებათ არგუმენტი, რატომ არ სურთ ასეთ მინისტრთან საუბარი“,** — აღნიშნავს ზაქარეიშვილი. თუმცა, მინისტრი მისი უწყების ახალი სახელწოდების გახმაურებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. **„არ გვსურს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგ სპეკულაციები დაიწყოს, ამიტომაც ჯერჯერობით, ახალ სახელწოდებას არ გავახმაურებ. ყოველ შემთხვევაში, მე, ისევე როგორც აფხაზებსა და ოსებს, არ მსურს, რომ სახელწოდებაში სიტყვა ინტეგრაცია ფიგურირებდეს. ინტეგრაცია ეხება მათ, ვინც ნებაყოფლობით იღებს მოქალაქეობას“,** — აცხადებს ზაქარეიშვილი.

„ჩემს პორტფელში ორი თემაა – კონფლიქტი და რეალური სამოქალაქო ინტეგრაცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს ეხება. თავის დროზე, საა-კაშვილმა დაუშვა შეცდომა და შემოიღო ახალი სახელწოდება, სადაც კონფლიქტები და რეალური სამოქალაქო ინტეგრაცია გააერთიანა. თუმცა აფხაზი და ოსი საზოგადოებებისთვის არათუ ტერმინი „რეინტეგრაცია“, არამედ „ინტეგრაციაც“ მიუღებელია.

მე მათ, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები, თუმცა მათ ასე ესმით. ჩვენ განვიხილავთ ისეთ სახელწოდებას, რომელიც თავის თავში ორ თემას – ერთი მხრივ, კონფლიქტებს და მეორე მხრივ – სამოქალაქო ინტეგრაციას გააერთიანებს“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

„ივერონი“

ფიქლები ენერგობაზრებზე კონკურენციას ზრდის

ზურაბ გამრეკელი

მიმდინარე წლის ნოემბერში, საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ (IEA) გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ ფიქლების ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, 2020 წლისთვის გაუსწრებს საუდის არაბეთს, რუსეთს და გახდება მსოფლიოს უდიდესი ნავთობმომპოვებელი. საინტერესოა, რამდენად იმოქმედებს ეს კასპიისპირეთის ნახშირწყალბადების ტრანსპორტირების პროექტების განხორციელებაზე.

ფიქლების ნახშირწყალბადები კრემლის სიძლიერეს შეარყევს

აშშ-ს წარმატების ძირითად მიზეზად დასახელებულია გაზის შემცველი ქანების დაშლის ახალი ტექნოლოგიის, ე.წ. ფრეკინგის გამოყენებით, ფიქლების ქანებიდან მოპოვების სწრაფი ზრდა. შედეგად, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზით, 2035 წლისთვის აშშ სრულად დაიკმაყოფილებს საკუთარ ენერგეტიკულ მოთხოვნებს. უკვე 2020 წლისთვის ამერიკა გეგმავს დღეში 11.1 მლნ ბარელი ნავთობის მოპოვებას, ნაცვლად საუდის არაბეთის პროგნოზირებული 10.6 მლნ ბარელისა. ამჟამად, აშშ მისი ენერგეტიკული საჭიროების 20%-ს იმპორტით იკმაყოფილებს.

სააგენტოს მიაჩნია, რომ აშშ რუსეთს ასევე გაუსწრებს ბუნებრივი აირის მოპოვებაში და 2015 წელს, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, გაზის მსოფლიოს უდიდესი მომპოვებელი გახდება.

ამერიკის წინსვლა კიდევ უფრო შესამჩნევია ენერგეტიკის რუსული სტატისტიკის გაუარესების ფონზე. მოსკოვის ცნობით, ა/წლის ნოემბერში რუსეთიდან გაზის ექსპორტი შემცირდა 13.8%-ით და 14,284 მლრდ კუბმეტრი შეადგინა. სულ წლის დასაწყისიდან გაზის ექსპორტი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირდა 7.3%-ით, - 165,086 მლრდ კუბმეტრამდე. იმავდროულად, რუსეთში ა/წლის იანვარ-ნოემბერში შუა აზიიდან იმპორტირებულ იქნა 29,807 მლრდ კუბმეტრი. ეს 310,6 მლნ კუბმეტრით მეტია, ვიდრე 2011 წლის ანალოგიურ პერიოდში.

რუსეთში გაზის მოპოვება ა/წლის 11 თვეში, გასულ წელთან შედარებით, დაეცა სამი პროცენტით და 589,314 მლრდ კუბმეტრი შეადგინა. გაზის უმსხვილესმა მომპოვებელმა „გაზპრომმა“, ამ პერიოდში გაზის მოპოვება 6.2%-ით, ანუ 430,036 მლრდ კუბმეტრამდე შეამცირა. კერძო კომპანიის „ნოვატეკის“ მოპოვება პირიქით, გაიზარდა 6.2%-ით - 46,263 მლრდ კუბმეტრამდე. რუსეთის ენერგეტიკაში, წლევანდელთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობა იყო გასულ, 2011 წელს. ამ დროს გაზის მოპოვება, 2010 წელთან შედარებით, 3.1%-ით გაიზარდა და 670,544 მლრდ კუბმეტრს მიაღწია. ეს მაშინ, როდესაც მოსკოვში, 2011 წლის დასაწყისში, ოპტიმისტური პროგნოზები კეთდებოდა.

მიმდინარე წლის ბოლოსთვის, რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პროგნოზით, რუსეთში გაზის მოპოვების მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს 4.2%-ით და 697 მლრდ კუბმეტრს უნდა მიაღწიოს. ამავე პროგნოზით, ექსპორტი უნდა გაიზარდოს 11.8%-ით და 211,8 მლრდ კუბმეტრი უნდა გახდეს. მაგრამ, 2012 წლის იანვარ-ნოემბრის განხილული მონაცემების ფონზე ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა შეასრულოს რუსეთის ენერგეტიკამ აღნიშნული ოპტიმისტური პროგნოზები.

გასათვალისწინებელია, რომ აშშ-სგან განსხვავებით, რუსეთი სასიცოცხლოდაა დამოკიდებული ენერგომატარებლების, განსაკუთრებით, ნავთობის ექსპორტზე. დღემდე ნავთობის ექსპორტის მაჩვენებლით ის მსოფლიოში ხან პირველია, ხან — მეორე. მისი ფინანსების ნორმალური მდგომარეობა (მაგალითად, სახელმწიფო ვალის მშპ-სთან თანაფარდობა რუსეთს, სხვა მსხვილ ქვეყნებთან შედარებით, უკეთესი აქვს), დიდწილადაა განპირობებული ნავთობისა და გაზის ექსპორტის მასშტაბებით. ამიტომ, რუსი ექსპერტების ყველაზე ოპტიმისტური გათვლებითაც კი, ნავთობის მსოფლიო ფასების დაცემა, ქვეყანაზე საკმაოდ ნეგატიურ გავლენას იქონიებს. არსებული გათვლებით, თუ ბარელი ნავთობი 40-50 დოლარამდე გაიაფდა, მაშინ პუტინის ხელისუფლებას რუსეთში სერიოზული სოციალური პრობლემები შეექმნება. სავარაუდოდ, სწორედ ნავთობის ფასების სწრაფი შემცირების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება მოსკოვი ევროზონისა და ჩინეთის მოსალოდნელი ეკონომიკური დესტაბილიზაციის პირობებში. თუმცა, საწვავის ფასების შემცირებიდან კრიზისულ მოვლენებამდე, ჯერ-ჯერობით შორსაა.

ამ მხრივ, საინტერესოა, განვიხილოთ აშშ-ს ენერგეტიკული ინფორმაციის სააგენტოს (**EIA**) ორი გრაფიკი. ერთი გვიჩვენებს 1987 წლიდან მოყოლებული, „ბრენტის“ მარკის ნავთობის ყოველთვიური საშუალო ფასის დინამიკას, მეორე – ნავთობის ფასების ცვლილებას 2008 წლის დეკემბრის ნავთობის რეკორდული გაიაფების შემდეგ. ამ გრაფიკებიდან აშკარაა, რომ მართალია, უახლოეს მომავალში შეიძლება მოხდეს ნავთობის ფასების მკვეთრი დაცემა, მაგრამ განვითარებული ქვეყნების ახლანდელი ეკონომიკური სისუსტის მიუხედავად, მათი ეკონომიკა სიმყარეს შეინარჩუნებს.

ის ფაქტი, რომ ნავთობის მსოფლიო ფასი დიდი ხანია ბარელზე 100-დოლარიან ნიშნულს არ ჩამოსცილებია, მეტყველებს რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის, სულ ცოტა, ათწლიან სტაბილურობაზე.

ნავთობის ფასების ამ დონეზე შენარჩუნების პირობებში, კრემლს ეკონომიკური ზრდისთვის საკმარისი რესურსები ექნება. საინტერესოა, რომ ვლადიმერ პუტინის მიერ პირველი საპრეზიდენტო ვადის დაწყების დროს, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, ნავთობის ფასი ბარელზე 30 დოლარი უნდა ყოფილიყო — 2002 წელს ვერავინ იწინასწარმეტყველებდა მისი ფასის 100 დოლარამდე გაზრდას. ამიტომაა, რომ თანამედროვე რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა ამჟამად საკმაოდ სტაბილურია და ექსპერტების აზრით, მისი კონკურენტი შეიძლება მხოლოდ იაფი „ფიქლების ნახშირწყალბადები“ გახდეს.

თუმცა, დრომ უნდა აჩვენოს, თუ როგორ მოახერხებს ამერიკული „ფიქლების რევოლუცია“, ძირფესვიანად შეცვალოს ნავთობის თანამედროვე ბაზრების ფუნქციონირება და შეამციროს ფასები ისე, რომ რუსეთს პრობლემები შეუქმნას. მაგრამ ახლა, 2012 წლის ბოლოს, როცა გლობალური ეკონომიკური რეცესია ნახშირწყალბადების მონოპოლიზებულ ბაზრებზე პრაქტიკულად არ მოქმედებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ უკვე სრულიად ახალ — გაძვირებული ნახშირწყალბადების სამყაროში ვიმყოფებით. ამ ახალ რეალობაში ნედლეულის მსხვილი ექსპორტიორები – პირველ რიგში რუსეთი, ირანი, ვენესუელა, სარგებლობენ რა „დაუმსახურებელი“ უპირატესობებით, შეუძლიათ „თავს უფლება მისცენ“, გადადონ ან საერთოდ შეწყვიტონ ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც ნახშირწყალბადების გაძვირებამდე „აუცილებელ ბოროტებად“ მოიაზრებოდა.

ნახშირწყალბადების მაღალი ფასების შენარჩუნების პირობებში, უნდა მოველოდეთ რუსეთის ნელი ტემპით განვითარებას იმ გზით, რომლითაც ის ბოლო 20 წელია მიდის. თუმცა, სპეციალისტების აზრით, ამ მოძრაობას პრობლემებს ფიქლების ნახშირწყალბადები შეუქმნის.

„ფიქლების რევოლუციის“ დასაწყისი

XXI ს. დასაწყისის ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ენერგეტიკულ კომპანიებს საშუალება მისცა, დაეწყოთ ადრე მიუწვდომელი სახეობის ბუნებრივი აირის მოპოვება. ასეთ გაზს უწოდეს „გაზის არატრადიციული რესურსები“ (**unconventional gas resources**). მათ მიაკუთვნეს გარკვეულ გეოლოგიურ სტრუქტურებში მოქცეული ისეთი გაზის რესურსები, რომლებიც სტანდარტული ბურღვით ადრე არ მოიპოვებოდა. ასეთი გაზის კომერციული რაოდენობის მისაღებად გამოიყენება ჰორიზონტალური ბურღვა და მოპოვების აუზის მაღალი დანნევით წყლითა და ქვიშით შევსება.

მსოფლიო მასშტაბით არატრადიციული გაზის რესურსების შესახებ მონაცემები ჯერ-ჯერობით, ნაკლებადაა შესწავლილი, ვინაიდან ასეთი გაზის კომერციული მოპოვების ტექნოლოგიები მხოლოდ ახლა ინერგება. თუმცა, ამერიკაში გაზის რამდენიმე აუზის შეფასებაზე დაყრდნობით, საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ მოახერხა გაეანგარიშებინა, რომ 2008 წლის ბოლოსთვის აშშ-ს მთლიანი ხელმისაწვდომი გაზის რესურსი აღწევს 59 ტრლნ კუბმეტრამდე (მათ შორის, 17.4 ტრლნ კუბმეტრი ფიქლების გაზია, 4.6 ტრლნ კუბმეტრი – ე.წ. **CBM** ანუ მაღაროს მეთანი). ანალოგიურად, 2009 წლის ივნისში დამოუკიდებელ ექსპერტთა **Potential Gas2** ჯგუფმა, აშშ-ს გაზის მარაგების შეფასება ერთბაშად 35%-ით გაზარდა. 2010 წლისთვის ამერიკაში აირის რეალური წლიური მოპოვების მოცულობა გაიზარდა 7.5%-ით, რაც 10-ჯერ აღემატება ათწლეულის საშუალოწლიური ზრდის ტემპს. ამან ამერიკული ბუნებრივი აირის ბაზარზე გამოიწვია ფასების მკვეთრი შემცირება. თუ ბარელი ნავთობის ფასი 2009 წელს გაიზარდა 30-დან 80 დოლარამდე, ბუნებრივი გაზის ფასმა სექტემბერში სულ 15-20 დოლარი შეადგინა (ნავთობის ეკვივალენტში), ხოლო ნოემბერში არ აღემატებოდა 40 დოლარს, ზამთრის სეზონის დაწყების მიუხედავად. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ არატრადიციული გაზის მოხმარების ზრდა უახლოეს ხუთ წელიწადში ევროპის ენერგო-ბაზარზე გამოიწვევს გაზის ფასის განახევრებას, რაც რუსეთის ენერგეტიკის პირდაპირი საფრთხეა.

ამასთან, **IEA** მიუთითებს არატრადიციული გაზის ექსპლოატაციის გარკვეულ შეზღუდვებზეც, განსაკუთრებით, თავისუფალი ტერიტორიების დეფიციტის მქონე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. კერძოდ, სააგენტოს ანგარიშებში აღნიშნულია გაზისშემცველ ნიადაგზე დაშვების შეზღუდულობა, განსაკუთრებით ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვეა. ასევე აღნიშნულია, რომ ფიქლების გაზის მოპოვების ტექნიკა ზემოქმედებს გარემოზე, იწვევს ეკოლოგიურ ცვლილებებს, ვინაიდან გაზის კომერციული რაოდენობის ამოღება მოითხოვს უამრავი ჭაბურღილის გაბურღვასა და გრუნტში წყლისა და ქვიშის წნევით დაჭირხვლას. საჭიროა, აღინიშნოს ამ პირობებში კვლავწარმოების ციკლის თავისებურებაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფიქლების გაზის მოპოვება განუწყვეტელ კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვს და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კრიზისებისთვის დამახასიათებელი ციკლური რყევების მიმართ (მაგალითად, 2008 წლის კრიზისის ციკლური რყევები) საკმაოდ მოწყვლადია.

არატრადიციული ენერგეტიკის მრავალფეროვნება

არსებობს არატრადიციული გაზის რესურსების ოთხი მთავარი ტიპი: „მყარი“ ქვიშის გაზი, ნახშირის ფენის მეთანი (**CBM**), ფიქლების გაზი (**Shale gas**) და გაზის ჰიდრატები.

ე.წ. მყარი ქვიშების გაზი – ესაა ბუნებრივი გაზის რეზერვუარები, რომლებიც ვერ იხსნება ჩვეულებრივი ვერტიკალური ბურღვით და მისი მოპოვება ითხოვს ჰორიზონტალურ გაბურღვას. ამ გაზის დიდი საბადოებია აშშ-ში და კანადაში.

ნახშირის ფენის მეთანი (**CBM**), როგორც დასახელებიდან ჩანს, არის ქვანახშირის პლასტში მყოფი გაზი.

დასასრული მე-14 გვერდზე

ჟურნალ „ტაიმის“ მიხედვით, „წლის ადამიანი“ კიმ ჩენ ინი გახდა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, კიმ ჩენ ინი, ჟურნალ „ტაიმის“ ტრადიციული ონლაინ ხმის მიცემის შედეგად, „წლის ადამიანი“ გახდა. ჩრდილოეთ კორეის მეთაურმა 5,6 მილიონი ხმა მიიღო, რაც ძალიან კარგი შედეგია იმ პოლიტიკოსისთვის, რომელსაც 2010 წლიდან დღემდე საჯარო გამოსვლა არ ჰქონია, – აღნიშნავს ჟურნალი.

მეორე ადგილზე ამერიკელი სატირიკოსი და ტელეწამყვანი, ჯონ სტიუარტი გავიდა (2,4 მილიონი ხმა), ხოლო რუსულმა ჯგუფმა **Pussy Riot**-მა, 56,9 ათასი ხმით 21-ე ადგილი დაიკავა. მკითხველების არჩევანის კომენტირებისას, ჟურნალის რედაქტორები წერენ, რომ კიმ ჩენ ინს ძალიან კარგი წელი ჰქონდა: მან გაიმყარა საკუთარი ხელისუფლება, გამოჩნდა „ტაიმის“ გარეკანზე და წლის სექს-სიმბოლოც კი გახდა (მართალია, ეს უკანასკნელი ჩინური გაზეთის ხუმრობა იყო, მაგრამ ბევრმა ის სერიოზულად მიიღო).

შარშან, ჟურნალმა „ტაიმი“ „წლის ადამიანად“ თურქეთის პრემიერ-მინისტრი, რეჯეპ ტაიპ ერდოღანი დაასახელა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ვილფრედ მარტენსმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, პატივი სცეს ქვეყანაში არსებულ დემოკრატიულ ინსტიტუტებს

ვილფრედ მარტენსმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, პატივი სცეს ქვეყანაში არსებულ დემოკრატიულ ინსტიტუტებს და შეინარჩუნოს ამ მხრივ მიღწეული პროგრესი, — აღნიშნულის შესახებ ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტმა, სახალხო პარტიის სამიტზე განაცხადა და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით.

„ჩვენ ვიმსჯელეთ საქართველოში შექმნილ საგანგაშო სიტუაციაზე. წინა მთავრობამ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა და ევროინტეგრაციის გზაზე პროგრესსაც მიაღწია. ამას გარდა, შესაძლებელი გახდა საპარლამენტო არჩევნების პროცესის სამართლიანად და სწორად წარმართვა. თუმცა ახალი მთავრობის ქმედება — დაპატიმრებები და მედიასაშუალებებზე ზემოქმედება - ევროპაში შეშფოთებას იწვევს. ახალ მთავრობას მოვუწოდებთ, ხელი აიღოს მსგავს ქმედებებზე და პატივი სცეს დემოკრატიული სახელმწიფოს ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა მედიის თავისუფლება და ადამიანის ძირითადი უფლებები“, — განაცხადა ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის სახალხო პარტიის სამიტს ბრიუსელში მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო. იგი ბრიუსელში ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის ვილფრედ მარტენსის პირადი მოწვევით ჩავიდა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ფიქლები ენერგობაზრებზე კონკურენციას ზრდის

მე-13 გვერდიდან

ის ჩვეულებრივ, ძალზე ღრმად მდებარეობს ან დაბალი ხარისხისაა. ამჟამად **CBM**-ის ძირითადი მწარმოებელია ავსტრალია, სადაც დასავლური და ჩინური კომპანიები მას ათხევადებენ და ჩინეთში ტანკერებით გადააქვთ. რუსეთმა **CBM**-ის კომერციული წარმოება დაიწყო კუზბასის ქვანახშირის აუზში.

გაზის ჰიდრატები არატრადიციული გაზების ნაირსახეობაა, რომელიც კრისტალური სახითაა წარმოდგენილი. ფიქლების გაზისა და **CBM**-ისაგან განსხვავებით, გაზის ჰიდრატები ყინულის მსგავსი მყარი კრისტალური ნაწილაკებია, მიღებული ზღვის ფსკერზე, მაღალი წნევის ქვეშ წყლისა და ბუნებრივი გაზის შერევის შედეგად. ის, როგორც წესი, დაბალტემპერატურულ გარემოში მოიპოვება. გაზის ეს სახეობაც კომერციულად მნიშვნელოვანია, თუმცა ჯერჯერობით, მისი ათვისება კვლევის სტადიაზეა.

ყველაზე გავრცელებული სახეობის, ფიქლის გაზის (**Shale gas**) სახელწოდება წარმოდგება გეოლოგიური ქანიდან — „ფიქალი“, რომელშიც ის აღმოაჩინეს. ეს გაზი არის ფიქლების ფორებში, ქვების ბუნებრივ შრეებში, ან თხელ ფენას ქმნის ქვების ზედაპირზე და მასზე მყოფ ორგანულ მასალებზე.

ფიქლების გაზის რესურსების მოპოვება საჭიროებს ზედაპირის გარკვეული ადგილიდან ჰორიზონტალური ჭაბურღილის გაბურღვას, რაც თან სდევს ქვების ფრაგმენტაცია, ამ პროცესს სჭირდება წყლის დიდი რაოდენობა. აშშ-ში ბოლო დროს გამოყენებული ტექნოლოგიის წყალობით, სწორედ ფიქლების გაზი იქცა არატრადიციული გაზის რესურსების ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ სახეობად.

ევროპაში კარგა ხანია ცნობილია ფიქლების გაზის სამი დიდი აუზი: შვედეთის ლუმ შჰალე, პოლონეთის **Silurian Shales** და ავსტრიის **Mikulov Shale**. გერმანიაში ამერიკულმა კომპანია „ექსონმა“ (**Exxon Mobil**) 2008 წელს დაიწყო ფიქლების ბურღვა იმ ლიცენზიებით, რომლებიც ქვედა საქსონიაში 1.3 მლნ აკრს მოიცავს. იგივე ამერიკული კომპანია, უნგრულ **MOL**-თან ერთად, იწყებს ერთობლივი გეოლოგიური დაზვერვის პროგრამის განხორციელებას უნგრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქალაქ მაკოს მახლობლად. მსოფლიო მასშტაბით აღსანიშნავია ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის საბადოების დაზვერვა ისეთი ცნობილი კომპანიების მიერ, როგორებიცაა „სტატოილი“, „ჩესეპიკი“ და „სასოლი“. ჩინეთში „შელმა“ (**Shell**) და „პეტროჩაინამ“ (**PetroChina**) დაიწყეს ფიქლების გაზის დაზვერვა სიჩუანში. დასავლეთ უკრაინაში ფრანგული „ტოტალი“ აპირებს ფიქლების გაზის სექტორში ინვესტიციების განხორციელებას.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ თუ 2008 წელს ზემოაღნიშნული არატრადიციული წყაროებიდან მოპოვება, აშშ-ს მთელ მოპოვებაში შეადგენდა 50%-ს, 2030 წელს ის უკვე გაიზრდება 60%-მდე. არსებული პროგნოზით, უახლოეს 10-20 წელიწადში ფიქლების გაზის მოპოვება აშშ-ში 3-4-ჯერ გაიზრდება. საინტერესოა, რომ რუსი ექსპერტები მიუთითებენ, თითქოს ევროპაში ფიქლების გაზის მოპოვების თვითღირებულება 7-ჯერ აღემატება ტრადიციული გზით მოპოვებული გაზის თვითღირებულებას, რაც საეჭვოა მარტო იმ მარტივი არგუმენტით, რომ ამჟამად უკრაინაში ყატარის თხევადი გაზის ტანკერებით იმპორტი, რუსული მილსადენების გაზზე, სამჯერ იაფი ჯდება. სავარაუდოდ, აშშ-ს შიდა ბაზარზე ფიქლების გაზის დაბალი ფასები იქნება ამერიკული გაზის უმთავრესი კონკურენტული უპირატესობა.

აშკარაა, რომ ევროპაში ადგილობრივი ფიქლების გაზით უკვე მოხდა დიდი ოდენობით რუსული გაზის ჩანაცვლება. ამერიკული გაზის ექსპორტზე გადაწყვეტილება, აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე (მისი გამოქვეყნება უკვე ორჯერ გადაიდო), უახლოეს მომავალში იქნება მიღებული. ევროპაში უკვე 2018 წლიდან მოელიან ამერიკიდან თხევადი ფიქლების გაზის იმპორტის დიდ პარტიებს. ამავე დროს, ფიქლების გაზის გამოჩენამ ევროპის ენერგო-ბაზარზე გამოააშკარავა „სპოტური“ (მოკლევადიანი) გარიგებების უპირატესობა, „გაზპრომის“ გრძელვადიან კონტრაქტებთან შედარებით. „სპოტურმა“ ბაზარმა ასევე წარმოაჩინა გაზის ფასების ნავთობის ფასებთან მიბმის აბსურდულობა, რასაც ასე იცავს რუსული „გაზპრომი“.

გაზისა და ნავთობის ფასების „ხელოვნური“ ურთიერთკავშირი დაარღვია ასევე, ამერიკული „ფიქლების რევოლუციის“ გაზიდან ნავთობის სექტორში გავრცელებამ. აშშ-ს ფიქლების ნავთობის „ბუმი“ ჩრდილოეთ დაკოტას „ბაკენის“ (**Bakken**) და ტეხასის „იგლ ფორდის“ (**EagleFord**) ფიქლების საბადოებს უკავშირდება. თუმცა, ამერიკული ფიქლების ნავთობის მოპოვება, გაზისაგან განსხვავებით, განპირობებულია მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის მაღალი ფასების შენარჩუნებით.

საქმე ისაა, რომ ფიქლების ნავთობის მოპოვების თვითღირებულება საკმაოდ მაღალია და ბარელზე 60-დან 100 დოლარამდე მერყეობს. შესაბამისად, სანედლეულო ბირჟებზე ნავთობის დაბალი კოტირებების პირობებში, ასეთი ნავთობის მოპოვება არარენტაბელური გახდება და თვითონ ამერიკა, მალე ისევ იმპორტიორად მოგვევლინება.

ნავთობის ფასების წინასწარმეტყველება საკმაოდ რთულია, ვინაიდან „შავი ოქროს“ ფასწარმოქმნა ხშირად ობიექტური კონიუნქტურის მექანიზმის ზემოქმედების არეალიდან „გადის“ და სპეკულაციური ფაქტორების გავლენით ყალიბდება. თუმცა, ყველაზე უკეთ სწორედ აშშ-ს შეუძლია ამ პროცესზე ზემოქმედება. მაგალითად, ტრადიციულად, ნავთობის ფასების მატებას იწვევს ფულადი მასის გადიდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რაოდენობრივი „გათავისუფლების“ გზით. მეორე მხრივ, ამერიკას დიდი გავლენა აქვს ახლო აღმოსავლეთის მონარქიებზე, რომლებსაც ნავთობის მიწოდების ოდნავ შემცირებით, ხელეწიფებათ მაღალი ფასების შენარჩუნება, რაც თვით ამ მონარქებსაც „აწყობთ“. თუმცა, მაღალი ფასების შენარჩუნების სტრატეგია ამერიკისათვის, გარკვეულწილად, საფრთხეშემცველიცაა — ამ ეტაპზე, ფიქლების ტექნოლოგიების აყვავების მიუხედავად, ქვეყანა ყველა შემთხვევაში, ნავთობის უმსხვილეს იმპორტიორად რჩება და მისი ხარჯი აშშ-ს საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის თითქმის ნახევარს შეადგენს.

ამავე დროს, ნავთობზე მაღალი ფასები აშშ-ს საშუალებას აძლევს შეაკავოს მისი მთავარი გეოპოლიტიკური კონკურენტების – ევროკავშირისა და ჩინეთის განვითარება, რომლებსაც ნავთობის იმპორტისათვის ანგარიშსწორება რეალური საქონლით უწევთ. თვითონ აშშ, ჯერჯერობით, ახერხებს დოლარის მსოფლიო სარეზერვო ვალუტის რანგში შენარჩუნებას და ნავთობის იმპორტის ანგარიშსწორებას სავალო ვალდებულებებით (თამასუქებით) ახდენს. ამით ხდება ნავთობის იმპორტზე დანახარჯების ზრდის ნიველირება.

ასევე ანგარიშგასაწევია, რომ ჩინეთის ნავთობის იმპორტზე დამოკიდებულება ყოველწლიურად იზრდება, ხოლო ამერიკის – მცირდება. ორიოდე წელია, რაც ჩინეთმა უკვე გადალახა ნავთობის იმპორტის 50%-იანი ფსიქოლოგიური ნიშნული, ამერიკაში კი, 2005 წელს 60%-იანი სარეკორდო ნავთობდამოკიდებულების პიკის გავლის შემდეგ, დაიწყო ამ მაჩვენებლის შემცირება — მიმდინარე წელს მან 42% უნდა შეადგინოს და ფიქლების ექსპლოატაციის ზრდის კვალობაზე, ის სულ უფრო შემცირდება.

თუმცა, „ძვირი ნავთობმოპოვების“ პროცესების ზემოაღნიშნული სცენარით განვითარება მხოლოდ ორი წინაპირობის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი: პირველი, ნავთობის ფიქლებიდან მოპოვების მაღალი თვითღირებულებაა; მეორე — ფიქლების ნავთობის მცირე პარტიებად მოპოვებაა. მაგრამ, ეს წინაპირობები ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე ადვილად გადასალახავია. საკმარისია აღინიშნოს, რომ სპეციალისტების აზრით, მათი დაძლევა აშშ-ს საშუალებას მისცემს 1.5-ჯერ შეამციროს ნავთობის იმპორტი – დღეში 9-დან 6 მლნ ბარელამდე. აქვე გასათვალისწინებელია ნავთობის ბაზრის გაზის ბაზარზე მეტად მოქნილობა და ამერიკიდან ევროპაში, თხევად გაზთან შედარებით, ნავთობის უფრო ადვილად ტრანსპორტაბელურობა. ეს ყველაფერი იმ დიდ პოტენციალზე მიუთითებს, რაც ფიქლების ნავთობს, ფიქლების გაზთან ერთად აქვს.

ნახშირწყალბადების გასაღების სირთულეების გამო, რუსული მონოპოლისტი იძულებული გახდა, 2016 წლამდე გადაედო შტოკმანის გაზის საბადოს ათვისების დაწყება. ცნობილია, რომ დასავლურ „სტატოილთან“ და „ტოტალთან“ ერთად „გაზპრომი“ გეგმავდა შტოკმანზე მოპოვებული გათხევადებული გაზის (**LNG**) 90% გაეგზავნა ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე, მაგრამ აშშ-ს ბაზარი უკვე არატრადიციული გაზის და ნავთობის ადგილობრივმა მწარმოებლებმა დაიკავეს. 2010 წელს შტოკმანის გადადება არ აღმოჩნდა ერთადერთი პრობლემა რუსული მონოპოლიისათვის.

ახალი ბარიერები „გაზპრომის“ წინააღმდეგ

ცნობილია, რომ ფიქლების ტექნოლოგიების, მათ შორის ევროპაში, განვითარების მიუხედავად, დღემდე რუსულ „გაზპრომს“ ევროპის გაზის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა უკავია. ყიდის რა გაზს გრძელვადიანი „აიღე ან გადაიხადე“ კოტრაქტებით (**take-or-pay contracts**), ნავთობის ფასზე მიბმულ ფასად და გადახდის ექვსთვიანი დროის ინტერვალით, „გაზპრომი“ მაქსიმალურად მოგებული რჩება, რადგან ნავთობის ფასს კვლავ მყარი ზრდის ტენდენცია დაუბრუნდა.

2008 წლიდან რეცესიის ფაზის დადგომასთან ერთად, ევროპელ მომხმარებლებს სულ უფრო უჭირდათ „გაზპრომის“ ხისტ საფასო პოლიტიკასთან შეგუება და დაიწყეს მომარაგების ალტერნატიული წყაროების ძიება. 2009 წლის I ნახევრისათვის „გაზპრომის“ უდიდესი ევროპელი მყიდველები, კონტრაქტებით დასაშვებ მინიმუმამდე ამცირებდნენ რუსული გაზის შესყიდვებს. გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის კომპანიებმა დაიწყეს „გაზპრომთან“ გაფორმებული ზოგიერთი გრძელვადიანი კონტრაქტის რევიზია. საქმე ისაა, რომ კრიზისის პირობებში კომპანიებს ხშირად არ სჭირდებოდათ დაკონტრაქტებული გაზის 30%, მაგრამ იძულებული იყვნენ მაინც გადაეხადათ მისი ფასი.

ამ პირობებში ძალზე მნიშვნელოვანი იყო პოლონეთში ფიქლების გაზის მარაგების აღმოჩენა. ამ ქვეყანაში 2005 წლიდან გაიცა 30 ლიცენზია ამ გაზის საძიებლად. მიმდინარე წლის მაისისთვის მოპოვების დასაწყებად ლიცენზიები მიიღეს ისეთმა გიგანტებმაც, როგორებიცაა ამერიკული „ექსომობილი“, „კონოკოფილიპსი“, „მარათონი“, ბრიტანული „სანლეონ ენერჯი“ და კანადური „ტალისმან ენერჯი“. აღმოჩნდა, რომ პოლონეთს გააჩნია 1.36 ტრლნ კუბმეტრი, ანუ იმაზე 100-ჯერ მეტი ფიქლების გაზი, ვიდრე ის წლიურად მოიხმარს. ეს ევროპისათვის რუსული გაზისგან დამოუკიდებლობის მოპოვებაში დიდი შეღავათია. პოლონეთის ფიქლების საბადოს მოცულობას ადარებენ რუსული „სამხრეთ-ტამბეის“ გაზის უდიდესი საბადოს სიმძლავრეს, რაც ევროკავშირის საერთო მარაგებს 47%-ით ზრდის. პოლონეთმა ევროკავშირს მოუწოდა, რომ ევროპის ენერგეტიკულ პოლიტიკაში მეტი ყურადღება მიაქციოს ფიქლების გაზს.

ამავე დროს, იმის გამო, რომ ფიქლების გაზის მოპოვება რთულია, საჭირო იქნება დაახლოებით 2-3 წელი მარტო იმისთვის, რომ მოხდეს პოლონური ფიქლების გაზის მარაგების შეფასება და ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება. თუმცა, პოლონეთის საბადოების სტრატეგიული მნიშვნელობის მიუხედავად, რუსული გაზის მონოპოლიური მდგომარეობის შეზღუდვაში გადამწყვეტი მაინც აშშ-ს ფიქლების გაზია.

ამერიკული გაზის კომერციულმა მოპოვებამ, შეიძლება ითქვას, შეცვალა „თამაშის წესები“ მსოფლიო ენერგობაზარზე. ევროპისაგან განსხვავებით, აშშ-ში ფიქლების გაზის მცირე მოცულობები, აპალაჩებისა და მიჩიგანის აუზებში უკვე ათწლეულების მანძილზე მოიპოვებოდა. „თამაშის წესები„ ახლო წარსულში შეიცვალა, როცა აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია შეიქმნას ე.წ. წყალგამტარი რეზერვუარი ქვებს შორის და მათგან გაზი მოიპოვონ ჰორიზონტალური ჭაბურღილების ინტენსიური გამოყენებით.

ასეთი ტექნოლოგიური გარღვევის წყალობით, დაიწყო ღრმა ფიქლების გაზის ძალზე ეფექტიანად ამოღება. ამ ტექნოლოგიით გადაიქცა, მაგალითად, „ბარნეტის ფიქალი“ ტეხასის ბუნებრივი გაზის ყველაზე დიდ საბადოდ. ანალოგიური მეთოდებით გაიზარდა მოპოვების ეფექტიანობა „მარცელოსის“, „ჰეინესვილის“, „ჰორნ რივერის“ და ფიქლების გაზის მრავალ სხვა საბადოზე. ამით, ჩრდილოეთ ამერიკის ფიქლების გაზის საბადოებზე, ამჟამად, შესაძლებელია დღეში 250 მლნ კუბმეტრი და მომავალში, კიდევ უფრო მეტი გაზის მოპოვება.

გარდა ფიქლების გაზისა, ძალზე სწრაფად იზრდება სხვა სახის არატრადიციული აირების მოპოვებაც. **IEA**-ს წლიურ მოხსენებაში **World Energy Outlook 2009** (**WEO**) აღნიშნულია, რომ „...სახელი არატრადიციული უკვე არასწორად გამოიყენება, უკიდურეს შემთხვევაში გაზის ისეთი სახეობების მიმართ, როგორებიცაა „მყარი ქვიშების“ გაზი (**tight gas sands**), ნახშირის ფენის მეთანი (**CBM**), ან ფიქლების გაზი (**shale gas**). ადრე იგნორირებული გაზის ეს სახეობები ახლა უფრო ზუსტი ტერმინით უნდა მოვიხსენიოთ“. **WEO**-ში ხაზგასმულია, რომ ჩრდილოეთ ამერიკა ამჟამად არატრადიციული გაზის ყველა სახეობის მსოფლიოს წამყვანი მწარმოებელი რეგიონია და რომ ეს გაზები შეადგენენ აშშ-ს ბუნებრივი აირის წარმოების ნახევარზე მეტს, ხოლო კანადაში ასეთი გაზი მთელი ბუნებრივი აირის წარმოების მესამედია.

ამასთან, ეს გაზები ბუნებრივი აირისა და მისი რეზერვების ზრდის უმთავრესი წყაროებია. აღსანიშნავია მონაცემები, რომელთა თანახმადაც არატრადიციული გაზის საშუალო ღირებულება აშშ-ში ბოლო წლებში ნაკლები იყო ჩვეულებრივი ბუნებრივი გაზის ღირებულებასთან შედარებით. ამასთან, **EIA**-ს შეფასებით, ბუნებრივი გაზის მოხმარება 2007-დან 2030 წლამდე გაიზრდება 42%-ით. ეს ნიშნავს გაზის ხვედრითი წილის ზრდას მსოფლიო ენერგეტიკულ ბალანსში, რაც თავის მხრივ, ნავთობის მოხმარებას და მავნე ნახშირორჟანგის გამოფრქვევას შეამცირებს. ამან ფიქლების გაზი, გაზის ბიზნესში მოქმედ მოთამაშეებს შორის, პრიორიტეტად აქცია.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი დეტალი. რუს ექსპერტებს შორის ფიქლების გაზის ირგვლივ შექმნილია საკმაოდ ნეგატიური ატმოსფერო, რაც სავარაუდოდ, ბოლო წლებში არატრადიციული გაზის რუსული მილსადენების გაზის მიმართ უძლიერესი კონკურენციის შექმნის ფაქტიდან გამომდინარეობს. თუმცა, ამის საპასუხოდ ბევრი ექსპერტი სამართლიანად მიუთითებს, რომ არსებობს სერიოზული ალბათობა იმისა, რომ ფიქლების გაზი გამოიწვევს ცვლილებებს გლობალური გაზის ბაზრის სტრუქტურაში. ამას ხვდება რუსული ენერგო-გიგანტის, „გაზპრომის“ მენეჯმენტიც.

„გაზპრომის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსი მილერმა საკმაოდ მკვეთრად უპასუხა კითხვებს ევროპასა და ამერიკაში ფიქლების გაზის პერსპექტივების შესახებ. მისი აზრით, ფიქლების გაზი — ესაა კარგად დაგეგმილი პიარ-კამპანია. ამ საწვავის მოსაპოვებლად, მილერის თქმით, საჭიროა უამრავი ჭაბურღილის გამუდმებით ბურღვა, რაც საბოლოოდ „მთვარის პეიზაჟს“ წააგავს. თუმცა, ალექსი მილერი მაინც არ გამორიცხავს, რომ არატრადიციული გაზები შესაძლოა რენტაბელურიც აღმოჩნდეს, „...ოღონდ მხოლოდ მისთვის, ვინც პირდაპირ მასზე ზის“. არ გამორიცხავენ, რომ რუსებმა მოინდომონ აშშ-ს ფიქლების გაზის მწარმოებელი რომელიმე კომპანიის შეძენა, იმ მიზნით, რომ შეისწავლოს ტექნოლოგიები. კუზბასში ნახშირის მეთანის მოპოვების შესახებ მილერმა მიუთითა, რომ ამით „გაზპრომმა“ თავისი ტექნოლოგიები და გამოცდილება შექმნა, რაც ფიქლების გაზის მოპოვებაში გამოადგება. ამიტომ ახლა უკვე „გაზპრომს“ შეუძლია მივიდეს იქ, სადაც ფიქლების გაზია. ალექსი მილერს მიაჩნია, რომ 2020 წლამდე მეთანის მოპოვება კუზბასში წლიურად 4 მლრდ კუბმეტრამდე უნდა ავიდეს, ამით ქვანახშირის პლასტები თავისუფლდება გაზისაგან, რაც მათ უფრო უსაფრთხოს ხდის. თუმცა, აქვე ალექსეი მილერმა მიუთითა, რომ მეთანის მოპოვება ძალზე ძვირი ჯდება.

ე.წ. არატრადიციული გაზის მოპოვების დაწყების მიზეზად მილერს მიაჩნია აშშ-ში ტრადიციული გაზის მოპოვების მკვეთრი შემცირება და ალიასკაზე გაზის მოპოვების დაწყება. მისი აზრით, ალიასკას გაზი აშშ-ს სულ 11 წელი ეყოფა, ამიტომ აშშ იძულებულია, გადავიდეს მაღალი თვითღირებულების მქონე ფიქლების გაზის მოპოვებაზე. მილერს მიაჩნია, რომ მისი კომერციული მოპოვება უამრავ ჭაბურღილსა და ხარჯებს მოითხოვს, თანაც გაზის დეპოზიტები სულ ერთიორი წლის მანძილზეა ვარგისი. საყურადღებოა ასევე ისიც, რომ ზოგიერთი ექსპერტი ხედავს არსებით განსხვავებას ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ფიქლების გეოლოგიურ სტრუქტურებს შორის. თუმცა, თუ ბუნებრივი გაზის საბაზრო ფასები მომავალში მკვეთრად გაიზრდება (რისი ალბათობაც, ექსპერტების აზრით, მაღალია), ასევე ქანების დაშლის ტექნოლოგიები დაიხვეწება ისე, რომ მოპოვების თვითღირებულება შემცირდება, 8-10 წელიწადში შესაძლოა დადგეს დრო, როცა ეს სიტუაცია შეიცვლება.

ზემოაღნიშნულის გამო, ამერიკაში ფიქლების წარმატებით გამოწვეული ეიფორიის მიუხედავად, ევროპაში ფიქლების გაზის კომერციული მოპოვება **IEA**-ს 2020 წლამდე არაეფექტიანად მიაჩნია. შესაბამისად, დასავლეთის მხრივ რუსული პროექტებისადმი კონკურენცია არა ფიქლების ტექნოლოგიების განვითარებით, არამედ კვლავ საქართველოზე გამავალი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ მხარდაჭერით გაგრძელდება.

აშშ-ში შტრიხ-კოდის გამომგონებელი გარდაიცვალა

აშშ-ში ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ეჯუოტერში შტრიხ-კოდის ერთ-ერთი გამომგონებელი ნორმან ვუდლანდი გარდაიცვალა.

მეცნიერის ქალიშვილის სუზან ვუდლანდის განცხადებით, ნორმან ვუდლანდი 92 წლის ასაკში გადაიცვალა, მას ალცჰეიმერის დაავადება სჭირდა. მეცნიერმა თავის კოლეგასთან, ბერნარდ სილვერთან ერთად, შტრიხ-კოდი 1952 წელს დააპატენტა. სილვერი 49 წლის წინ გარდაიცვალა. ყოველდღიურად, მსოფლიოში, შტრიხ-კოდის საშუალებით, 5 მილიარდი სხვადასხვა პროდუქტის სკანირება ხდება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„რა უნდა ნაკრებში ამას? მსოფლიო ჩემპიონატი არ მოგვაგებინოს...“

როგორ შეხვდა ქართული საზოგადოება საქართველოს ნაკრებში ესპანელი ჩისკოს დამატების იდეას და სჭირდება თუ არა „ჯვაროსნებს“ უცხოელი წევრები

რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ?

გიორგი მაისურაძე

„ემოციური ქართველების არაკორექტული მსჯელობა“, – ასე შეიძლება ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე ჩვენი გულშემატკივრის დავის მონათვლა.

ზოგიერთი „გულშემატკივარი“ ისეთ არანორმალურ აზრებს გამოთქვამს, თითქოს, ფეხბურთი საერთოდ არ უნახავს. განსაკუთრებით ეხება ეს ნაკრებში არაქართველის თამაშს – ხშირად, შეხედულება ჯდება სუფრულ ფილოსოფიაში, „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“

ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც თბილისის „დინამოს“ მეპატრონემ და პრეზიდენტმა რომან ფიფიამ საქართველოს ნაკრებში ესპანელი ლეგიონერის, ჩისკოს დამატების თემა წამოსწია.

„საქართველოს ნაკრებს ასეთი მაღალი დონის მოთამაშე არ აწყენდა. მეეჭვება, თემურ ქეცბაიამ არ იცოდეს, ჩისკო რა დონის მოთამაშეა, მშვენიერ სეზონს რომ ატარებს და ასეთი დონის მოთამაშე ნაკრებში არ სურდეს“, — განაცხადა ფიფიამ.

მანამდე, თავად ესპანელმა ლეგიონერმა გამოთქვა „ჯვაროსნების“ კვართის მორგების სურვილი, მაგრამ ყურიდან ყურში გაუტარეს. ლოგიკა ასეთია, ჩისკო მაინც წავა და მის ნაცვლად, ქართველების გაზრდა აჯობებსო.

ესპანელი შემტევი ნახევარმცველი საქართველოს ნაკრებისთვის უდავოდ, სასურველი მოთამაშე იქნება. მას თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია, ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს — წლების განმავლობაში, პრიმერადივიზიონის რამდენიმე კლუბში თამაშობდა, ხოლო რაფა ბენიტესის „ვალენსიაში“ უეფა-ს თასის მფლობელი გახდა. მართალია ფიფია, როცა ამბობს, რომ ჩისკოს დონის ფეხბურთელს ბევრი ევროპული ნაკრები ისურვებდა.

გულშემატკივართა აზრი უცხოელების ნატურალიზაციაზე გაიყო. ნაწილი იდეას ემხრობა, ნაწილიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება. თუ კარგად დააკვირდებით, ამ მსჯელობაში ქართული საზოგადოების პრობლემების ფართო სპექტრს ამოიკითხავთ.

ამაზე გულშემატკივართა გამოხმაურებები მეტყველებს:

— მიეცით შანსი ჩისკოს...

— ნამდვილად იმსახურებს საქართველოს ნაკრებში თამაშს, თანაც, მას ამის დიდი სურვილი აქვს...

— ნამდვილად წაადგებოდა საქართველოს ნაკრებს...

— მერე რა, რომ საქართველოს ნაკრებში ითამაშებს? პრობლემას ვერ ვხედავ. პირიქით, ჩვენთვის სასარგებლო იქნება უცხოელთა დამატება ფუტზალში, კალათბურთში, პლაჟის ხელბურთში, ტანვარჯიშში...

— ჩისკო ნახევარ ნაკრებს სჯობს, არ თქვათ, რომ ასე არ არის.

— ჩისკოს დონის ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში არ არის. მისი დონის ლეგიონერი, იქნებ, აკინო იყო რუსთავში, მაგრამ ესეც საეჭვოა.

— ჩისკოს დონის ფორვარდი საქართველოს არ ჰყავს! ამიტომ ის ნაკრებში თამაშს იმსახურებს!

საქართველოში ადამიანის მიმართ უნდობლობა, ეჭვიანობა და ხალხში უამრავი დარდი რომ არის, ამ საკითხის შესახებ გამართულ ფორუმებზეც იგრძნობა. აღნიშნული თემის წამოწევა ამიტომ გადავწყვიტეთ. ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, ეს სხვა ერებისადმი შეუწყნარებლობასა და ერში არსებულ პრობლემებზე მეტყველებს, რაც საქართველოში სწორედ მსგავსი თემატიკის წამოწევით გააღვივეს, ბოთლიდან ჯინი გამოაძვრინეს და ახლა სიხარულით ხელებს იფშვნეტენ.

— მესი მოვიწვიოთ კიდევ ნაკრებში, არ გინდათ? ნაკრები იმისაა, იქ ქართველები უნდა თამაშობდნენ.

ჩისკო ქართველ გულშემატკივრებში სიმპათიით სარგებლობს, რაც უნდა იყოს, ესპანელია და მის მიმართ აგრესია არ იგრძნობა. გაცილებით უარესი რამ ხდებოდა მაშინ, როდესაც საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი „გაგრას“ საკუთრებაში მყოფმა ნიგერიელმა თავდამსხმელმა, აბაიომი სეუნი ოვონიკოკომ გამოხატა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად, ეს 20 წლის თავდამსხმელი უკრაინის საფეხბურთო პრემიერლიგის კლუბში, ლუცკის „ვოლინში“ თამაშობს.

ჯერ მისი ნატურალიზაციის მომხრეთა არგუმენტებს მოვუსმინოთ:

— ძალიან მაგარი ფორვარდია. ამ ასაკის ნაკრებში ასეთი დონის მოთამაშე არ მინახავს.

— კარგია, რომ ამ ბიჭის ნატურალიზების პროცესი დაიწყო, დიდი წარმატების მოტანა შეუძლია.

— რქაწითელით სავსე ყანწი უნდა აიღოს, დაილოცოს, ბოლომდე შესვას და თუ დალია, მაშინ ვემხრობი!!!!

თუმცა, აგრესიულად განწყობილებიც მრავლად არიან:

— ეგეც არ იყოს რონალდო! გოგუას არ იძახებენ და მაგას რა უნდა?

— რა უნდა ნაკრებში ამას? მსოფლიო ჩემპიონატი არ მოგვაგებინოს.

— იმდენი ნიჭიერი გვყავს, რომ 10 თავით სჯობნიან. არ შეიძლება, საქართველოს ნაკრებში ოვონიკოკომ ქართველი თავდამსხმელი ჩაანაცვლოს. ვერც მჭედლიძეს სჯობს, ვერც დვალიშვილ-სირაძეს.

— არა მგონია, ვაჟკაცური საქციელი იყოს შენი ქვეყნის მიტოვება და სხვის ნაკრებში თამაში. ასეთი ჩვენც არ გამოგვადგება. ჩვენზე უკეთესად აქვს საქმე ნიგერიას? აღარც ამოკაჩი ჰყავთ, აღარც კანუ, აღარც ჯეი ჯეი ოკოჩა.

— ვინც მოინდომებს, ყველა არაქართველი მოვსინჯოთ ნაკრებში?

სხვათა შორის, სწორედ ამ საკითხზე მსჯელობისას წამოიჭრა თემა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ადარდებს:

— აფრიკული ქვეყნებიდან წამოსულებს, თურქებს, პაკისტანელებს და ათასი სხვა ერის ხალხს მოქალაქეობა ასე იოლად არ უნდა მიეცეს.

— ოვონიკოკოს მოქალაქეობა მიანიჭეს, ივანიშვილს კი წაართვეს. მაგარია, არა? მეცინება.

— კარგით, რა! მალე საქართველოში ქართველები აღარ იცხოვრებენ.

— ამ შემთხვევაში, ლაპარაკია არა ღირსეულსა და უღირსოზე, უბრალოდ, ასე ხდება ჩვენი ცნობიერების შეგუება ისეთ მოვლენასთან, როგორიცაა ქართველ ერში უცხო სისხლის შერევა და დამკვიდრება.

— საქართველოში ოჯახს რომ ჩამოიყვანს, ეგ კანონიერი იქნება? კარგით რა, ჩვენივე ბრალია, ამდენი უცხოელი რომ შემოგვესია.

— სხვები თუ სამუშაო ადგილებს შექმნიან, ქართულს ისწავლიან და საქართველოს სამსახურში ჩადგებიან, ჰოლანდიასთან, სამხრეთ აფრიკასთან ბიზნესს და პოლიტიკურ კავშირებს გააღრმავებს მხოლოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას.

ჩისკო ქართველ გულშემატკივრებში სიმპათიით სარგებლობს, რაც უნდა იყოს, ესპანელია და მის მიმართ აგრესია არ იგრძნობა. გაცილებით უარესი რამ ხდებოდა მაშინ, როდესაც საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი „გაგრას“ საკუთრებაში მყოფმა ნიგერიელმა თავდამსხმელმა, აბაიომი სეუნი ოვონიკოკომ გამოხატა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად, ეს 20 წლის თავდამსხმელი უკრაინის საფეხბურთო პრემიერლიგის კლუბში, ლუცკის „ვოლინში“ თამაშობს.

ჯერ მისი ნატურალიზაციის მომხრეთა არგუმენტებს მოვუსმინოთ:

— ძალიან მაგარი ფორვარდია. ამ ასაკის ნაკრებში ასეთი დონის მოთამაშე არ მინახავს.

— კარგია, რომ ამ ბიჭის ნატურალიზების პროცესი დაიწყო, დიდი წარმატების მოტანა შეუძლია.

— რქაწითელით სავსე ყანწი უნდა აიღოს, დაილოცოს, ბოლომდე შესვას და თუ დალია, მაშინ ვემხრობი!!!!

თუმცა, აგრესიულად განწყობილებიც მრავლად არიან:

— ეგეც არ იყოს რონალდო! გოგუას არ იძახებენ და მაგას რა უნდა?

— რა უნდა ნაკრებში ამას? მსოფლიო ჩემპიონატი არ მოგვაგებინოს.

— იმდენი ნიჭიერი გვყავს, რომ 10 თავით სჯობნიან. არ შეიძლება, საქართველოს ნაკრებში ოვონიკოკომ ქართველი თავდამსხმელი ჩაანაცვლოს. ვერც მჭედლიძეს სჯობს, ვერც დვალიშვილ-სირაძეს.

— არა მგონია, ვაჟკაცური საქციელი იყოს შენი ქვეყნის მიტოვება და სხვის ნაკრებში თამაში. ასეთი ჩვენც არ გამოგვადგება. ჩვენზე უკეთესად აქვს საქმე ნიგერიას? აღარც ამოკაჩი ჰყავთ, აღარც კანუ, აღარც ჯეი ჯეი ოკოჩა.

— ვინც მოინდომებს, ყველა არაქართველი მოვსინჯოთ ნაკრებში?

სხვათა შორის, სწორედ ამ საკითხზე მსჯელობისას წამოიჭრა თემა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ადარდებს:

— აფრიკული ქვეყნებიდან წამოსულებს, თურქებს, პაკისტანელებს და ათასი სხვა ერის ხალხს მოქალაქეობა ასე იოლად არ უნდა მიეცეს.

— ოვონიკოკოს მოქალაქეობა მიანიჭეს, ივანიშვილს კი წაართვეს. მაგარია, არა? მეცინება.

— კარგით, რა! მალე საქართველოში ქართველები აღარ იცხოვრებენ.

— ამ შემთხვევაში, ლაპარაკია არა ღირსეულსა და უღირსოზე, უბრალოდ, ასე ხდება ჩვენი ცნობიერების შეგუება ისეთ მოვლენასთან, როგორიცაა ქართველ ერში უცხო სისხლის შერევა და დამკვიდრება.

— საქართველოში ოჯახს რომ ჩამოიყვანს, ეგ კანონიერი იქნება? კარგით რა, ჩვენივე ბრალია, ამდენი უცხოელი რომ შემოგვესია.

— სხვები თუ სამუშაო ადგილებს შექმნიან, ქართულს ისწავლიან და საქართველოს სამსახურში ჩადგებიან, ჰოლანდიასთან, სამხრეთ აფრიკასთან ბიზნესს და პოლიტიკურ კავშირებს გააღრმავებს მხოლოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას.

— ოვონიკოკო-ნაკრებში, სამორი-ტელესახეებში, ვინმე თხინფხუ — სხვა სფეროში და ჰაიდა, გაგვწეწეს. მომრავლდნენ. გინდა შოვინიზმად ჩამითვალეთ, გინდა რასისტობად, გინდა ჩამორჩენილობად, მირჩევნია, ქართველებით ჩავრჩეთ ჯგუფში, ვიდრე ოვონიკოკოებით გავიდეთ. გლობალიზაციაა, მაგრამ უნდა ვეცადოთ, კარგი მივიღოთ და ცუდი განვაგდოთ.

— ბიძინა უფრო იმსახურებდა მოქალაქეობას თუ ოვონიკოკო?

— არ მივესალმები საქართველოს ნაკრებში არაქართველის თამაშს. ბევრს აქვს არაქართული გვარი, მაგრამ აქ არის დაბადებული და გაზრდილი და ამაზე არაა პრობლემა. მაგრამ რა ოვონიკოკო, თუ გინდა გარინჩა იყოს, საქართველო ქართველებისაა, ქართველების!

თემამ ერთ-ერთი გულშემატკივარი ხუმრობის ხასიათზე დააყენა:

— ქართველები ტოლერანტულები უნდა ვიყოთ და „პოლიტკორექტულად“ დავაკომპლექტოთ ნაკრებიც, რასიზმში, ეთნიკური ნიშნით და რელიგიურ ნიადაგზე შეუწყნარებლობაში რომ არ დაგვადანაშაულონ „ვიღაცებმა“? მაშ, შევუდგეთ საქმეს. საქართველოში, აფრიკელთა გარდა, ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები, ოსები, აფხაზები, იეზიდები, ბერძნები, რუსები, უკვე ჩინელებიც და ა.შ. სარწმუნოებრივი კუთხითაც, მრავალი აღმსარებლობის მიმდევარია: იაღოველები, 50-იანელები, კათოლიკები, მუსულმანები. ყველა რომ დავაკმაყოფილოთ და არავინ მოვიმდუროთ, აჯობებს, ეს ორივე გარემოება გავითვალისწინოთ და ნაკრებიც ასე დავაკომპლექტოთ.

წინადადებით შემოვდივარ, მეკარე, დაცვის ხაზი და ჩამშლელები ეთნიკური ნიშნით დავაკომპლექტოთ, ხოლო შემტევი, შემოქმედებითი კი რელიგიური ნიშნით. ყველა რომ კმაყოფილი იყოს, მაგალითად ასე: კარში სომეხი (ვთქვათ), დაცვაში — აზერბაიჯანელი, ოსი, აფხაზი, ჩინელი, საყრდენ ნახევარმცველებად რუსი და სომეხი დავაყენოთ. დანარჩენი შენ

გააგრძელე. საქმაგოდ სტადიონზე ქართველები მივალთ და ეგაა რა, ზეობა და გამარჯვება იქნება ერთსულოვნების, გაგების, ტოლერანტობის და შემწყნარებლობის და ჯიგრობის და კაცობისაც!

სამწუხაროა, რომ ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებში იზრდება, გაზრდილების დრო რომ დგება, მაშინ იწყება ლაპარაკი გაახალგაზრდავებაზე, მომავლის გუნდზე, მაგრამ ამ ნაკრებს აწმყო არასოდეს ჰქონია და არც ექნება, სანამ გუნდში კონკრეტული დროისთვის საუკეთესოებს არ გამოვიყენებთ.

სანამ ჩისკომდე მივიდოდეთ, თემურ ქეცბაია რომ გაიძახის, თავდამსხმელი არ მყავსო, საინტერესოა, რატომ არ ათამაშებს ბოლო წლებში ნაკრების ყველაზე შედეგიან თავდამსხმელს, დავით სირაძეს, „დინამოს“ წარმატებულ ფორვარდს ჯაბა დვალს, ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირს მამუკა ღონღაძეს, ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო შემტევს მათე ვაწაძეს? ან რას ერჩოდა ლევან კობიაშვილს, როდესაც მასზე უკეთესი ფეხბურთელი არ გვეგულება?

ცხადია, ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის ვალია, მაგრამ აქ საქმე ეხება ფეხბურთს და არა დემოგრაფიას. ჩვენნაირი პატარა ქვეყნები უცხოეთში ეძებენ მაღალი კლასის მოთამაშეს, უფერული და სუსტი ნაკრებები ამდაგვარად რომ გააძლიერონ. და არა მხოლოდ პატარა ქვეყნებში – უცხოელთა ნატურალიზაციას საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, პოლონეთის, რუსეთის, უკრაინის ნაკრებები არ თაკილობენ, საქართველოში კი სადღეგრძელოები ისმის, როგორ ეკადრება ეს „უმდიდრესი საფეხბურთო ტრადიციების“ საქართველოს?

ერთ-ერთმა გულშემატკივარმა სავსებით სწორედ აღნიშნა:

— ფრანგები იყვნენ ანელკა, ტურამი, ზიდანი, ვიეირა, მალუდა, აბიდალი და კიდევ სხვა მრავალი ფეხბურთელი, საფრანგეთის ნაკრებში რომ თამაშობდნენ ან ახლაც თამაშობენ? ამით საფრანგეთმა რა წააგო?!

დაბოლოს, ვის აქვს საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება, ამაზე ჩვენი კონსტიტუციის 260-ე მუხლში გარკვევით წერია:

საქართველოს მოქალაქედ მიიღება სრულწლოვანი პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში;

ბ) დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა;

გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;

დ) საქართველოში აქვს სამუშაო ადგილი ან უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ანდა, საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.

ჰოროსკოპი 17 დეკემბერი

ვერძი – დღის პირველი ნახევარი სასიკეთოა ნებისმიერი წამონყებისთვის. თქვენ არა მხოლოდ შეძლებთ საკუთარი გეგმების რეალიზებას, არამედ ბრწყინვალე იდეასაც, რომელიც ყოველ ხნის წინ გაგიჩნდათ, განახორციელებთ. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც მყდარი ნაბიჯის გადადგმისგან დაგიცავთ. დღის მეორე ნახევარი მეტად დაძაბულად ჩაივლის. არ არის გამორიცხული უთანხმოება ახლობლებთან. შეეცადეთ, თავი შეიკავოთ მათი კრიტიკისგან.

კუროო – კარგი დღეა ერთობლივი საქმიანობისთვის. თუ რაიმე მასშტაბურ საქმეს შეეჯიდებით, მხარდაჭერას აუცილებლად მიიღებთ. შეიძლება, შეხვდეთ იმ ადამიანებს, ვისთანაც ბოლო დროს უთანხმოება გქონდათ, მაგრამ ეს გაუგებრობა დასრულდება. ამ დღეს რეკომენდებულია მონანილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ტყუპები – ამ დღეს ადრე დანყებული საქმეები შეგიძლიათ დასრულოთ, თუმცა, ახალს ჯერჯერობით ნუ წამოინყებთ, რადგან მაღალია შეცდომების დაშვების რისკი. დღე დაკავშირებულია დაუგეგმავ ხარჯებთან. მართალია, შენაძენი ნარმატებული აღმოჩნდება, მაგრამ ასეთი მფლანგველობის გამო, შეიძლება მეგობრების ფინანსური დახმარება დაგჭირდეთ.

კირჩხიბი – თქვენთვის შეუძლებელი არაფერია, მზად ხართ, სასურველის მისაღნევად დაუღალავად იშრომოთ. გაქვთ შანსი, მოაგვაროთ დიდი ხნის ოჯახური კონფლიქტი, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ მშვიდობის შენარჩუნება თქვენგან ერთგვარ თავგანნირვას მოითხოვს. კარგი დღეა არაფორმალური შეხვედრებისთვის გავლენიან ადამიანებთან. საქმიანი ნაყნობობა, შესაძლოა, რომანტიკულ ურთიერთობაშიც გადაიზარდოს.

ლომი – ლომებისთვის ეს დღე ნარუმატებელია. გაღიზიანებული ხართ და ყველაფერზე ნერვები გეშლებათ, გარშემომყოფებს ზედმეტ მოთხოვნებს უყენებთ, განსაკუთრებით გიჭირთ საერთო ენის გამონახვა მანდილოსნებთან. მზად იყავით ნებისმიერი მოულოდნელობისთვის, შესაძლოა, მოვლენები ისე არ განვითარდეს, როგორც თქვენ ვარაუდობდით. დაუჯერეთ ახლობლების რჩევებს და თავს აარიდებთ უსიამოვნო სიტუაციებს. სასურველია, ხარჯები შეამციროთ, რადგან ფული უფრო მნიშვნელოვან საქმეში დაგჭირდებათ.

ქალწული – თქვენი მომხიბვლელობა განსაკუთრებით ეფექტური ინსტრუმენტია. მისი ნყალობით შესანიშნავად ართმევთ თავს ბევრ რთულ პრობლემას. შესაძლოა, თავგრუდამხვევი რომანის დანყება, რაც კარდინალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. დღე კარგია მოგზაურობისთვის, ექსკურსიებისთვის.

სასწორი – ეს დღე საკმაოდ ნარმატებულად ენყობა. გაბედულად გააბით ნაყნობობა – ადამიანები, ვისაც დღეს შეხვდებით, პოზიტიურ როლს შეასრულებენ თქვენს ცხოვრებაში. სასწორების ბევრი ნარმომადგენლისთვის ახალი პერსპექტივების გაჩენის დღეა როგორც საქმიან, ასევე პირად სფეროშიც. ნუ შეუშინდებით ცვლილებებს.

ღრიანცელი – ამ დღეს გაჩენილი იდეები განსაკუთრებით კარგია. დაუყოვნებლივ შეუდექით მათ განხორციელებას, რადგან დრო არ იცდის. სააქმისოდ ნაყოფიერია დღის პირველი ნახევარი. მნიშვნელოვნად მაღალია შემოქმედებითი პოტენციალი. ზოგჯერ თქვენი საქციელი გარშემომყოფებს ექსტრავაგანტულად და გამომწვევად ეჩვენებათ, თუმცა თაყვანისმცემლებს მაინც იპოვით.

მშვილდოსანი – მეტად დაკავებული ხართ საკუთარი საქმეებით და არ აქცევთ უურადღებას ახლობლების პრობლემებს. ამის გამო, შესაძლოა, ოჯახის ნევრები ძალიან გაანაწყენოთ. მეორე მხრივ კი, სწორედ ამ დღეს შეძლებთ მნიშვნელოვანი ნარმატებების მიღნევას თქვენს საქმიანობაში. თუ დღის გატარება ოჯახის პატარა ნევრებთან მოგინევთ, აღიჭურვეთ მოთმინებით.

თხის რქა – დღეს განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან ემოციები ჭარბობს სად აზრს. სწრაფად ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებებს, რადგან მერე შესაძლოა, ძალიან ინანოთ. არ არის გამორიცხული ფინანსური პრობლემები და გარკვეული გაუგებრობები საქმიან პარტნიორებთან. ამ დღეს დიდი ხნის მეგობარი შეგახსენებთ თავს, რაც ძალიან გაგახარებთ.

მერწყული – კარგი დღეა ურთიერთობებისთვის. შესაძლოა მოულოდნელი ნაყნობობაც, რაც ახალ პერსპექტივებს გაგიჩენთ. შეგიძლიათ, პრინციპულად ახალი საქმე წამოიწყოთ, ის ნარმატებული იქნება. დღე შესაფერისია მეცადინეობისთვის, რაც აკადემიურ ნარმატებას და უურადღებას მოითხოვს. თუ ვინმეს დავალებას მისცემთ, მისი შესრულება გააკონტროლეთ.

თევზები – მსუბუქი, ნარმატებული დღეა, შესანიშნავია დასვენებისთვის. შესაძლოა საინტერესო ახალი ნაყნობობა ან შეხვედრა მონატრებულ ადამიანებთან. შორეული ნათესავისგან მოულოდნელ, მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებთ. შესაძლოა ფულადი გზავნილების, მათ შორის მნიშვნელოვანი თანხის მიღებაც.

ამინდის პროგნოზი

	ორშაბათი	სამშაბათი
თბილისი	0	0
ქუთაისი	+8	+9
ბათუმი	+12	+15
სოხუმი	+9	+10

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com





ცხენის ყული
ღაბა სამპარა ბლოში
სათივე ანუ..
მარეული ფრინველი
რეკორდების წიგნის ავტორი
ფასიანი ქალღლების ბეჭდვა
მაუმლის მევმობარი
სწორი მზა
თიხის ჭურჭელი
თბილისის უბანი
სამოღელო საამენტო
ორბიტის წერტილი
თავისუფ ლების ყანაული
თევზის ჯიში
მსენარის ზრდა
ფრანგული ღვინო
იუმორის ჟანრი
ცვცხლს ასრული იარალი
სამორინე
მნათობი
ქალაქი შვეიცა რიაში
შეძახილი ქორიდაზე
ღვინის ჭურჭელი
ზოდი აქოს ნიშანი
ბურლუ ლული
ქენქრო ვანი მცენარე
სარეკლამო ფირნიში
სამკაცა
მველი
ჰირველი ქალი
ბიზნეს მაერთი ანება
ეროდუქტი
ზლაპ რული ბალი
ებრაული ენა
დიდი ხვლიკი
სოფელი სვანეთში
სოფელი ყაზბეგში
საფირკო წარმო ება
ღანიელი მომზაური
მდინარე რუსეთში
საამშე ნებლო მასალა
ქართული მაზეთი
რუსი რეჟისორი
მაღასას. მდინარეზე
ერთმანი სტადიონი
ქართველი ქომპო ზიტორი
ტროპ. ხილი
მუსიკ. ინსტრ.
ქალის სახელი
უძღური
სხივური იარალი
სოფელი მალის რაიონში
იაპონური ფირმა
ესპანელი მხატვარი
ხრიკი ანუ..
ტროპიკული ხილი
რუსული ჯმუფი
ქართველი მოჭაღრაკე
საამშე ნებლო მასალა
საქალესიო რიტუალი
საამშ. მასალა
ჰატარა ქათამი
ხელოვ. ღარმი
ერთიანი ქამათელზე
ახალი ჩანა ფიქრი
მტაცებ. ცხოველი
ქაცის სახელი
სოკოს ჯიში
თავსა ტეხი
ინექცია
მეტალი
მალალი ღონის შეხვედრა
მანქანის მარკა
მოძრავი სირკი





ეღვილი

5	6	4	2	7	8	3	1	9
3	2	1	4	9	5	8	7	6
8	9	7	6	1	3	5	4	2
1	8	2	7	5	6	4	9	3
9	5	6	3	4	2	1	8	7
4	7	3	1	8	9	2	6	5
2	4	9	5	6	1	7	3	8
7	3	8	9	2	4	6	5	1
6	1	5	8	3	7	9	2	4

რიული

6	2	9	1	8	7	5	4	3
5	4	3	6	2	9	7	1	8
1	8	7	3	5	4	2	6	9
9	7	2	8	4	6	3	5	1
8	6	5	2	3	1	9	7	4
4	3	1	9	7	5	8	2	6
7	5	8	4	1	3	6	9	2
3	1	6	5	9	2	4	8	7
2	9	4	7	6	8	1	3	5

ხცვნღვარცი

6	1	7	4	9	8	5	3	2
5	4	9	3	2	7	1	6	8
8	3	2	6	1	5	9	7	4
7	2	1	5	8	9	6	4	3
4	9	8	1	6	3	2	5	7
3	5	6	2	7	4	8	1	9
2	7	5	9	3	6	4	8	1
1	8	4	7	5	2	3	9	6
9	6	3	8	4	1	7	2	5

ეჭსკვარცი

3	9	2	6	1	8	7	5	4
6	5	1	9	4	7	3	8	2
8	4	7	5	2	3	6	1	9
9	3	5	4	8	6	2	7	1
1	6	4	7	3	2	5	9	8
7	2	8	1	5	9	4	6	3
5	1	9	3	7	4	8	2	6
4	8	6	2	9	5	1	3	7
2	7	3	8	6	1	9	4	5

ფიფა ნოვეარში გასვლი სპანეოლურის და სუდოკუს ჯასუნები

ჰოროსკოპი 18 დეკემბერი

ვერძი – დღეს თქვენს შრომისმოყვარეობასა და აკურატულობას ყოველ ორიგინალურობაც დაუმატეთ. ყველა შესაძლებლობა დროულად და ნარმატებით გამოიყენეთ. შესაძლოა მხარდაჭერა ყოფილი საქმიანი პარტნიორისგან. ზედმეტად მეოცნებე ნუ იქნებით, ყველა შანსი დაუყოვნებლივ გამოიყენეთ. თქვენი პროფესიული ამოცანა კი დღის ბოლომდე შესრულეთ.

კუროო – დღეს მაინცდამაინც ნუ შეეცდებით კითხვებზე იოლი პასუხების მოძებნას. ყურადღება მოიკრიბეთ და შეეცადეთ, მიღებული ინფორმაცია თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ. კარგი დღეა ახლობლების ნრეში დროის გასატარებლად.

ტყუპები – თქვენს საქმიანობას შემოქმედებითად მიუდექით და შეეცადეთ, იდეები განახორციელოთ. პროფესიული და საქმიანი საკითხების გადაჭრას არატრადიციული მეთოდით შეეცადეთ. ეს თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გაუმჯობესებს და კოლეგებშიც ავტორიტეტს აგიმაღლებთ. დღეს შესაძლოა ახალი რომანტიკული ნაცნობობის დანყებაც.

კირჩხიბი – ამ ნიშნის ნარმომადგენლებმა დღეს არ გააფორმოთ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, თუმცა, ნუ დაღონდებით. ახალი ინიციატივების დროც მალე დადგება. მოითმინეთ და ვინმესთვის რამის დამტკიცებას ნუ შეეცდებით, რადგან დღეს თქვენ არ მოგისმენენ. დაანებეთ ყველაფერს თავი და მხოლოდ თქვენი საქმე აკეთეთ. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ მეგობრების ნრეში გართობას დაუთმოთ.

ლომი – დღეს ლომებს ვარსკვლავები ქედმაღლობის დავინყებას ურჩევენ, რადგან ეს ვერ დაგეხმარებათ საქმის კეთებასა თუ ადამიანებთან ურთიერთობაში. საკუთარ თავს გვერდიდანაც შეხედეთ და ეცადეთ, ძველი, უსარგებლო ჩვევებისგან გათავისუფლდეთ. ფიქრობთ, რომ ვიღაც თქვენს ნინააღმდეგ მოქმედებს და ზიანის მოყენებას ცდილობს, მაგრამ სიტუაციას თუ გააანალიზებთ, აღმოაჩენთ, რომ პრობლემა მხოლოდ თქვენს თავშია.

ქალწული – ამ დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რაიმეს ზენოლისა და კონკურენტული ბრძოლის გარეშე მიაღნიოთ. თუმცა, ეს თქვენი სტილი არ არის, განსაკუთრებით, ცხოვრების ამ პერიოდში. საქმეში ინიციატივას თუ გამოიჩენთ, სწრაფად იმოქმედეთ, საფრთხეებზე ფიქრის დრო არ გექნებათ. მნიშვნელოვანი საქმიანობა დღის მეორე ნახევარში დაინყეთ. ენერგია გეყოფათ და გამძლეობას დღის ბოლომდე შეინარჩუნებთ.

სასწორი – თუკი სასწორები საკუთარი გადანყვეტილების რეალიზებას გადანყვეტენ, ჯერ პარტნიორთან ურთიერთობის გარკვევა და აქტიური საქმიანობა მოუნევთ. დღის მეორე ნახევარი შესაფერისი იქნება გრძელვადიანი გეგმების შესრულებისთვის. თუმცა, სიჩქარე საჭირო აღარ არის. იმოქმედეთ დაკვირვებით, თანმიმდევრულად და ზუსტად. შესაძლოა, საღამოს მოულოდნელი ნინადადება მიიღოთ, რაც თქვენს ცხოვრებას მნიშვნელოვნად შეცვლის.

ღრიანცელი – დღეს თავდაჯერებული იქნებით, ამიტომ ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა არ გაგიჭირდებათ. მოსალოდნელია აქტიური საქმიანობა, რთული დავალებების შესრულება, რასაც შესაძლოა, ფინანსური ნარმატებაც მოყვეს. ნუ განელავთ პირად და სამსახურებრივ უთანხმოებას დიდხანს. იყავით უფრო ოპერატიული. პარტნიორთან ურთიერთობები შესამჩნევად გაგიუმჯობესდებათ და დასტაბილურდება.

მშვილდოსანი – დღის პირველ ნახევარში ფინანსური ოპერაციების შესრულებას თავი აარიდეთ, რადგან დიდია ნარუმატებლობის ალბათობა. რისკის ქვეშ შეიძლება დიდი თანხა, ქონება ან მნიშვნელოვანი სოციალური ობიექტები დადგეს. დაძაბული დღეა პირად ცხოვრებაშიც – მოსალოდნელია ბრძოლა მემკვიდრეობის უფლებისთვის. დღის მეორე ნახევარში ვარსკვლავები დაძაბულობის შესუსტებას გპირდებიან. ადვილად მიაღნევთ შეთანხმებებს. კარგი იქნება, თუ საღამოს ოჯახურ გარემოში გაატარებთ.

თხის რქა – ამ დღეს, დილის საათებში დაზღვეული არ ხართ დავისა და კამათისგან. პირად ცხოვრებაშიც მოსალოდნელია საბედისწერო მოვლენები. დღის პირველ ნახევარში კოლეგებში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად ბრძოლა მოგინევთ, საღამოს სტაბილურ ნარმატებას მიაღნევთ. შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯები.

მერნყული – ამ დღეს უარი თქვით სასწრაფო და დაძაბულ საქმიანობაზე. ყოველდღიური საქმის შესრულებისას კი ნუ იჩქარებთ და ის ჩვეულ რიტმში გააგრძელეთ. დღეს კარგია ახალი, სასიამოვნო შთაბეჭდილებების მიღება. შესაძლებელია ახალი და საინტერესო ნაცნობობა, რაც მომავალშიც გამოგადგებათ. შეეცადეთ, დღე ნაკლებად ემოციურად გაატაროთ. რეკომენდებული არ არის ძლიერმოქმედი პრეპარატების მიღება. კარგი დღეა ბუნებაში ნასასვლელად ან ოჯახური სიმყუდროვისთვის.

თევზები – ამ დღეს თქვენ და თქვენი პარტნიორები შეხმატკბილებულად მოქმედებთ. დღის მეორე ნახევარში ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნება ახალი, ნარმატებული გარიგების დასადებად. დილით დანყებული ბობოქარი მოვლენები ფსიქოლოგიურად მოგადუნებთ, თუმცა, იმის ძალა გექნებათ, ახლობელ ადამიანებთან საღამო სასიამოვნოდ გაატაროთ. შესაძლოა ახალი ნინადადება შემოგთავაზონ, რაც მომავალში თქვენს მატერიალურ სტაბილურობას შეუნყობს ხელს.

ლაიჯესტი

პომიდორი ინსულტისგან გვიხსნის?

ექიმი-კარდიოლოგები პაციენტებს, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ, საკვებში პომიდვრის რეგულარულად მოხმარებას ურჩევენ. ტომატი მდიდარია ლიკოპინითა და C ვიტამინით, რაც ძლიერი ნატურალური ანტიოქსიდანტებია. მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგების გაანალიზებისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სისხლში ლიკოპინის მაღალი კონცენტრაცია ინსულტის რისკს ამცირებს. ჩატარებულ გამოკვლევებში 1000-ზე მეტი მამაკაცი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 46-65 წელს შეადგენდა. 12 წლის განმავლობაში ინსულტი 67-მა მამაკაცმა გადაიტანა, ამასთან, უმრავლესობა იმ ჯგუფიდან იყო, რომელთა წევრებს სისხლში ლიკოპინის დაბალი დონე ჰქონდათ. სწავლულები იმასაც ასკვნიან, რომ ხილსა და ბოსტნეულზე დაფუძნებული დიეტა, უშუალოდ, უკავშირდება ინსულტის განვითარების რისკის შემცირებას.



თევზის ქონი სიბერის წინააღმდეგ

თევზის ქონისა და ცხიმმჟავას შემცველი დანამატების რეგულარული მოხმარება, ასევე, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები და სუფთა ჰაერი ადამიანს საშუალებას აძლევს, არსებითად შეანელოს ორგანიზმის სიბერე. დადებითი ეფექტი განსაკუთრებით შესამჩნევი ასაკოვან ადამიანებშია. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები ამტკიცებს, რომ 65 წელს გადაცილებული ქალბატონები, რომლებიც რეგულარულად იღებდნენ საკვებიდან ომეგა-3-ს, ყოველდღიური ვარჯიშების დროს უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ, ვიდრე ის ქალბატონები, ვინც ამ ცხიმმჟავებს არ იღებდა რეგულარულად. მკვლევართა მოსაზრებით, მიღებული შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ ორგანიზმში ხდება არა მხოლოდ დაბერების პროცესის შეფერხება, არამედ დაბერებული ქსოვილების თვითაღდგენის პროცესიც შეინიშნება. გარდა ამისა, შესამჩნევია თავის ტვინის კოგნიტიური უნარების მომატებაც.

სასარგებლო ანტიბიოტიკები

კომპანია **IBM**-ის მეცნიერები ახალი თაობის ანტიბიოტიკების შექმნაზე მუშაობენ. ისინი ისეთი წამლის დამზადებას ცდილობენ, რასაც გვერდითი ეფექტები არ ექნება და პაციენტს მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს. კომპანია ნანოტექნოლოგიებზეა სპეციალიზებული. ანტიბიოტიკებიც ასევე ნანოსტრუქტურების მუშაობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ადამიანის სხეულში ისინი დაავადებულ უჯრედებს მიიზიდავენ. ამგვარად, მიიჩნევა, რომ პრეპარატი მთლიან ორგანიზმს არ მიაყენებს ზიანს. ნანოსტრუქტურების მოთავსებას სწავლულები ჩვეულებრივ ანტიბიოტიკებში აპირებენ, რათა დაავადებული უჯრედები მოძებნონ და ამ გზით დაარეგულირონ მკურნალობა. ასეთი პროექტები, მეცნიერთა მოსაზრებით, ძალიან სასარგებლოა, რადგან მათი გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ ანტიბიოტიკებში, არამედ სადეზინფექციო და სხვა საშუალებების შექმნაში.

ინფარქტს მეოთხე ჯგუფის სისხლი „უყვარს“

ბრიტანელი მკვლევარების ჯგუფი, რომელმაც 30-დან 75 წლამდე ასაკის, 90 ათასი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოიკვლია, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მე-4 ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებში უფრო მეტია ინფარქტის განვითარების რისკი. მეცნიერთა თქმით, სისხლის შედედების მიდრეკილების მაჩვენებელი და შედეგად, თრომბების წარმოქმნა, რაც დაავადების განვითარების მიზეზი ხდება, განსხვავდება სისხლის ჯგუფის მიხედვით. პირველი ჯგუფის მქონე ადამიანები, სხვებზე მეტად ავადდებიან წყლულებით, ასევე სისხლდენები და სისხლჩაქცევები აწუხებთ. მეორე ჯგუფის მქონეებს, სწავლულთა მტკიცებით, უფრო ხშირად ონკოლოგიური დაავადებები აწუხებთ.

წლის გავლენიანი ადამიანები დასახელდნენ

პოპულარულმა გამოცემამ „ფორბსი“ წლის ყველაზე გავლენიანი ადამიანების ტრადიციული, ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. წლეულს, 71-კაციანი სიის სათავეში ბარაკ ობამა, ანგელა მერკელი და ვლადიმერ პუტინი მოხვდნენ. რეიტინგში შევიდნენ ასევე, ცნობილი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელები, ფილანთროპები. სიის საპატიო სამეულს ფეხდაფეხ მიყვებიან ბილ გეითსი და რომის პაპი, ბენედიქტ XVI. პირველ ათეულში მოხვდა დიდი ბრიტანეთის პრემიერი დევიდ ქემერონი. მე-16 პოზიცია უკავია ნიუ-იორკის მერს მაიკლ ბლუმბერგს, 23-ეზეა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ. გავლენიან ადამიანებს შორის 25-ე ადგილი დაიკავა „ფეისბუქის“ დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა, 26-ზე კი „ნიუკორპის“ ხელმძღვანელი რუპერტ მერდოკი გავიდა. 29-ე პოზიცია მიაკუთვნეს იტალიის პრემიერ-მინისტრს მარიო მონტის, 30-ზე კი გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნია. 50-ე ადგილი აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტს, ბილ კლინტონს არგუნეს, რუსეთის პრემიერი მედვედევი კი, 61-ე საფეხურზე აღმოჩნდა. „ფორბსი“ კანდიდატების შერჩევისას ითვალისწინებს მათ ძალაუფლებასა და ფინანსურ რესურსებს, სახელმწიფოს მეთაურების შემთხვევაში კი — ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს, კომპანიების დირექტორების დასახელებისას — ფირმების აქტივებს, ხარჯებსა და შემოსავლებს.

მარტოხელა იაპონელები კაცებს ქირაობენ

მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის მოსახლეობა სწრაფად მრავლდება, თითქმის ყველა ქვეყანაში საკმაოდ ბევრი მარტოხელა ქალი ცხოვრობს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ამომავალი მზის ქვეყანაა. საბედნიეროდ, ცოტა ხნის წინ აქ მეტად სასარგებლო საიტი ამუშავდა, რომლის წყალობითაც, ნებისმიერ იაპონელ მანდილოსანს შეუძლია, თავისთვის სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი შეუკვეთოს ღამის გასატარებლად. თუმცა, შეკვეთაში ინტიმური მომსახურება არ შედის — მამაკაცი მხოლოდ მის გვერდით დაწვება და ჩაეხუტება. ტოკიოში უკვე რამდენიმე თვეა არსებობს დაწესებულება, სადაც მარტოხელა კაცებს მშვენიერ, უცნობ ქალებთან ერთად შეუძლიათ გამოძინება. ეს პროექტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ზოგიერთ ქალს იმდენად სურს, ახალგაზრდა ბიჭს ჩაეხუტოს და ისე დაიძინოს, რომ მზად არის, ამისთვის კარგად გადაიხადოს და საწოლში სრულიად უცნობი ადამიანი ჩაიწვინოს. კლიენტებს აკრძალული აქვთ ამ ბიჭების კოცნა და ვნებიანი ურთიერთობა. ახალგაზრდები მხოლოდ სასიამოვნო კამპანიისთვის „გამოიყენება“. ძილი სახლში ან სასტუმროში შეიძლება. გარდა ჩახუტებული ძილისა, „დაქირავებულ ბიჭთან“, კლიენტებს პაემანზე წასვლაც შეუძლიათ, ან დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევაში, იატაკის გაწმენდა და საჭმლის მომზადება შეიძლება სთხოვონ. ახალი საიტი უკვე საკმაოდ პოპულარული და შემოსავლიანი ბიზნესია. სტანდარტულ პრაის-ლისტში ფასები, ახალგაზრდის 7 საათით ქირაობაში, 364 დოლარიდან იწყება, სრული 12 საათით მომსახურება კი, კლიენტებს 580 დოლარი უჯდებათ.

სუნამოს პიცის არომატიც მიანიჭეს

კანადაში, პოპულარული პიცერიის ქსელმა **Pizza Hut**, „ფეისბუქის“ მომხმარებლებისთვის ახალი პარფიუმი გამოუშვა, რომელიც შეზღუდული რაოდენობით გაიყიდება. სუნამოს ახალგამომცხვარი პიცის სურნელი აქვს. გასულ ზაფხულს პიცერიის წარმომადგენლებმა სოციალურ ქსელში მათი გვერდის ხელმომწერები გამოკითხეს იმის გასარკვევად, უყვართ თუ არა არომატი, რომელიც ცხელ-ცხელი პიცის ყუთის გახსნისას დგება. გამოკითხვა შედეგიანი აღმოჩნდა და კომპანიამაც ახალი სურნელის შექმნა გადაწყვიტა. ჯერჯერობით, **Eau de Pizza Hut**-ის მხოლოდ 110 ეგზემპლარი გამოვიდა და შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, ის „ფეისბუქის“ მომხმარებლებს დაურიგეს. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სწრაფი კვების ობიექტი პარფიუმერულ ნაწარმს უშვებს. 2008 წელს **Burger King**-მა შემწვარი ხორცის არომატიანი სუნამო გამოუშვა, რომლის შეძენაც სწრაფი კვების ამ ობიექტში მომხმარებელს 4 დოლარად შეეძლო.

უხუცესმა იაპონელმა პოლიტიკოსობა გადაწყვიტა

94 წლის იაპონელმა მამაკაცმა იოკიჩი კაუშიმამ პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა. ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, საკუთარი კანდიდატურა მოხუცმა ცესკო-ში ვადის ამოწურვამდე სამი საათით ადრე წარადგინა. უხუცესი კანდიდატის საარჩევნო შტაბის წევრები მისი ოჯახის წევრები არიან. საარჩევნო კამპანიას, კაუშიმას განცხადებით, საკუთარი დაკრძალვისთვის გადანახული 3 მილიონი იენით დააფინანსებს. ეს იდეა მაშინ გამიჩნდა, როცა ტელევიზიით პარტიებს შორის დებატებს ვუყურე. უბრალოდ, ვერ გავიგე, ასეთი არაორგანიზებული ადამიანები, როგორ შეიძლება გახდნენ პარლამენტის წევრები? ისინი რეალობას ვერ აფასებენ, — აცხადებს იაპონელი კანდიდატი. კაუშიმას თქმით, ის იმედოვნებს, რომ ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატის წევრი გახდება და ამით ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე უხუცესი პოლიტიკოსი.

პოლონელები სკოლაში ფასტ-ფუდს კრძალავენ

ასეთი ინიციატივით პოლონეთის სახალხო პარტია გამოვიდა, რომელმაც ბავშვების ჯანსაღი კვების კამპანია წამოიწყო. უახლოეს პერიოდში, პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, კანონპროექტი პარლამენტს გადაეცემა განსახილველად. კანონის ძირითადი პუნქტებია იმ პროდუქტებსა და სასმელში ტრანსცხიმების, შაქრისა და მავნე მჟავების შემცირება, რაც სკოლებში იყიდება. ახალი კანონპროექტის რეალიზაცია საბავშვო ბაღებსა და დაწყებით სასწავლო დაწესებულებებში იგეგმება, სადაც მოსწავლეთა ასაკი 16 წელს არ აღემატება.

სუდოკუმანია

ადვილი

						2	4	
		5	1		3		6	
7	6					3		
					6		3	
6	9		8		4		1	5
	4		3					
		8					7	4
	1		5		9	6		
	5	6						

სტანდარტი

6			2					8
		8		5			7	
					4	2		
2		7		4	3	6		
5			1		8			7
		9	7	6		4		1
		6	4					
	5			1		7		
7					6			9

რთული

8			9				3	1
	4			1	2			
	1		8		3		5	
	9	6						3
4								5
1						9	2	
	7		3		1		6	
			5	7			4	
3	5				9			2

ექსპერტი

	2	8		1			6	
7		9			6	3		2
						8		1
			7				3	
			3	4	1			
	4				8			
4		1						
2		7	6			1		3
	6			2		7	4	

ჩვენს რეგიონში პირველი – ბანკი "ქართუ" გთავაზობთ უნიკალურ სერვისს!
დინამიური პაროლი თქვენი ბარათის უსაფრთხოებისათვის!

უსაფრთხო
ინტერნეტ ვაჭრობა
ბანკ "ქართუ"-სთან ერთად

VERIFIED by VISA

ბანკი ქართუ
CARTU BANK
www.cartubank.ge

ტელ. (+995 322) 925592; (+995 595) 925592

იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით